ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

ოქტომბერი 1991 - Nr. 10(28) - octobre 1991

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

მ ი ნ ა ა რ ს ი

მიმართვა საქართველოს ხელმძღვანელობას....................1
საჭირო დიალოგი, დიალოგი, კიდევ დიალოგი....................2

აგვისტოს აჯანყების 67 წლისთავი

აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე....................3
ამბერკი ალეიშვილი - აჯანყების ერთ-ერთი მოთავე....................6

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

რას უცდის ქართველი ხალხი?....................8
საქართველოს საერთაშორისო ცნობის საკითხი....................10
19 აგვისტოს პუტჩი მოსკოვში და მისი შედეგები....................11
თავისუფლება დამოუკიდებლობა არ არის?....................13
საქართველოს პრეზიდენტის წერილი საფრანგეთის პრეზიდენტს....................16
მიმართვა თბილისის უნივერსიტეტს....................16

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

მე რომ "მემარჯვენე" ვიყო?!(მრავალპარტიული არჩევნების წლისთავი)...18
ალექსანდრე სოლჟენიცინი და ეროვნული საკითხი....................49
ე.შევარდნაძე:"ახალი აზროვნების ყველაზე უფრო საშიში ადამიანი"....52
ედუარდ შევარდნაძე და საქართველო....................54
ბედნიერი ჩეხოსლოვაკია....................58
"ფსიქოტრონიკული იარაღი"....................59

ეკონომიკური სამყარო

რომის პაპის იოანე-პავლე II სოციალური ენციკლიკა....................60
"იაპონური სასწაული"("გამხდარი პროდუქცია")....................62
ეკონომიკური უთანასწორობა სსრკ-ში....................66
ტურიზმის ინდუსტრია....................66
"დიდი ხუთის" ეკონომიკური პროგნოზი 1992 წლისათვის....................67

ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

26 მაისი პარიზში....................67
გვირგვინის დასვენება ტრიუმფის კიშკართან პარიზში....................67
ქართული სათვისტომოს არჩევნები საფრანგეთში....................68
პანაშვიდი წმ.ნინოს ეკლესიაში....................69
ბერძენთა და ქართველთა შეხვედრა....................69
"ქართული სახლი" პარიზში....................70
"ვაზის დღესასწაული" ლევილის ქართულ მამულში....................70
"ორი წინადადება"....................70
პაატა ბურჭულაძე - სამაგალითო ხელოვანი და მოქალაქე....................73
1924 წლის აჯანყების დღის აღნიშვნა ლევილში....................74

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი,1952,პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

ქართული
ეროვნული საბჭო

Conseil National Géorgien

CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
FRANCE - T. 60-84-61-51

Paris, le 28 ოქტომბერი 1991 წ.

# მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას,
საქართველოს უზენაესი საბჭოს თავჯდომარეს ბატონ აკაკი ასათიანს,
საქართველოს მთავრობის თავჯდომარეს ბატონ ბესარიონ გუგუშვილს,
საქართველოს იუსტიციის მინისტრს ბატონ ჯონი ხეცურიანს.

---

ბატონო ზვიად, თქვენ როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს,
ბატონო აკაკი, თქვენ როგორც საკანონმდებლო ორგანოს თავჯდომარეს,
ბატ. ბესარიონ, თქვენ როგორც საქართველოს მთავრობის მეთაურს,
ბატონო ჯონი, თქვენ როგორც მართლმსაჯულების ორგანოს ორგანიზატორს, გილოცავთ საქართველოში, ბოლშევიკური ბატონობის თითქმის სამოცდა-ათი წლის შემდეგ, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების წლისთავს და გისურვებთ წარმატებებს თქვენს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასა და პირად ცხოვრებაში.

1990 წლის 28 ოქტომბერი 1919 წლის თებერვლის ღირსეული მემკვიდრეა, თუმცა - 1919 წლის თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებისაგან განსხვავებით - 1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა საქართველოში საოკუპაციო ჯარების ბატონობის პირობებში.

1919 წლის თებერვლის საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, როგორც ცნობილია, საქართველოს მოსახლეობამ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილე თორმეტ პარტია-გაერთიანებებიდან, მხოლოდ ოთხი პარტია წარადგინა დამფუძნებელ კრებაში, რომლის სულ 130 დეპუტატიდან, 109 არჩეულ იქნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, 8 დეპუტატი - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან, 8 დეპუტატი - სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან და 5 დეპუტატი სოციალისტ-რევოლუციური პარტიიდან.

1990 წლის 28 აგვისტოს მრავალპარტიულ,დემოკრატიულ არჩევნებში კი, საქართველოს უზენაესი საბჭოს სულ 250 დეპუტატიდან, საქართველოს მოსახლეობამ, არჩევნებში მონაწილე თერთმეტ პარტია-ბლოკიდან, უზენაეს საბჭოში აირჩია დეპუტატები "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" საარჩევნო ბლოკიდან და საქართველოს კომპარტიიდან. საქართველოს ამომრჩევლებმა დიდი ნდობა გამოთქვა განსაკუთრებით "მრგვალი მაგიდისადმი", როცა ამ საარჩევნო ბლოკის 156 დეპუტატი აირჩია უზენაეს საბჭოში, რაც - თავის მხრივ - დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ამ ბლოკში გაერთიანებულ პარტია-ორგანიზაციებს.

ამ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა,საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დემოკრატიულ საწყისებზე გადაყვანის მიზნით, უთუოდ, შთამბეჭდავია, რომლის ღირსშესანიშნავი თარიღებია -
1990 წლის 28 ოქტომბერი,საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები;
1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, რომლის დროს ხმოსანთა 99 პროცენტმა შ ე კ ი თ ხ ვ ა ზ ე - "თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე"- უპასუხა: "დიახ".
1991 წლის 9 აპრილი, როცა საქართველოს უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო და დაამტკიცა "საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი";
1991 წლის 26 მაისი, ჩვენი ეროვნული დღესასწაული, როცა ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები, რომლის დროს ექვს საპრეზიდენტო კანდიდატიდან, გამარჯვება მოიპოვა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ხმების მეტად დიდი -(87 პროცენტი)-უმრავლესობით.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ერთი წლის განმავლობაში, ვერ მოგვარდა, დემოკრატიის მამოძრავებელი მოტორის - პოზიცია-ოპოზიციის - ურთიერთობა,რაც ისე გამწვავდა, რომ უკვე შეიარაღებული ბრძოლის ხასიათი მიიღო, რასაც მოყვა არა ერთი მოკლული და დაჭრილი. ცნობამ -"ქართველები კლავენ ქართველებს!" -, დიდი გაუგებრობა გამოიწვია მთელ მსოფლიოში, მით უმეტეს, რომ როგორც პოზიცია, ისე ოპოზიცია 26 მაისის იდეალ-იდეების განხორციელებისათვის იბრძვის. მაშ, რა უშლის ხელს პოზიცია-ოპოზიციის შეთანხმებას, ერთობას? - ერთობის, შეთანხმების მიღწევას, უთუოდ,"ხელს უშლის" - როგორც უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს სიტყვები - 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგები, რომლის დროს მხოლოდ "მრგვალი მაგიდა" და კომპარტია გახდა საქართველოს კანონმდებლობითი ორგანოს - უზენაესი საბჭოს - ბატონ-პატრონი. 1991 წლის 19-21 აგვისტოს პუტჩის შედეგად მოსკოვში კი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო კოლეგიამ დაადგინა - აიკრძალოს საქართველოს კომპარტიის საქმიანობა, რასაც მოყვა საქართველოს კომპარტიის 64 დეპუტატის მოღვაწეობის "შეჩერება" საქართველოს უზენაეს საბჭოში, რითაც ჩვენი საკანონმდებლო ორგანო დამბლადაცემულია,რადგან პარლამენტში კომპარტიის ფიქციური ოპოზიციაც კი არ არსებობს. დემოკრატიულ წესწყობილებაში კი პარლამენტში და მის გარეთ ოპოზიცია აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ არ მოხდეს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მინიმალური შესაძლებლობაც კი. დემოკრატიულ წესწყობილებაში სუსტი ოპოზიცია "პოზიციის"(მთავრობის) სისუსტეს უდრის, რადგან მხოლოდ პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციულ ჭიდილში შესაძლებელია ყველაზე უფრო ვარგისიანი პოლიტიკური მოქმედების ხაზის შემუშავება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება პოზიციის თუ ოპოზიციის მიერ პოლიტიკური კულტურის გაკოტრებისაკენ მიუთითებს.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ და თქვენი სახით მთელ ქართველ ხალხს,ყველა პოლიტიკურ პარტია-ორგანიზაციებს - საჭიროა დიალოგი, დიალოგი და კიდევ დია-

4266

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგი. ყოველგვარი პიროვნული, პარტიულ-ორგანიზაციული ამბიციები მეორეხარისხოვანია, როცა საქმე ეხება 26 მაისის დიადი იდეების განხორციელების საქმეს საქართველოში. ამ მრწამსის დავიწყების უფლება არავის არ აქვს.

გისურვებთ რა წარმატებებს თქვენს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასა და კერძო ცხოვრებაში, აქვე გაცნობებთ, რომ ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში, რომელიც 26 მაისის შემქმნელი საქართველოს ეროვნული საბჭოს მემკვიდრეა, და საქართველოს დაპყრობის შემდეგ უცხოეთში - პარიზში - მოქმედებს, - მისი წესდების შესაბამისად, მაშინვე დაამთავრებს თავის მოღვაწეობას, როცა საქართველო ფაქტიურადაც გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.

კეთილი სურვილებით

კარლო ინასარიძე

ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე უცხოეთში

პარიზი-ლევილი, 1991 წლის 28 ოქტომბერი

## საჭიროა დიალოგი, დიალოგი, კიდევ დიალოგი

### I.

საჭიროა დიალოგი, დიალოგი, კიდევ დიალოგი,- ვამბობთ, ამჟამად, და ამ მოთხოვნას ვუკავშირებთ ჩვენს ამასწინანდელ მოთხოვნას - "საჭიროა მოთმინება, მოთმინება, კიდევ მოთმინება", რადგან "მოთმინება" სწორედ "დიალოგს" ნიშნავს, დიალოგს "მოსისხლე მტერთანაც" კი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მთელ ერს, მთელ საქართველოს ეხება.

### II.

ქართველმა ხალხმა, ერთ მუშტად, საქართველოს ამომრჩევლებმა - საქართველოს "პატარა ოქროს ხანის", ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის ხანიდან(1918-21 წლები), უკვე სამჯერ გამოთქვა მისი აზრი - ჯერ - საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ არჩევნებში, 1990 წლის 28 ოქტომბერს; - შემდეგ - 1991 წლის 31 მარტს, როცა ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა-აღდგენის შესახებ; და-ბოლოს, 1991 წლის 26 მაისს, როცა საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია. ამ სამ არჩევნებში გამარჯვებული გამოვიდა "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" და მისი ხელმძღვანელობა.

### III.

და თუ ეს "დიდი უმრავლესობა", თავის გამოხატულებას ერთ "რ ჩ ე უ ლ" პიროვნებაში პოულობს, მაშინ ხომ არ არის ეს "უმრავლესობის დიქტატურა" უმცირესობაზე?..გამოიწვია ამან ხალხში დაბნეულობა, საკმარისი ყოველმხრივი ინფორმაციის უქონლობის გამო, რაც მათ, ზოგჯერ, ბრმად კაკაქვევითაც კი ემუქრება?.. ასეა-ეს-თუ-ისე, ჩვენმა პოზიციამ(მთავრობამ), როგორი უმრავლესობაც არ უნდა იდგეს მის ზურგს უკან, და ჩვენმა ოპოზიციამ, როგორი მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს იგი, - დღემდე ვერ შეძლო საერთო ენის გამონახვა, რასაც მოყვა შეიარაღებული შეტაკებებიც კი, და რით გვემუქრება ხვალინდელი დღე, არავინ არ იცის.

### IV.

როგორც ჩანს, ჩვენი ხალხის, პროცენტულად უმნიშვნელო ნაწილმა შეიცვალა თავისი აზრი, როცა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუაც კი პარლამენტის-გარე ოპოზიციაში გადავიდა, ხოლო კომპარტიის 64 დეპუტატის მოქმედება საქართველოს უზენაეს საბჭოში "შეჩერებულ" იქნა, რადგან კომპარტიამ მხარი დაუჭირა პუტჩისტებს მოსკოვში, და ამით ორჯონიკიძე-მახარაძეთა გზას დაადგა. ამან გამოიწვია, როგორც ჩანს, მდგომარეობის ისეთი დაძაბულობა, რომ პოზიცია-ოპოზიცია უკვე შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებენ ერთმანეთის წინააღმდეგ, რომლის ერის, როგორც მხოლოდ პრესა წერს, "ქართველები ხოცავენ ქართველებს!"

V.

რა გამოსავალია ამ რთულ მდგომარეობიდან იმ დროს, როცა ჩვენი ეროვნული გვარდიაც კი გაყოფილია ორ ბანაკად და ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებისგანაც კი არ იხევს უკან? – ვითომ თვით ხალხმა – არჩევნების გზით – არ უნდა გამოთქვას თავისი აზრი თუ მას სურს მისი წინანდელ არჩევნებში "გამოთქმული აზრის რევიზია", ე.ი. "სხვა აზრის" გამოთქმა?.. და თუ ეს ასეა, ყველაზე უფრო კანონიერი გზა არ არის თვით ხალხს, ამომრჩევლებს შევეკითხოთ თუ როგორ სურს პოზიცია-ოპოზიციის აწ უკვე შეიარაღებული დაპირისპირების გარდალახვა, რომ გაიკაფოს გზა დემოკრატიისაკენ, რომლის დროს კონსტრუქციული ოპოზიცია ისევე საჭიროა, როგორც მყარი მთავრობა?..

VI.

და თუ ეს ასეა, მაშინ ერთადერთი გზა არ არის დიალოგი ოპოზიციასა და პოზიციას შორის, რომ ყოველგვარი შეიარაღებული შეტაკება თავიდან იქნეს აცილებული?.. მაშ, საჭიროა დიალოგი, დიალოგი, კიდევ დიალოგი.

კარლო ინასარიძე
ლევილი,1991 წლის 28 ოქტომბერი

## აგვისტოს აჯანყების 67 წლისთავი

## აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე

I.

შესრულდა 67 წელი 1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყების დღიდან. ავღნიშნავთ რა ყოველწლიურად ამ დიდ ისტორიულ თარიღს, რა შეგვიძლია ვთქვათ, ახლა, დღეს, 1991 წელს? – ის მიზანი, რომელსაც 1924 წლის აგვისტოს აჯანყება ისახავდა – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენა – ფაქტიურად დღესაც განხორციელებული არ არის, თუმცა 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში, 1919 წლის თებერვლის დემოკრატიული არჩევნების შემდეგ, – მეორედ ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც ამომრჩევლების უმრავლესობამ ხმა მისცა პოლიტიკურ ბლოკს –"მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" –, და ახლა მოხდა კომუნისტური მთავრობის შეცვლა, მშვიდობიანი გზით, რაც, უდავოა, დიდი ისტორიული მოვლენაა.

II.

თითქმის სამოცდა-ათ-წლიანი ბოლშევიკური დიქტატორული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შეცვლის აუცილებლობამ და გარდალახვამ, დიდი სიძნელეების წინაშე დააყენა ქართველი ხალხი, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მმართველობის სტრუქტურების მიზანდასახული ამოქმედება საქართველოში, თითქმის შეუძლებელი გახდა პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული მოქმედების უქონლობის პირობებში როგორც საქართველოს პარლამენტში, ისევე მის გარეთ. როგორც ჩანს, საქართველოს ხალხი მომზადებული ვერ შეხვდა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებს, როცა საქართველოს უზენაეს საბჭოში წარადგინა მხოლოდ "მრგვალი მაგიდისა" და კომპარტიის დეპუტატები, რომლებმაც – თავის მხრივ – საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის ბოლშევიკური სტრუქტურების მხოლოდ "კოსმეტიკურ", გარეგნულ შეცვლა-შესწორებას მიყვეს ხელი, რის შედეგია, თუ გნებავთ, – როგორც ჩვენი ხალხი ამბობს – ე.წ-ლი "პირველ მდივნების", ესე-იგი განუკითხავი ცენტრალური თუ რეგიონალური "ბატონების" ფუნქცია პრეფექტებმა გადაიბარეს, რომლებიც, როგორც ჩანს, აწ უკვე "დემოკრატიული ცენტრალიზმის" პრინციპებით მოქმედებენ თუ არ-მოქმედებენ.

III.

ამის ერთერთი მიზეზია ის, რომ "მრგვალ მაგიდამ" ვერ შესძლო(თუ არ მოისურვა?) ვერც "ეროვნულ კონგრესთან" და ვერც კომპარტიასთან თუ პარლამენტის გარეშე დარჩენილ პარტიებთან საერთო ენის გამონახვა, და ამით ნამდვილი დემოკრატიული მმართველობის ფუძის – პოზიცია-ოპოზიციის – ამოქმედება. და ას-

და პოზიცია-ოპოზიციის საჭირო დავა, უკეთესი პოლიტიკური მოქმედების გზის გამონახვისათვის, შეიარაღებულ დაპირისპირებად გადაიქცა, რასაც არაერთი მსხვერპლი მოყვა, და ვინ იცის რა მოხდება ხვალ?!..

IV.

ყველა აღნიშნულ და მოსალოდნელ ამბებიდან შეიძლება იმ აზრის გამოთქმა, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ საერთოდ აღიარებული დევიზი: აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე - ვერ განვახორციელეთ, ვერ ხორციელდება. საოკუპაციო ჯარებმა, თქვათ, ჯერ - 1956 წლის 9 მარტს სისხლში ჩაახშო თბილისში, ჩვენს დედაქალაქში, მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომლის დროს ათობით ადამიანი მოკლეს, ხოლო ასობით დაჭრეს თუ გადაასახლეს; და 1989 წლის 9 აპრილს კი საწამლავი ნივთიერებაც კი გამოიყენეს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლის დროს მოკლულ იქნა 19 დემონსტრანტი, უმთავრესად ქალები და ბავშვები, ხოლო მოწამლულ-დასახიჩრებულ იქნა ასობით ადამიანები. და ახლა? - ახლა ჩვენ ქართველები ვებრძვით, იარაღით ხელში, ქართველებს, რასაც არაერთი მსხვერპლი მოყვა, და რასაც ბოლო არ უჩანს.

V.

ხომ არ ადასტურებს პოზიცია-ოპოზიციის აღნიშნული და მოსალოდნელი სისხლიანი შეტაკებები, საქართველოს ტელევიზიის აფეთქება, ეროვნული გვარდიის "გამსახურდიას" თუ         სიგუას" მომხრეებად გაყოფა, რომ ჩვენ, ქართველებს, საქართველოს ხალხს უცხო ბატონები გვესაჭიროება?.. ვითომ ჩვენ, ქართველები, ქართველი ერი იმდენად ვერ დაგვაჭკუიანა მოსკოვის, ანკარის თუ თეირანის მათრახმა განსაკუთრებით მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში, რომ ჩვენი ისედაც პატარა ერი დავანაწევროთ და იარაღით ხელში შევებრძოლოთ ერთმანეთს, როგორც ეს დღეს ხდება, და ამით - არაპირდაპირ - გავამხნევოთ მახარაძე-ორჯონიკიძეების მიმდევრები ჩვენს შორის, რომლებიც ყოველთვის ეძებდნენ და დღესაც ეძებენ ახალ ბატონებს განსაკუთრებით მოსკოვში, რაც ყველაზე უფრო ნათელი გახდა 1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვის პუტჩის დროს, როცა საქართველოს კომპარტია ისევ მიესალმა პუჩისტებს?..

VI.

რას გვეუბნება აქ აღნიშნული და არაღნიშნული ანალოგიური ფაქტები ჩვენ, ქართველებს, საქართველოს, ქართველ ერს დღეს - 1924 წლის აგვისტოს აჯანყების 67 წლისთავზე? - გვეუბნება იმას, რომ "ძალა ერთობაშია", რაც - თავის მხრივ - იმას ნიშნავს, რომ პოზიცია-ოპოზიციის არსებობის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, როგორც ეს ჩვენ გვქონდა 1918-1921 წლებში, "პატარა ოქროს ხანაში". და ნუთუ ჩვენი ხალხი "მ ე ც დ ა" -- 1990 წლის 28 ოქტომბერს, მრავალპარტიული არჩევნების დროს, - 1991 წლის 31 მარტს, საერთო სახალხო რეფერენდუმის დროს, 26 მაისის დიადი იდეების ისევ-განხორციელებისათვის ხმისმიცემისას, - 1991 წლის 9 აპრილს, როცა ისევ-აღდგენილ იქნა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი, თუ 1991 წლის 26 მაისის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების დროს, როცა ექვსი საპრეზიდენტო კანდიდატიდან ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტად?.. ეს დაუჯერებელია.

VII.

და თუ ეს დაუჯერებელია, ქართველმა ხალხმა, დემოკრატიული გზით, ე.ი. დემოკრატიული არჩევნების გზით არ უნდა გამოსწოროს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ისე, რომ ისევ ამუშავდეს სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული სტრუქტურები, რომლის საფუძველია "ძლიერი მთავრობა" და "ძლიერი ოპოზიცია", რომ ისევ დამყარდეს საქართველოში პოზიცია-ოპოზიციის ძალთა წონასწორობა და ამით დემოკრატიული წესყობილება, როგორც ამას ადგილი აქვს ევროპის ტრადიციულ დემოკრატიულ ქვეყნებში?..

VIII.

და რას გვეუბნება პოზიცია-ოპოზიციის შეიარაღებული შეტაკებები, რასაც ადამიანთა მსხვერპლიც კი მოყვა?.. ვითომ "განსახურდიას რეჟიმს" "პატარა გამსახურდიები", რომლებშიც დიდი ფრანგული გაზეთი "მონდ-ი" გიორგი ჭანტურიასა და ირაკლი წერეთელს გულისხმობს (19.9.1991), - ებრძვიან, რომელსაც - ორივე მხრიდან - უფრო "პიროვნული", ვიდრე "პოლიტიკურ-იდეოლოგიური" ხასიათი აქვს?.. ვითომ საქართველო უკვე გახდა "ბანანების რესპუბლიკა", როგორც ამას ირონიულად უწოდებს მსოფლიოს დემოკრატიული პრესა ლათინური ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოებს?.. როდის მოვლენ გონზე ჩვენი პოზიციისა და ოპოზიციის წარმომადგენლები?..

## IX.

პოზიცია-ოპოზიციის სისხლიანი შეტაკებები ხომ არ ალახტურებს ა გ რ ე თ ვ ე ქართველი ერის მტრების მტკიცებას, რომ ჩვენ გვესაჭიროება მოსკოვის, ანკარას თუ თეირანის მათრახი, რომ ერთმანეთი არ დავხოცოთ, რადგან ჩვენი თავის მოვლა-პატრონობა ჩვენ არ შეგვიძლია?..

## X.

და აღვნიშნავთ რა 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 67 წლისთავს, ვითომ ამ დიდი ეროვნული ბრძოლის მსხვერპლთა მარადიული ხსოვნა არ მოგვიწოდებს ჩვენ, დღეს, 1991 წელს, გამოვამჟღავნოთ საქართველოს, ქართველი ხალხისათვის ასე დამახასიათებელი "პოლიტიკური კულტურა", რომ ერთმანეთს იარაღით არ დაუწყოთ ხოცვა-ჟლეტა, რომლის დროს ჩვენს მოყვრებს საგონებელში ვაგდებთ, ხოლო ჩვენს მტრებს ვახარებთ, როცა "ქართველები ხოცავს ქართველებს!", როგორც ამას უცხოეთის პრესა წერს?.. განა "ქართული პოლიტიკური კულტურა" არ გვასწავლის, რომ საჭიროა დიალოგი, დიალოგი, ისევ დიალოგი პოზიციასა და ოპოზიციას შორის?..

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1991 წლის 12 ოქტომბერი

---

**დემოკრატიის მოტორი**

დემოკრატიის მოტორია დემოკრატიული პოლიტიკური პარტიები პოზიცია-ოპოზიციის სახით, რომლებიც Polis = ქალაქ-სახელმწიფოს მართვასა და მოქმედებას განსაზღვრავს. ამიტომ ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში მოღვაწეობს, სულ ცოტა, ორი დემოკრატიული პარტია, რომ შესაძლებელი გახდეს პოზიცია-ოპოზიციის, და ამით პოლიტიკური პარტიების განუწყვეტელი მოღვაწეობა.

"პარტიები არიან გაერთიანებანი მოქალაქეებისა, რომლებიც განუწყვეტლივ და დროის დიდ მონაკვეთში პოლიტიკური ნება-სურვილის გამოვლინება-შექმნაზე კანსაზღვრულ ზეგავლენას ახდენენ და ხალხს, ერს პარლამენტში თუ ადგილობრივ მართველობაში წარმოადგენენ. პარტიებს კი მათი პოლიტიკური მიზნები და ორგანიზაციული წეს-რიგი ჩამოყალიბებული აქვთ პროგრამებსა და წესდებებში.

პოლიტიკური პარტიები არიან კონსტიტუციური უფლებით(ძირითადი კანონით) დაკანონებული საჭირო შემადგენელი ნაწილი თავისუფალი დემოკრატიული წეს-რიგისა. პარტიები, მათი თავისუფალი, განუწყვეტელი ზეგავლენით, ძირითადი კანონით აღიარებულ და მისგან განსაზღვრულ საზოგადოებრივ ამოცანას ასრულებენ პოლიტიკური ნება-სურვილის შექმნაში. ამით პარტიები მოქმედებენ ხალხის, ერის პოლიტიკური ნება-სურვილის გამომჟღავნება-შექმნისათვის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რომლის დროს -

1.ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე,
2.ხელს უწყობენ პოლიტიკური განათლების საქმეს,
3.ხელს უწყობენ მოქალაქეების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას,
4.მონაწილეობას ღებულობენ პარლამენტისა და ადგილობრივი მმართველობის დეპუტატთა კანდიდატების წარმოყენებაში არჩევნების დროს,
5.ხელს უწყობენ უნარიანი მოქალაქეების აღზრდას, რომ მათ სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა გადაიბარონ,
6.ზეგავლენას ახდენენ პარლამენტისა და მთავრობის მოღვაწეობაზე,
7.მათ მიერ შემუშავებულ მიზნებს აქსოვენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ნება-სურვილის შექმნის პროცესში და ამით განუწყვეტელ და ცხოველ კავშირს ამყარებენ ხალხსა და სახელმწიფოს შორის.

და ამგვარი წესითა და რიგით სურს განაგრძოს მოქმედება საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას("მესამე დასს")."

ამონაწერი სტატიიდან:"'მესამე დასი' დღეს".

პარიზი, 1986 წლის იანვარი



# ვანის ამბოხების მოთავე — ამბერკი ადეიშვილი

10 მაისი, 1991

ბუნების სიმშვენიერითა და სილამაზით განთქმულ ვანის არემიდამოშიც კი გამოირჩეოდა საქართველოს ამ კუთხის შუაგულში აღმართული დიდებული ძელქვები, რომლებიც ამოძირკვა საბჭოური წყობის პროდუქტმა, რაიკომის ხელმძღვანელობამ.

სიდარბაისლითა და ვაჟკაცობით ცნობილ ვანის მკვიდრთა შორისაც კი განირჩეოდა თავისი რაინდული ღირსებებით ჭეშმარიტი მამულიშვილი და ბრწყინვალე ვაჟკაცი ამბერკი ადეიშვილი, რომელიც იმსხვერპლა საბჭოური წყობის პროდუქტმა, შინსახკომის აპარატმა.

ძელქვების დაგრაგნილი ტოტების ჩრდილი გახლდათ ვანის თავკაცთა შეყრის ადგილი საქვეყნო საქმეთა განსახჯელად.

ამბერკი ადეიშვილის ჭეშმარიტად მამულიშვილური გული იზიდავდა სამშობლოზე მოფიქრალ ყოველ ვანელ პატრიოტს.

საქართველოს მიერ თავის დამპყრობთა მიმართ გამოცხადებული უმძაფრესი პროტესტის, 1924 წლის აჯანყების ჟამსაც, სწორედ ეს პიროვნება მოგვევლინა ვანელ შეამბოხეთა მეთაურად.

ამბერკი ადეიშვილი არც მანამდე მჯდარა გულხელდაკრეფილი. 1921 წელს მან ჟორდანიამ მოსწერა წერილი და შესთავაზა ბათუმიდან საფრანგეთში წასვლა, მაგრამ ამბერკი ადეიშვილმა სამშობლოში დარჩენა არჩია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მილიციელის მაზარა (იგი მსახურობდა ქუთაისის მილიციის უფროსად) მან არ გაუცვლია წითელარმიელის თუ ჩეკისტის ყოვლად უღირსსა და უკადრის სამოსელზე. სიმამაცით გამორჩეული და საოცრად ხმარტი ამბერკი თავის თანამზრახველებთან ერთად ამოღებულ ხმლად იქცა, როგორც მომხდურ უცხო ტომის ნაშიერთა, ასევე რენეგატ ქართველთათვის.

ხელისუფლება ბევრს ეცადა მის დაჭერას, მაგრამ ამბერკი ალყოდან თუ მდევართა მიერ დაგებულ სხვაგვარ საფანგიდან დასხლტომის დიდოსტატი გახლდათ.

მის მრავალ თავგადასავალთაგან სიმბოლურად მოვიტანთ ერთოდ მაგალითს:

ერთხელ ამბერკი მის ბიძაშვილ აგაბო ადეიშვილთან იმალებოდა. იგი გასცეს და სახლს გარშემოერტყნენ ჩეკისტები. ეს მღვდლის ოჯახი გახლდათ. ამიტომაც ამბერკიმ არ იკადრა სროლის ატეხა, ფანჯრიდან გადახტა და თვალთაგან დაეკარგა შინსახკომელებს.

რაკილა მისი შეპყრობა ვერ მოახერხეს, სათანადო ორგანოებში გადაწყვიტეს მოეკლათ იგი. ამბერკის მოთვალთვალედ მიუჩინეს ქალი, რომელიც თეთრ ხიდზე ვითომდა შემთხვევით გადაეყარა მას და რამდენჯერმე ხმამაღლა შესძახა „ოჰ, ამბერკი, ამბერკი!". ამით მან ჩასაფრებულ ჩეკისტებს მიანიშნა სამიზნეზე. ამბერკი მყის მიხვდა ყველაფერს, ელვის უსწრაფესად დააძრო მაუზერი და ესროლა ამ გამცემ ქალს. საპასუხოდ ესროლეს მასაც. დაჭრილი ამბერკი გადაეშვა რიონში, ცურვით ბაში ჩავიდა და მივიდა თავის ბიცოლა პელაგიასთან, რომელმაც იგი ტყეში დამალა და იქ დაჰქონდა მისთვის საჭმელი.

ასეთ გაუსაძლის ვითარებაში ვიდოდნენ დღენი, სამშობლოს ერთგული რაინდის ცხოვრებისა.

და აი, დაჰკრა 1924 წლის აჯანყების, საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ამბოხების საათმა, რომლის ალამი პირველად იმერეთმა ააფრიალა. ვანელი მამულიშვილნი —მეამბოხეთა ერთ-ერთ პირველ კოჰორტაში ჩადგნენ ამბერკი ადეიშვილის მეთაურობით.

აჯანყებამ ვანის რაიონში პირველად იფეთქა უუმურში, ადეიშვილის მშობლიურ სოფელში. ამბერკის მიერ შედგენილმა რაზმმა დაახლოებით ექვსი ათეული კაცის რაოდენობით (რომელშიც შედიოდნენ სამხედრო პირნი, მასწავლებლები, თუ სხვადასხვა უწყებათა მოხელენი: ძმები ივანე და სახონ გიორგაძეები, კალისტრატე ზამთარაძე, მირონ და მიხეილ დევაძეები და სხვანი) აიღო გზად შემხვდური სოფლები და შემოვიდა ვანში.

რაზმი მიადგა რაიაღმასკომს. წინ წადგა ამბერკი და ამ დაწესებულებაში მომსახურეთ მოსთხოვა დანებებულიყვნენ. ამ დროს შენობაში შესახვლელ კიბეებზე გამოჩნდა ალექსანდრე კოლუაშვილი, კაცი რომელიც ჯერ (1918 წელს) იარაღს უმზადებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შიდა მტრებს, ქართველ ბოლშევიკებს, მერე მიეგნო თბილი ადგილისათვის, ირიცხებოდა ქუთაისის საგანგებო დანიშნულების ლეგიონში მეკუჰნავედ, ახლა კი თემის აღმასკომის თავმჯდომარედ დაეწინაურებინათ. მან იძრო რევოლვერი და ესროლა ამბერკის. ამ უკანასკნელს კისრიდან სისხლი წასკდა და დაეცა. მაშინ ამბერკის ძამ ვერამ (ვერიჩქამ), ვინც ძმას ტოლს არ უდებდა ვაჟკაცობაში და ვისაც ამბერკი მკვდარი ეგონა, მსწრაფლ ახალა ტყვია კოლუაშვილს და უსულოდ დასცა ძირს. იმ წამს წამოდგა ამბერკიც, რომელიც მსუბუქად დაჭრილი გამოდგა. მას კისერი შეუხვიეს და კომკავშირელ-პარტიულებთან მოკლე ბრძოლების მერე აიღეს ვანი.

ამბოხებულებმა დაიჭირეს აქტიური კომკავშირლები, მილიციელები, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები და ჩაამწყვდიეს ისინი ბიბლიოთეკებსა, კოოპერატივების შენობებსა და ეკლესიებში. დააპატიმრეს მუხიანის სადგურში დრეზინით მიმავალი ბობოლა კომუნისტები: ვანო სტურუა, ალექსანდრე ჩიჩილაშვილი და რუბენი. ამოიყვანეს ისინი დაბაში და ჩაკეტეს სოფლის ეკლესიაში. ვანის აჯანყების დიდმნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სწორედ ვანელ მეამბოხეებთან იმყოფება ემიგრაციიდან შემოსული, გამოჩენილი მოღვაწე ვლასა მგელაძე. იგი ჩამოართმევს რუბენს საბუთს, დასტურმყოფელს იმისა, რომ აჯანყება სრულიად სახალხო იყო და მერე ფაქსიმილეს გამოაქვეყნებს პარიზში.

ვანის თავზე აფრიალდა სამფეროვანი დროშა. ატყდა ეკლესიების ზარების რეკვა. გაიმართა მიტინგი.

შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა აჯანყების ერთ-ერთმა მეწინავემ ვალოდია ლორთქიფანიძემ. მან ჩვენი ქვეყნის მტრად მოვლენილი ქართველი ბოლშევიკები შეადარა ტარას ბულბას ასევე სამშობლოს მოღალატე შვილს და ბოლოს დასძინა: ღვთისწარეგანნო, თქვენც იგივე გეკუთვნით რაც ბულბას ულირს ძეს ანდრიისო.

სამი დღე ფრიალებდა სამფეროვანი დროშა ვანში. სამი დღის მანძილზე სუფევდა ამ მიდამოებში თავისუფლების ნიავი და მისი სივრცე ლაჟვარდისფრად იყო შეღებილი. მერმე კი დადგა დიდი სიმძიმილის ჟამი.

გათენდა დემოკრატიის მესამე დღე. წელზევით შიშველი, კოხტად ღლაგი ამბერკი ადეიშვილი პირს იბანს, მას წყალს უსხამს ერთ-ერთი რაზმელი. მოკრძალებით ეახლებიან და შორიახლო დგებიან ახლად მოსული ახალგაზრდა მოჯანყენი.

— რამ მოგიყვანათ, რაშია საქმე? — კითხულობს ამბერკი, ვისაც გუმანი კარგს არაფერს ამცნობს.

— ტალახაძის კურსანტები შემოვიდნენ სამტრედიაში, — არის პასუხი.

— რამდენი არიან?

— ახი კაცი.

— ხვალ ასივეს ნახავთ აქ ბულუზგაკოჭილს.

ამ სიტყვებით ამბერკი ჯდება ჭიშიან ბედაურზე, თან ახლებს 15 კბილებამდე შეიარაღებულ მეომარს და ყველანი გაქუსლავენ სამტრედიისაკენ.

როდესაც 1924 წლის აჯანყებაზეა საუბარი, ახსენებენ კახეთის, გურიის, სვანეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების ცალკეულ ამბოხებებს. მაგრამ დღესდღეობით არ იყო ცნობილი შედგა თუ არა წითელ რაზმებსა და მოაჯანყეთა გენერალური ბრძოლა. დიახ, მრავალ თვითმხილველთან საუბრით გაირკვა, რომ ეს ბრძოლა შედგა სწორედ სამტრედიაში.

ღამით რიონს ნავებით დაუყვნენ იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს გაერთიანებული რაზმები. წითელმა არმიამ იცოდა ამ მანევრის შესახებ და მისი ნაწილები განლაგდა მდინარის ნაპირთან. მაგრამ მოჯანყეებმაც კარგად უწყოდნენ მტერი რომ ელოდათ და ბელუყუმბარებით მოსპეს წითლების პირველი მწკრივები. მალე ომში გაუწვრთნელმა, ოღონდ თავისუფლების გზნებით გამხნევებულმა მეამბოხეებმა, კუდით ქვა ასროლინეს ტალახაძის ნაწილებს. ნაადრევი გამოდგა მათი სიხარული. სამტრედიაში უმალ შემოვიდა ჩონი (საგანგებო დანიშნულების ნაწილები) და დატრიალდა ნამდვილი ჯოჯოხეთი. ამ დაუნდობელმა ნაწილებმა თითქმის ერთიანად მოსპეს მოჯანყეთა ცუდად შეიარაღებული რაზმები, მერე კი მშვიდობიან მოსახლეობას დაერივნენ. ხოცავდნენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. თავი მოუყარეს ღამის ხამ ახეულ მღვდელს და რიონის პირას დახვრიტეს. შინსახკომელი შალვა ლეჟავა იგონებდა, კიდევ კარგი, მოვახერხე და არ გავერიე ამ საქმეში, ჩვენი რაზმელები სასულიერო პირებს რევოლვერით ხვრეტდნენ, მიზანში სროლაში ვარჯიშობდნენო.

ამ ბრძოლაში მონაწილეობდა ამბერკი ადეიშვილის რაზმი, რომელიც სხვა თითო-ოროლა გადარჩენილი მოჯანყეების დარად უბრუნდება მშობლიურ ღ ბახ. ვანში ამოდიან ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული დამსჯელი რაზმები. მათ უერთდებათ ქუთაისის კომუნართა რაზმიც. გამთენიის ხანს ვანის მილიციაში დამწყვდეულ კომკავშირელთა და პარტიულთა დარაჯად მიჩენილ ისიდორე ძაგნიძეს მიუახლოვდა რამდენიმე კაცი. ესენი იყვნენ ქუთაისელ კომუნართა რაზმის მზვერავები.

— რას აკეთებ აქ? — შეეკითხნენ ისინი მცველად მიჩენილ ისიდორე ძაგნიძეს.

— კომუნისტებს ვდარაჯობ! — იყო პასუხი.

ისიდორე ძაგნიძე იმ წამს მიაყენეს კედელთან და დახვრიტეს. ეს იყო დამსჯელი რაზმის პირველი მსხვერპლი.

მერე კი შედგა სამეული ძველი ჩეკისტის, დავით ლორთქიფანიძის მეთაურობით და დაიწყო მოჯანყეთა უწყალო ჟლეტა!

დახვრიტეს ინაპოლისტე ლორთქიფანიძე, ალიოშა ახვლედიანი, ძმები გიორგაძეები, მრავალნი სხვანი. ძმები გიორგაძეების დახვრეტა ასე მოხდა: დასახვრეტად შეარჩიეს ერთ-ერთი ძმა ივანე, მაგრამ მეორე აღარ მოსცილდა. — დახვრიტეთ ეგეც, მოგვაბეზრა თავი, — დაიყვირა დავით ლორთქიფანიძის შემცვლელმა გიორგი ჩხენკელმა და ისინიც გაუყენეს თავისი ძმის გზას.

აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე შალვა ჩიქოვანი იგონებს: როცა ვანში ტყვიამფრქვევები აკაკანდა, რამდენიმე ახალგაზრდა გავიქეცით, ტყეებს შევაფარეთ თავი. ღამე გავათიენეთ ერთ სახლში, მაგრამ დილით დაგვადგნენ წითელი ბანტებით მორთული რაზმელები, დაგვაპატიმრეს და ჩაგვიყვანეს ვანში. იქ წვერმოშვებულმა ჩეკისტმა, რომელსაც რევოლვერი ედო მაგიდაზე მკითხა

— 28 მაისი უქმე არის თუ არა. გარედან ისმოდა სროლის ხმა და ხალხის გმინვა. დავდრკი და დუმილი ვარჩიე. როგორ, მთელმა საქართველომ იცის და შენ ბაიბურში არა ხარო, მიყვირა და რევოლვერის ტარით ჯერ ნიკაპი ამიწია, მერე კი თავში ჩამარტყა და წიხლიც მომაყოლა. ჩემს თვალწინ გაუყვდათ ხალხი დასახვრეტად საყანჩიაში. დახვრიტეს უბანეიშვილები, ხურციძეები, ნიჟარაძეები. დაპატიმრებული რცხილაძის შვილს სცემეს, ბომბების შენახვას აბრალებდნენ, მერე გაიყვანეს დასახვრეტად. მამა ჰკუაზე შეცდა. ქუთაისელი ჩეკისტი ალიოშა იმედაძე თავისი ხელით ხვრეტდა ხალხს. დროდადრო ჯუჩაში (კამოვარდებოდა) რევოლვერით ხელში — ყველას მოგილებთ ბოლოს თქვე ძაღლიშვილებო, ყვიროდა.

ვანში მომხდარი ამბების გამო და ძველ ბოლშევიკთა (სტურუას, ჩიჩელაშვილის და რუბენის) დასახსნელად საგანგებოდ ჩამოდის ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე მამია ორახელაშვილი.

ჩონის რაზმელები და ჩეკისტები აჯანყების მონაწილეებზე ნადირობენ ყველა სოფლებში: ოფშკვითში, საპაიქაოში, სულორში. ამ ბოლო სოფელში ჩეკისტებმა ვაშალომიძემ და კიკალიშვილმა მიაგნეს ამბოხებულ ჯგუფის ერთ-ერთი მოთავის, პროვიზორ პოლიკარპე ნაფეტვარიძის კვალს. პოლიკარპე გაექცა მათ და დააპირა მდინარე სულორის ფონში გასვლა, მაგრამ ვაშალომიძემ ესროლა და მოკლა.

განსაკუთრებული სისასტიკით დაერივნენ სამღვდელოებას. დაიჭირეს თითქმის ყველა მღვდელი თუ ვანის მთებზე აგებულ პატარა ეკლესიებში დაყუდებული ბერი. დახვრიტეს ცნობილი მოძღვარი ქვალიანი.

მილიციის შენობაში გათამაშდა ჯხეთი საზარი სცენა:

ზის თავისთვის ჰმუნვამორეულ მღვდელი. ლოყაზე ხელი აქვს აფარებული.

— რა დაგემართა, მამაო? — ეკითხება ჩეკისტი.

— კბილი მტკივა შვილო!

— გააღე პირი, მე ვიცი მაგის წამალი.

მღვდელი დანდობილად გახსნის ბაგეებს და ჩეკისტი შიგ პირში ჩაახლის ცხელ ტყვიას.

რამდენიმე ათეული კაცი ჩეკისტებმა თბილისში წაიყვანეს დასახვრეტად.

ტყეში დამალვა მოახერხა მხოლოდ თითო-ოროლა მეამბოხემ, მათ შორის აჯანყების თავკაცმა ამბერკი ადეიშვილმა. ამბერკის თან ახლდა ყოფილი სამხედრო პირი თვალაბეიშვილი. ერთ დღესაც ისინი გასცეს. ქუთაისიდან მოვლინებული ჩეკისტი ვალიკო გიგაური ორმოცკაციანი ცხენოსანი რაზმით გარს შემოერტყა იმ ადგილს, სადაც მათი ვარაუდით ეს ორნი იმალებოდნენ. გიგაურმა გორაზე დააყენა ტყვიამფრქვევი, მერე მოაყვანინა ამბერკი ადეიშვილის მამა და ჰკითხა, სად იმალება შენი შვილიო.

— ჯერ ერთი არ ვიცი, და რომ ვიცოდე კიდეც, როგორ ფიქრობთ, შვილს გავცემ? — მიუგო თეთრწვერა მოხუცმა. —

— შენ რაღას გვეტყვი? — მიუბრუნდა გიგაური ახევე დაპატიმრებულ ამბერკის დას, ვერას (ვერიჩკას).

— მაი დედასა, რომ ჭოლფეხი შებოჭილი მაქვს, თორემ მე თქვენ გიჩვენებდით სეირს. ძმას მე ვერ გავცემ, თუ კარგი ბიჭები ხართ, თქვენ თვითონ სცადეთ მისი დაჭერა, — თამამად შეესიტყვა ვერიჩკა.

მაშინ გიგაურმა ამბერკის მამა მიაგზავნა იმ სახლთან, რომელიც საეჭვოდ მიაჩნდა და დაავალა გადაეცა მოჯანყეთათვის, ალყა გაქვთ შემორტყმული და დაგვნებდითო.

მოხუცი მივიდა სახლთან, მაგრამ მალე მობრუნდა უკან და ნირშეუცვლელად უთხრა გიგაურს; იქ არავინ არის, გარდა დიასახლისისა. ამ დროს, რა თქმა უნდა, იცოდა, თუ რას აპირებდა მისი შვილი.

ახე იგონებს ამ ამბავს მისი მონაწილე დს განაგრძობს:

მაშინ უფროსმა გადაწყვიტა ალყის შიგნით შეეშვა სამი ყველაზე მამაცი და გამბედავი რაზმელი, მათ ყველა სახლი გულდაგულ უნდა გაეჩხრიკათ.

როდესაც ისინი რკალში შევიდნენ, ადეიშვილი და თვალაბეიშვილი გამოვარდნენ გარეთ ნაბდებით. ტყვიამფრქვევის პოსტიდან იყვირეს — გამოვიდნენ, გამოვიდნენო და შეიქმნა გამაყრუებელი სროლა. ზევიდან კაკანებს ტყვიამფრქვევი, ქვევით კი ყველა ისვრის. ლევნილებს მოუძვრიათ ნაბდები და ისე დაუყუდებიათ, ვითომ კაცებიაო, თვით კი უგანებიათ. ალყაში შეგზავნილმა რაზმმა შეამჩნია ნაბდები და დაუშინა ტყვია. ამასობაში ლევნილებმა გვერდიდან დააყარეს მათ ტყვიები და ორი მათგანი იქვე სასიკვდილოთ დაჭრეს. შემდეგ მიდგომიან რკალს, სადაც ორი კომკავშირელი ყოფილა, ერთი მათგანი მოუკლავთ. ბოლოს სროლა მიწყდა. ყველას ჰგონია, რომ ადეიშვილი და თვალაბეიშვილი რკალიდან არ გასულან, შემდეგ გამოირკვა, რომ რაზმიდან დაუხოციათ სამი კაცი, ორი ქუთაისელი კომუნარი და ერთიც კომკავშირელი — ტობანიერიდან და თვით კი გაურღვევიათ ალყა და გაქცეულან.

ამ ოპერაციისათვის შემდეგ შტაბის უფროსი მოხსნეს, ხოლო რაძპარტინსტრუქტორ გიგაურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლიკი საყვედური გამოუცხადეს, თვითნებური მოქმედებისათვის".

ასე ხშირად გაუჩინარებულა ამბერკი ადეიშვილი. მაგრამ ბოლოს იგი შეაწუხა იმ ვითარებამ, რომ მისი გულისთვის ხალხს ავიწროვებდნენ. ის დაჰყვა ჩეკისტი გიორგაძის ნებას და ილია ადეიშვილის შუამდგომლობით ჩამოვიდა ყუმურში. იქ მისულმა გიორგაძემ შესთავაზა სამსახური, მაგრამ ამბერკიმ ცივი უარი თქვა: კომუნისტებს ვერა და ვერ გავუწევ სამსახურსო.

ამბერკი გადაასახლეს ჯერ სოლოვკაში, სადაც ის იჯდა კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუასთან ერთად, მერე მოხვდა ყაზანში, სადაც არის დასაფლავებული.

აღარ ჩანს ვანის ცენტრში დიდრონი ძელქვები, ეს მშვენება და სიამაყე მთელი იმ არე-მიდამოსი, მაგრამ ხალხი იგონებს მათ.

აღარ არის ამბერკი ადეიშვილი, ეს პატივი და დიდება ყოველი ვანელისა. გაქრა მის მიერ გადასახლებაში დაწერილი დღიურიც, ეს დიდად მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტიც.

მაგრამ დარჩა მისი მარადიული ხსოვნა.

**ედიშერ გიორგაძე**

## ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

### რას უძლის ქართველი ხალხი?..

I.

ამჟამად, ვინ არიან საქართველოს ყველაზე უფრო დიდი მტრები? - თვით ჩვენ, ქართველები. ჩვენ ქართველები, ვამბობ, იმიტომ, რომ არც ერთი ერი, არც ერთი ქვეყანა არ აწერს ყველაფერს - "კარგს" თუ "ცუდს" - ერთ პიროვნებას, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ ამჟამად. ზოგიერთებისათვის(უმრავლესობა?) ზვიად გამსახურდია არის ზეციდან მოვლენილი "მხსნელი", რომლის ქება-დიდებისათვის ყოველგვარ საზღვარს სცილდებიან; ზოგიერთებისათვის(უმცირესობა?) გამსახურდია არის ყველაფერში დამნაშავე, მხსნელის ანტიპოდი, რომ არ ვთქვათ, "სატანა." და ჩვენ ქართველები საქართველოსა და საქართველოს პრეზიდენტის ამგვარ სურათს ვაწვდით მთელს მსოფლიოს, ვივიწყებთ რა, რომ ზვიად გამსახურდია, მისი "კარგი" თუ "ცუდი" მხარეებით დღევანდელი ქართველი ერის, საქართველოს შვილია - მისი "მომხრეებისა" და მისი "მოწინააღმდეგეების" ჩათვლით.

II.

და აღნიშნულს რომ დიდი, დიდი უარყოფითი გამოძახილი აქვს მთელს მსოფლიოში, ამის მხოლოდ კრემლის დიდმპყრობელ-შოვინისტებზე გადაბრალება შეუძლებელია, რადგან, უახლესი ხანის, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა უბედურების მთავარი ძალა თვით ჩვენ, ქართველები ვართ; უფრო ზუსტად, ქართველი ბოლშევიკები იყვნენ. და დღესაც ორჯონიკიძე-მახარაძეთა მიმდევრები ბევრი მოგვეპოვება, როგორც ეს 1991 წლის 19 აგვისტოს პუტჩის დროს გამომჟღავნდა, როცა საქართველოს კომპარტიამ ისევ კრემლის ბატონობას დაუჭირა მხარი საქართველოში. და ჩვენ ყველა, ქართველობა "მამა აბრამის ბატკნები" არ ვართ, როცა ზვიად გამსახურდიას ქება-დიდებით თუ ლანძღვით - შეგნებულად თუ შეუგნებლად - ჩირქს ვცხებთ საქართველოს, ქართველ ხალხს, ვინაიდან არც ქებისა და არც ლანძღვის საზღვარი აღარ გაგვაჩნია, რაც შეიარაღებულ შეტაკებამდეც კი მივიდა.

III.

და ამგვარი ჩვენი ვაი-პოლიტიკის ერთერთი შედეგია, თუ გნებავთ, ის, რომ საქართველოს პრეზიდენტი "ჩაკეტილია" საქართველოში, თბილისში, მთავრობის სასახლეში, იმ დროს, როცა რუსეთის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის თუ სომხეთის პრეზიდენტები სა-ერთა-შორისო ასპარეზზე უკვე გამოვიდნენ და მრავალი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეების სამართლიანი აღიარება მოიპოვეს.

IV.

და ჩვენ, ქართველები, ერთერთი უძველესი და კულტურული ერი მთელს მსოფლიოში, რას ვაკეთებთ? - განვავრცობთ ერთმანეთის ან გადაჭარბებულ ქება-დიდებას, ანდა გადაჭარბებულ ლანძღვა-გინებას, რომლის დროს ცეცხლსასროლი იარაღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებისგანაც კი არ ვიხევთ უკან, რითაც მართლაც სა-ერთა-შორისო ყურადღების ცენტრში ვართ, მაგრამ უარყოფითი გავებით, რაც - თავის მხრივ - გზას გვიღობავს გავხდეთ საერთაშორისო საერთო ოჯახის ღირსეული წევრი.

V.

ხალხნო!.. უმრავლესობავ!.. ნუ ყოყოჩობთ, როგორი უმრავლესობაც არ უნდა იყოთ თქვენ; მმართეთ ქვეყანა. მაგრამ კრიტიკისათვის ნუ დაახჩობთ, ნუ ჩაახშობთ უმცირესობას, როგორი მცირეც არ უნდა იყოს იგი. ნუ დაივიწყებთ, გვახსოვდეს: მთელი ერი უმრავლესობა-უმცირესობაა ერთად აღებული; და მოეპყარით უმცირესობას, ერთადერთი ადამიანიც რომ იყოს იგი, ისე, როგორც თქვენ მოისურვებდით მოგეპყრას თქვენ უმრავლესობამ თუ თქვენ უმცირესობაში მოექცეოდით. ნუ დაივიწყებთ, რომ დღევანდელი უმრავლესობა, "ხვალ" შეიძლება,უმცირესობად იქცეს.

VI.

მაშ, რა გამოსავალია ამ "ჯადოსნურ წრიდან?" - ერთ პიროვნებაზე ყველაფერი "კარგის" ან ყველაფერი "ცუდის" მიწერა, როგორც ვხედავთ, არავითარ დადებით შედეგს არ იძლევა. ამდენად, სიტყვა ეძლევა ქართველ ხალხს: მან არჩევნებით, დემოკრატიული არჩევნებით უნდა შესძლოს იმ "ნაკლის" გამოსწორება, რომელიც მან დაუშვა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების დროს, როცა "მრგვალი მაგიდის" დემოკრატიული ოპოზიციური ძალები არ წარადგინა საქართველოს უზენაეს საბჭოში.

VII.

ამის დამადასტურებელ ფაქტად გამოდგება, თუ გნებავთ, სხვა მრავალთა შორის, საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 8 ოქტომბრის "პირველი მოწვევის მეორე სესიის სხდომა", რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქნა საქართველოს კომპარტიიდან არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. "ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა 109 დეპუტატმა, წინააღმდეგი არავინ იყო, თავი არავის შეუკავებია. საპარლამენტო ფრაქციები კენჭისყრაში არ მონაწილეობდნენ", - ასე წერს გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა"(9.10.91 წ.). და ჩვენ კი არა, ვფიქრობ, ვერავინ ვერ ახსნის ამ დელფოსის მისნის პითიასეული "ცნობის" ახსნას!.. როგორც ცნობილია, საქართველოს უზენაესი საბჭო შედგება 250-ი დეპუტატისაგან, და ისეთი რთული საკითხი, როგორიცაა კომპარტიის დეპუტატების, სულ 64 დეპუტატის, უფლებამოსილების შეწყვეტა, დაადგინა უზენაესმა საბჭომ 109-ა ხმით,ე.ი. დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნაკლებით. ვითომ ეს არის "დემოკრატიული არითმეტიკა", როცა ერთადერთი დეპუტატის ხმის უმრავლესობითაც შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება?..

VIII.

მერმეთ: ჩვენ "საქართველოს რესპუბლიკის" დღევანდელი კონსტიტუციის ტექსტი ხელთ არ გვაქვს, მაგრამ - დავაკვირდით რა "საქართველოს რესპუბლიკის" აღნიშნულ ნომერში გამოქვეყნებულ სურათებს, ვხედავთ, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავჯდომარის - აკაკი ასათიანის - გვერდით ზის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მეორე მხარეს ზის საქართველოს პრემიერმინისტრი - ბესარიონ გუგუშვილი, რომლის დროს დაგვებადა კითხვა: ვითომ საქართველოს რესპუბლიკაში დღეს წაშლილია : საზღვარი საკანონმდებლო, მმართველობისა და მართლმსაჯულების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის, რომლის დროს ოპოზიციას არც პარლამენტში - თუ საერთოდ არსებობს - და არც პარლამენტს გარეთ, არავინ,-პირველყოვლისა საქართველოს ხელმძღვანელობა, - ყურადღებას არ აქცევს, თუმცა სისხლისღვრასაც კი ჰქონდა ადგილი პოზიცია-ოპოზიციას შორის?..

IX.

ნუთუ ამ "დემოკრატიულ არითმეტიკასაც" ვერ ხედავს(თუ არ სურს დაინახოს!) ვერც პოზიცია, ვერც ოპოზიცია და,რაც უმთავრესია, თვით ქართველი ხალხი?.. თუ თვით ქართველი ხალხი"არ ვარგა?.." მაგრამ ამგვარი კითხვის დასმაც ხომ ბრიყვულია, რადგან ხალხის, ერის "გამოცვლა" შეუძლებელია, ხოლო სახელმწიფო ხელმძღვანელობის კანონიერი "გამოცვლა", "შეცვლა" დემოკრატიის ფუძეა?!.. მაშ, რას უცდის ქართველი ხალხი?.. რას უცდის საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა და ოპოზიცია?.. "სასწაულს?.."

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1991 წლის 19 ოქტომბერი

# საქართველოს საერთაშორისო ცნობის პრობლემა

ცნობა ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მიერ
მეორე სახელმწიფოსთან დიპლომატიური
ურთიერთობის დამყარების მზადყოფნას.
დიპლომატიური ცნობის ვალდებულება კი
არ არსებობს.

I.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტებია დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები. ასეთი სახელმწიფო იყო საქართველო, ჩვენი ისტორიის უახლოეს წარსულში, 1918-1921 წლებში, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იცნო მსოფლიოს ოცზე-მეტმა სახელმწიფომ, მათ შორის, თვით საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, რომელიც - მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს დაიპყრო - დღესაც ძალაშია იურიდიულად, და ფაქტიურადაც ძალაში შევა, როცა რუსეთის საოკუპაციო ჯარები გაყვანილ იქნება საქართველოს ტერიტორიიდან.

II.

საქართველო დღეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მაინც არ არის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საერთო სახალხო რეფერენდუმი, რომლის დროს ამომრჩეველთა თითქმის ასმა პროცენტმა კითხვაზე - "თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე" - უპასუხა "დიახ"; და ამის საფუძველზე საქართველოს უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 9 აპრილს, მიიღო დეკლარაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. არც ერთ ე.წ-დ "დიდ სახელმწიფოს", რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წევრებია და ამით დიდი უფლებამოსილება გააჩნიათ "ახალი სახელმწიფოს" საერთაშორისო ცნობა-არცნობის საქმეში, - საქართველოს დამოუკიდებლობა არ უცვნია.

III.

"ცნობა ესაჭიროება ყოველ ადამიანს", ამბობს მწერალი კარლ ლიბერხტი; და მით უმეტეს, ცნობა ესაჭიროება სახელმწიფოს, რომ გარდალახულ იქნას გულგრილი დამოკიდებულება ამა-თუ-იმ პირთან თუ სახელმწიფოსთან, რასაც, შეიძლება, გამანადგურებელი შედეგებიც კი მოყვეს. ამგვარი "გულგრილობა" კი, საბედნიეროდ, გარდალახულ იქნა ლიტვა, ლატვია, ესტონეთის მიმართ, რომლებიც უკვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტებია; სლოვენია და ხორვატია კი ისევ იბრძვიან იმისათვის, რომ გახდენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

IV.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნობით სახელმწიფო არ იქმნება. არ არსებობს ორგანო, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ერთი ახალი სახელმწიფოს ავთენტური არსებობა; და საერთაშორისო ცნობა არის ამის სამაგიერო : ის განსაზღვრავს უფლებრივ ურთიერთობას ცნობილ და მცნობელ სახელმწიფოებს შორის.

ცნობა, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, შეიძლება მოხდეს დედა-ქვეყნის, საქართველოს შემთხვევაში სსრკ-ის, სურვილის წინააღმდეგაც, როცა სახელმწიფოს სამი ნიშანდობლიობა არსებობს: სახელმწიფო ხელისუფლება, სახელმწიფო ხალხი და სახელმწიფო ტერიტორია. თუ დედა-ქვეყანა კიდევ ცდილობს მისი "ნაწილი" ტერიტორიის ჩამოშორების აღკვეთას, მაშინ "სახელმწიფო ხელისუფლების" ნიშანდობლიობა ახალი სახელმწიფოსა, - ხდება საეჭვო. ამიტომ საერთაშორისო სამართალმა შექმნა დე ფაქტო, ე.ი. "ფაქტიური" ცნობა, როგორც შესუსტებული ფორმა ცნობისა. ცნობა კი ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე(ახალი) სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მზადყოფნას. მაგრამ დიპლომატიური ცნობის ვალდებულება არ არსებობს. ესპანეთმა, მაგალითად, პერუ იცნო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო 75-ი წლის შემდეგ.

V.

და ასეთ პირობებში, როგორ უნდა იქნეს მიღწეული, რომ საქართველო ისევ გახდეს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, ე.ი. საერთაშორისო სამართლის სუბიექტი? - ყველაზე უფრო მარტივი გზა არის ის, რომ სსრკ-ამ, ე.ი. რუსეთმა ისევ-იცნოს, ძალაში შეიყვანოს 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს სა-

ზავო ხელშეკრულება, რაც იქნებოდა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობა. ამის შემდეგ, ნათელია, გზა გახსნილია საერთაშორისო ასპარეზზე, რომლის უახლესი მაგალითი ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. რუსეთის, ე.ი. სსრკ-ს "სურვილის" წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო სუბიექტად გახდომა, ბევრ წინააღმდეგობასთან არის გადახლართული. მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები, როგორც ჩანს, ბოლშევიკური შეკოწიწებული იმპერიის დანგრევისაგან, სულ ცოტა, ჯერჯერობით, "თავს იკავებს!",- არის ამის მიზეზი ეკონომიკური თუ სხვა ინტერესი. თუმცა მარტო რუსეთიც მაინც ზუმბერაზი სახელმწიფო დარჩება, რომლის ანგარიშის არ-გაწევა არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ შეუძლია.

VI.

ამდენად, დიდი სიფრთხილე, წინდახედულობა და თანმიმდევრობითი მოქმედება გვესაჭიროება, რომ საქართველო გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ამის <u>წინაპირობათ</u> კი ჩვენ მიგვაჩნია ნამდვილი დემოკრატიული წესყობილების შექმნა საქართველოში, რაც - თავის მხრივ - ნიშნავს პოზიცია-ოპოზიციის, დემოკრატიის ამ მოტორის, დანერგვასა და ფუნქციონირებას სახელმწიფოსა და საზოგადოების ყველა დონეზე. სანამ დემოკრატიული წესყობილების დანერგვას ვერ შევძლებთ საქართველოში, მანამ ჩვენ ვერავის ვერ "ვაიძულებთ" იცნოს დე ფაქტო და დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობა; მით უმეტეს, რომ საერთაშორისო სამართლის დებულებათა საფუძველზე, როგორც ავღნიშნეთ, - დიპლომატიური ცნობის ვალდებულება არ არსებობს.

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1991 წლის 12 ოქტომბერი

## 19 აგვისტოს პუტჩი მოსკოვში და მისი შედეგები

I.

1991 წლის 19-21 აგვისტოს გამართლდა ედუარდ შევარდნაძის "წინასწარმეტყველობა", რომ საბჭოთა კავშირში არსებობს ბოლშევიკური დიქტატურის ისევ-ვამეფების საშიშროება. აი, ქრონოლოგია ამ "ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალისა":

1.საბჭოთა რადიო-ტელევიზიამ 1991 წლის 19 აგვისტოს,დილით, გადასცა სსრკ უზენაესი საბჭოს თავჯდომარის - ა.ლუკიანოვის - განცხადება, რაშიც გამოთქმული იყო უარყოფითი დამოკიდებულება სამოკავშირეო ხელშეკრულებისადმი.

2.ა.ლუკიანოვის განცხადებას მოყვა სსრკ ვიცე-პრეზიდენტის - გ.ი.იანაევის - ბრძანებულება, რომ მიხეილ გორბაჩოვს, ჯანმრთელობის გამო, არ შეუძლია პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება, და ის, სსრკ კონსტიტუციის 1927(7)მუხლის თანახმად, შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას 1991 წლის 19 აგვისტოდან.

3.იმავდროულად გამოქვეყნდა საბჭოთა ხელმძღვანელობის განცხადება - ო.ბაკლანოვის, პრემიერმინისტრ ვ.პავლოვის და გ.იანაევის ხელმოწერით, რომ "შემოღებულ იქნა საგანგებო წესები სსრკ ცალკეულ ადგილებში 6 თვის ვადით 19 აგვისტოს 4 საათიდან, მოსკოვის დროით".

4.შეიქმნა, იმავე ცნობით, "სსრკ ში საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტი" - სუკის თავჯდომარის ვ.ა.კრიუჩკოვის, პრემიერმინისტრ - ვ.ს.პავლოვის, შინაგან ჯარების უფროსის - ბ.კ პუგოს, თავდაცვის მინისტრის - ვ.ს.იაზოვის, ვიცე-პრეზიდენტის - გ.ი.იანაევის და სხვების, სულ რვა კაცი, შემადგენლობით.

5.ამ პუტჩის, სამხედრო გადატრიალების, და ე.წ-ლი საგანგებო კომიტეტის - სუნტის - დამარცხებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთის დემოკრატიულმა ძალებმა რუსეთის პრეზიდენტის - ბორის ელცინის - მეთაურობით.

6.მიხელ გორბაჩოვი შინა-პატიმრობიდან,ყირიმში, ისევ მოსკოვში დაბრუნდა და შეუდგა მისი მოვალეობის შესრულებას.

7.პუტჩისტებიდან - პუგომ თავი მოიკლა, დანარჩენები კი დააპატიმრეს.

II.

და რა ღონისძიებებს მიმართა საქართველოს ხელმძღვანელობამ ამ პუტჩისა და მის მომდევნო პერიოდში?..

1. 19 აგვისტოსვე გამოქვეყნდა რადიო-ტელევიზიით საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და მთავრობის მიმართვა, რომ "შექმნილ ვითარებაში მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა..."
"არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ დავუშვათ თვითნებური მოქმედება, დავემორჩილოთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს."

2. საქართველოში საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადებულა, თუმცა იგრძნობოდა რომ ყველაფერი ბეწვზე ეკიდა.

3. საქართველოს კომპარტიამ, ე.წ.-ლ სამხრეთ-ოსეთის თვითმარქვია ხელმძღვანელობამ და აფხაზეთის რიგმა საბჭოურმა ორგანიზაციებმა ერთგულება განუცხადეს პუტჩისტებს.

4. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 1991 წლის 26 აგვისტოს დაადგინა: "საქართველოს კომპარტია აიკრძალოს";"დღეიდან შეწყდეს მისი არსებობა და საქმიანობა". ეს დადგენილება მიიღო საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად "ფაქტებს, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს, მტკიცება არ ესაჭიროება". მაგრამ იქვეა ნათქვამია:"დაუშვებელია მოქალაქეთა დევნა ან დისკრიმინაცია მათი კომპარტიის წევრობის გამო".

5. საქართველოს უზენაესი საბჭო დაეთანხმა პრეზიდენტის ბრძანებულებას "თავდაცვის დეპარტამენტის შექმნის შესახებ, რომელსაც დაექვემდებარება შინაგანი ჯარები - ეროვნული გვარდია". "დეპუტატთა აზრით, ასეთმა გადაწყვეტილებამ ხელი უნდა შეუწყოს იმ პრობლემის მოწესრიგებას, რომელიც წამოიჭრა ამ ცოტა ხნის წინათ გვარდიის სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით".(გაზეთი "სამშობლო", 26 აგვისტო, 1991 წ.). თუ რაში გამოიხატება ეროვნული გვარდიის ეს "პრობლემა", ჩვენთვის უცნობია. ამ "პრობლემამ" ხომ არ გამოიწვია ჩვენი ეროვნული გვარდიის განხეთქილება ორ ბანაკად?..

6. საქართველოს მთავრობის თავჯდომარე - თენგიზ სიგუა - გადადგა, მისი პირადი განცხადების საფუძველზე. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - გიორგი ხოშტარია - გაათავისუფლეს თავის თანამდებობიდან.
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა - მურმან ომანიძე, ხოლო ბესარიონ გუგუშვილი დაინიშნა საქართველოს მთავრობის თავჯდომარედ.

III.

ყველა ამ ფაქტის ფონზე, წარმოიშვა პოზიცია-ოპოზიციის მომხრეთა შეიარაღებული შეტაკებებიც კი, რომლის დროს თენგიზ სიგუა და გიორგი ხოშტარია უკვე ოპოზიციაშია გიორგი ჭანტურიასა(ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) და ირაკლი წერეთელთან(საქართველოს დამოუკიდებლობის პარტია) ერთად, და მოითხოვენ საქართველოს პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას - გადადგომას.

IV.

უკანასკნელი ცნობებით, უკვე დაწყებულია მოლაპარაკება ოპოზიციასა და პოზიციას(მთავრობას) შორის, თუმცა დადებითი შედეგები არ ჩანს, თუ, საერთოდ, შეთანხმებას აქვს ადგილი.

V.

მოსკოვში კი, ამასობაში, შედგა პირველი შეკრება სსრკ-ის უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა, თუმცა, აწ უკვე თორმეტი რესპუბლიკიდან, - შვიდი რესპუბლიკის მონაწილეობით, რომელზედაც სიტყვა წარმოთქვა მიხეილ გორბაჩოვმა. ილაპარაკა მან რა "საერთო სტრატეგიაზე" და რესპუბლიკების საერთაშორისო სტატუსის შესახებ, მოითხოვა განსაზღვრული "შეთანხმება" რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის, რომ რესპუბლიკებმა შესძლოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა. როგორც ამბობენ ხოლმე, "ყველაფერი დინებაშია!.."

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1991 წლის ოქტომბერი

## "თავისუფლება დამოუკიდებლობა არ არის?.."

"დასავლეთი დამბლადაცემულია სსრკ დაშლის შიშით".
"L'Occident paralysé par la crainte de dislocation."
ა.ბეზანსონი("ფიგარო",1.10.91)

I.

"თავისუფლება იგივე არ არის, რაც დამოუკიდებლობაა". ამერიკის შეერთებული შტატები მათ არ დაეხმარებათ, რომლებიც დამოუკიდებლობისაკენ მიილტვიან, რომ ამით "შორეული ტირანია ლოკალური დესპოტიზმით" შეცვალონ. აშშ მათ არ დაეხმარება, რომლებიც "თვითმკვლელობით ნაციონალიზმისაკენ მიისწრაფვიან, რომლებიც ემყარება ეთნიკურ სიძულვილს". - ეს, ჩვენთვის თავზარდამცემი სიტყვები, ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს - ჯორჯ ბუშს, რომელიც მან თქვა თავის სიტყვაში უკრაინის უზენაესი საბჭოს სხდომაზე, 1991 წლის 1 აგვისტოს.

პრეზიდენტ ბუშმა აგრეთვე ნათლად განაცხადა, რომ მას "ყალბ არჩევნად" მიაჩნია, როცა უნდათ მისი იძულება არჩევანი გააკეთოს გორბაჩოვსა და დამოუკიდებლობისაკენ მსწრაფ ადამიანებს შორის. გორბაჩოვს, ბუშის აზრით, განუხორციელებია "გასაკვირველი საქმეები"; და ამერიკას სურს "რაც შეიძლება ძლიერი ურთიერთობა ჰქონდეს საბჭოთა მთავრობასთან", და, ამავე დროს, შეეცდება "კარგი ურთიერთობა ჰქონდეს რესპუბლიკებთან". აშშ დაეხმარება "მათ, ცენტრში და რესპუბლიკებში, რომლებიც მიისწრაფვიან თავისუფლების, დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლებისაკენ. ჩვენ ჩვენი დახმარებისას მივიღებთ გადაწყვეტილებას არა პიროვნებების, არამედ პრინციპების საფუძველზე".

პრეზიდენტმა ბუშმა გაფრთხილება გამოთქვა "დამღუპველი საფრთხე ომების" გამო, რაც უკვე "ზოგიერთ საბჭოთა ქალაქებს, რეგიონებს და რესპუბლიკებს შორის არსებობს". "თავისუფალი ეკონომიკა" მოითხოვს ფართო მასშტაბის მონაწილეობას იზოლაციის გარეშე. "ცხრა-პლიუს-ერთი"-შეთანხმება, ე.ი. შეთანხმება 9 რესპუბლიკასა და "ცენტრს" შორის, იძლევა "უფრო დიდი ავტონომიის იმედს პოლიტიკურად, სოციალურად, კულტურულად, ეკონომიკურად, და უშედეგო იზოლაციონისტური კურსის სამაგიეროდ." აი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის - ჯორჯ ბუშის - სიტყვის მთავარი ადგილები.

II.

ივან დრაჩმა, უკრაინის დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის თავჯდომარემ, განაცხადა, რომ პრეზიდენტი ბუში, როგორც ჩანს, "მოექცა გორბაჩოვის ჰიპნოზის ქვეშ". ბუშის კავშირი კრემლის მთავრობასთან მეტად ძლიერია. "არაჩვეულებრივი დაწოლა" გახდა საჭირო, რომ პრეზიდენტ ბუშს თანხმობა განეცხადებინა "ვინმეს საერთოდ შეხვედროდა, რომელიც ოპოზიციაშია მის მეგობარ გორბაჩოვთან". ივან დრაჩი ფიქრობს, რომ პრეზიდენტი ბუში მოვიდა კიევში "როგორც გორბაჩოვის კურიერი". როგორც ცნობილია, "რუხი", რომელსაც უკრაინის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა ერთი მესამედი ჰყავს, არის უკრაინის დამოუკიდებლობის მომხრე.

III.

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა თქვა: "უკრაინა დაადგა "დემოკრატიის, საბაზრო მეურნეობის და სუვერენობის გზას" და სურს იყოს "თანასწორუფლებიანი წევრი საერთაშორისო გაერთიანებისა".

რამდენიმე-ათასმა ადამიანმა თავი მოიყარა კიევის ქუჩებში, რომ მისალმებოდნენ პრეზიდენტს ბუშს, როგორც მათ მიესალმნენ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს, როცა იგი ესტუმრა კიევს 1972 წელს. დემონსტრანტებმა მხარი დაუჭირეს უკრაინის დამოუკიდებლობას.

IV.

"თუ როგორ რთულია შეერთებული შტატების ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, მისი შინაგანი გარდაქმნის პროცესში, ეს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გაიგო მისი ვიზიტის დროს მოსკოვში...ბორის ელცინი მოითხოვდა კერძო საუბარს ჯორჯ ბუშთან. ...მაგრამ მას არ სურდა მისი კარგი ურთიერთობის საშიშროების ქვეშ მოქცევა გორბაჩოვთან...უკრაინაში კი თქვა, რომ აშშ არც ნაციონალიზმს და არც წარსული ტირანიის შეცვლას ლოკალური დესპოტიზმით არ დაუჭერს მხარს.

უფრო ნათლად არ შეეძლო გამოეთქვა მისი აზრი პრეზიდენტ ბუშს: მისი პიროვნება საბჭოთა კავშირში არის მიხეილ გორბაჩოვი". ასე წერს, სხვათა შორის, "ზიუდდოიჩე ცაიტუნგის" კომენტატორი(2.8.1991 წ.).

V.

" ეს არის ერთი ისტორიული მოვლენა", თქვა ჯორჯ ბუშმა მოსკოვში ჩასვლისთანავე და ამით დასაწყისშივე შეაჯამა ამ უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგ-

ბი. უთუოდ, "სტარტ-ის" 750-გვერდიანი ხელშეკრულება, რომლითაც მოხდა საკონტინენტთაშორისო ბალისტური ატომური რაკეტების რაოდენობის განსაზღვრა, დიდი მნიშვნელობის მოვლენაა, მაგრამ, როგორც სარაკეტო ჯარების გენერალმა იური ლებედევმა თქვა:

"ორივე მხარე რჩება საკმარისად ძლიერი, რომ ერთმანეთი და დანარჩენი მსოფლიო რამდენიმეჯერ ჰაერში ააფეთქონ".

პრეზიდენტ ბუშის მრჩეველმა უშიშროების საქმეებში - გენერალ ბრენტ სკოუკროფტმა კი თქვა: "უპირველესად ფილოსოფიური უმაღლესი დონის შეხვედრა".

VI.

ყველაზე უფრო ზუსტ დახასიათებას მესახება, ამ უმაღლესი დონის შეხვედრისა, გერმანელი კომენტატორი ჰანს-ულრიხ კემპსკისა ("ზც", 2.8.1991), რომელიც ასეთ სათაურს აძლევს "ორი დიდის" შეხვედრას:
"ორი დიდი აპრიალებენ თავიანთ ახალ როლებს". "როგორ მიხეილ გორბაჩოვმა და ჯორჯ ბუშმა დახვეწილი ილუზიის ტექნიკით მერიგების სურვილის პიესა დადგეს". "დასასრული ამ სპექტაკლისა ბუშმა ჩამოსვლისთანავე შეაჯამა: "ეს არის ისტორიული მოვლენაო".

VII.

ამგვარი( ირონიული? ) შენიშვნის საბაბს, უთუოდ, იძლევა, არა მარტო "სტარტის" ხელშეკრულების მასშტაბი -"ორივე მხარე რჩება საკმარისად ძლიერი, რომ ერთმანეთი და დანარჩენი მსოფლიო რამდენიმეჯერ ააფეთქონ ჰაერში" -, არამედ

უფრო მეტად, პრეზიდენტ ბუშის განცხადება კიევში, რომ "თავისუფლება იგივე არ არის, რაც დამოუკიდებლობაო!" აქ კომენტატორს უჭირს აზრის თავისუფლად გამოთქმა, ვინაიდან აქ საქმე ეხება არა გორბაჩოვსა და მის წინამორბედთ, არამედ ჯორჯ ბუშს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, რომლის ბაირაღი 1776 წლის 4 ივლისი, ამერიკის დამოუკიდებლობის აქტია, რომლითაც ბრიტანეთის კოლონიებმა არა მარტო თავისუფლება, არამედ დამოუკიდებლობაც მოიპოვეს. ამიტომ, მე პირადათ, აზრის თავისუფლად გამოთქმა "მიჭირს". მაინც ორიოდე შენიშვნა აღნიშნული გამოთქმისა და მისგან გამომდინარე პოლიტიკის შესახებ:
შენიშვნა პირველი: თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჩვენთვის, ქართველების, საქართველოს, ქართველი ხალხისათვის განუყოფელი ცნებებია. ქართველმა ხალხმა 1918-1921 წლებში, "პატარა ოქროს ხანაში" და შემდეგ, 1990 წლის 28 ოქტომბრიდან დაწყებული, უკვე ორ დემოკრატიულ არჩევნებში, ხმების დიდი უმრავლესობით გამოთქვა ურყევი ნებისყოფა, რომ საქართველოს სახელმწიფო უნდა იყოს თავისუფალი, სუვერენული, დამოუკიდებელი მოსკოვიდან, კრემლიდან - დიქტატორი მბრძანებლობს კრემლში თუ დემოკრატი.
შენიშვნა მეორე: რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატები არის უდიდესი, უძლიერესი სახელმწიფო მსოფლიოში, მაგრამ ამერიკის ავტორიტეტი გამომდინარეობს არა მისი მარტო სამხედრო თუ ეკონომიკური სიძლიერისაგან, არამედ იმისაგან, რომ ამერიკა არის 1776 წლის 4 ივლისის შემქმნელი, ე.ი. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმახორციელებელი ყოველი ჯურის იმპერიული სახელმწიფოების პირისპირ. ამდენად, 4 ივლისის დიადი იდეების დაკარგვად მესახება, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი "საბჭოთა კავშირის", ე.ი. რუსეთის იმპერიის, რაც არ უნდა დაერქვას, "გადამრჩენის" როლში გამოდის, რომლის დროს დამონებული ერებისათვის არსებითი არ არის "დიქტატორია" მიხეილ გორბაჩოვი თუ "დემოკრატი". ჩვენ გვსურს ვიყოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი.
შენიშვნა მესამე: პრეზიდენტ ბუშის განცხადება, რომ ამერიკა არ დაეხმარება იმათ, ვინაც სურს "მორეული ტირანია ლოკალური დესპოტიზმით" შეცვალოს, სულ ცოტა, საქართველოს მიმართ, სრულიად უსაფუძვლოდ მიმაჩნია. როგორც ჩანს, მოსკოვის ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-მოღვაწეების ცდა საბჭოთა იმპერიაში მოქცეული ერები და ეროვნებები ერთმანეთს წაკიდოს, რაც საქართველოში აფხაზების თუ ოსების ექსტრემისტების მხარდაჭერაში გამოიხატა მოსკოვის მხრიდან, - უშედეგოდ არ არ ჩაუვლია. ახლა, როგორც ჩანს, პრეზიდენტი ბუშიც კი ფიქრობს, რომ, ვთქვათ, საქართველოში ქართველი ერის გარდაუვალი უფლებების დაცვა, რაც უგულებელყოფილი იყო ბოლშევიკური ბატონობის დროს, "დესპოტიზმია". ვითომ ჩვენი პოზიცია-ოპოზიციის შეტაკება ამის საბაბს იძლევა?..
შენიშვნა მეოთხე: თავისუფლება, დამოუკიდებლობა არის, ესეც უნდა ითქვას, შეფარდებითი ცნება : ჩვენ ვლაპარაკობთ არა მარტო ერის თავისუფლებაზე, არამედ ადამიანის თავისუფლებაზე, რომლის დროს პიროვნება შეუძლებელია იყოს თა-

ვისუფალი თუ ის ერი, რომელსაც ის ეკუთვნის არ არის თავისუფალი, რაც - თავის მხრივ - რას უნდა ნიშნავდეს თუ არა სახელმწიფოებრ დამოუკიდებლობას.

შენიშვნა მეხუთე: მართალია, არსებობს ერი, ეროვნება ანუ ტომი, რომელთა ერის საზომით განსჯა ადვილი საქმე არ არის, როცა საკითხი სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ეხება. მაგრამ ყოველ ერს, რომელსაც მე ეროვნება-ტომისაგან ვასხვავებთ, უნდა ჰქონდეს არა მარტო თავისუფლება, არამედ ამასთანავე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებაც. და ასეთი ისტორიული ერია ქართველი ერი, რომელსაც გააჩნია სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია. და ვის აქვს უფლება ჩვენ აგვიკრძალოს ვიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი?..

შენიშვნა მეექვსე: ჩვენ არ ვფიქრობ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი დღევანდელი პრეზიდენტი ბუში - ერთი მხრივ - მთელი ცივილიზებული მსოფლიოს წაუძღვა წინ, იარაღით ხელში, ქუვეითის, რაღაც მინიატურული ერთ-მეოთხედ-მილიონიანი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რომლის დროს მანვე კარგად იცის, რომ ქუვეითის ხალხს თავისუფლება არც მანამდე და არც დღეს არ გააჩნია, და - მეორე მხრივ - უარს ამბობს, სულ ცოტა, "დიპლომატიური ხელი" გაუწოდოს, ვთქვათ, ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამერიკის დიდი დემოკრატია ამას არ ჩაიდენს, ვერ ჩაიდენს.

შენიშვნა მეშვიდე: მართალია, დღეს მარქსიზმი თითქმის სასაცილოდ გახადა ბოლშევიზმის გაკოტრებამ, მაგრამ ვითომ მაინც ეკონომიკა მართავს "დიდ ჰუმანიტარულ იდეალებსაც?.." ვითომ აშშ "ერთიანი საბჭოთა ბაზრის" შენარჩუნებას ანაცვალებს საბჭოთა კავშირში მოქცეული ერების, ვიმეორებ ერების და არა ეროვნებების=ტომების, - თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას?.. ვიმეორებ: ამერიკის დიდი დემოკრატია ამას არ ჩაიდენს, ვერ ჩაიდენს.

შენიშვნა მერვე: მაგრამ რომ ჩაიდინოს, მაშინ რა? - ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დედაბოძია არა ესა თუ ის "ზე-სახელმწიფო", ვბედავ და ვამბობ, თვით ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერესი სახელმწიფოს ჩათვლით, არამედ ერი, ხალხი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. და ამგვარი დედაბოძია ქართველი ერის, ქართველი ხალხის, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თვით ქართველი ხალხი, ე.ი. ჩვენ ყველა, საქართველოს მოსახლეობა. ჩვენ, ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით უნდა "ვაიძულოთ" ჩვენი დამპყრობლები და მათი მხარდამჭერნი აღიარონ არა ჩვენი მარტო თავისუფლება, არამედ ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რადგან თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ე.ი. ერისა და პიროვნების თავისუფლება, ჩვენთვის, ქართველებისათვის, საქართველოს მოსახლეობისათვის განუყოფელი ცნება იყო, არის და იქნება. ამდენად, საქართველოსათვის, ქართველი ერისათვის თავისუფლება დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარეშე - არ არსებობს.

## VIII.

მაგრამ პრეზიდენტ ბუშმა ხომ არ თქვა - "თავისუფლება იგივე არ არის, რაც დამოუკიდებლობა" - იმ გაგებით, რომ ერისა და პიროვნების თავისუფლების და დამოუკიდებლობის წინაპირობაა დემოკრატიული წესწყობილება?.. და თუ ეს ასეა, მაშინ ეს ხომ მთლიანად ესიტყვება "26 მაისის დიად იდეებს?.."

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1991 წლის აგვისტო

---

„ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა."

„მესამე დასი", *1893* წელი.

# საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ფრანსუა მიტერანს

ბატონო პრეზიდენტო!

1921 წელს, მას შემდეგ რაც საქართველო ოკუპირებული იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ, ქართულმა მთავრობამ თავშესაფრად საფრანგეთი აირჩია, რომელმაც თავის მხრივ მას ფართოდ გაუღო საკუთარი გული და კარი.

1922 წელს საქართველოს მთავრობამ შეიძინა პატარა მამული ლევილში (სენისა და უაზის დეპარტამენტი), პარიზთან ახლოს, სადაც აგრეთვე მდებარეობს ქართული სასაფლაო, ლევილის მუნიციპალური სასაფლაოს გვერდით, და იქ ამჟამად განისვენებენ ქართველთა ნეშტები.

დღეს, როდესაც საქართველო იბრძვის თავისუფლებისათვის და არჩეული ვარ პრეზიდენტად, მე გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, გამოიჩინოთ კეთილმოსურნეობა და დაიცვათ მამულის ტერიტორიული მთლიანობა და ხელშეუხებლობა, როგორც ქართველთა ისტორიული ნავსაყუდელისა საფრანგეთში. იგი მომავალში ჩვენი ერების დაახლოების კერა უნდა გახდეს.

მივესალმები საფრანგეთს და მის მარადჟამ სტუმართმოყვარე მიწა-წყალს, გამოვთქვამ იმედს, რომ ის კვლავაც დაუჭერს მხარს ჩვენი ორი ხალხის მეგობრობასა და კავშირს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია

1991 წლის 28 ივნისი

## მ ი მ ა რ თ ვ ა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორატსა და სენატს!..

საქართველოს საზღვრებს გარეთ მრავალი არაქართველი მეცნიერია, რომლებიც მეცნიერულ-კულტურულ კვლევაძიებასა და ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას ემსახურებიან, რაც, ვახაკებია, დიდად დასაფასებელია, მით უმეტეს, რომ მათ ამგვარი მოღვაწეობისათვის, ზოგჯერ, მინიმალური მატერიალური სარგებლობაც არ აქვთ. ასეთი თავდადებული "ელჩები" საქართველოს, ქართველ ერს ჰყავს არა მარტო ევროპაში, რომლის ერთი განუყოფელი ნაწილი თვით საქართველო, ქართული კულტურაა, არამედ შორეულ ამერიკაშიც კი; და, ერთა, ვფიქრობთ ამგვარ ადამიანებზე, რომლებიც დღეს უკვე მსოფლიოს ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში მოღვაწეობენ. და აქ ჩვენი ყურადღება შეჩერდა, ამ-ჯერად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე.

რის გაკეთება შეუძლია ამ მიმართულებით თბილისის უნივერსიტეტს? - ჩვენ ვფიქრობთ, სანამ საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო არ არის, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში, და არ გაგვაჩნია უცხოეთის ქვეყნებში ჩვენი საელჩოები, საკონსულოები თუ სხვა სახის წარმომადგენლობა, მანამ ჩვენ უნდა შევძლოთ ანალოგიური კავშირების დამყარება არა-ოფიციალური არხებით, რასაც თბილისის უნივერსიტეტი სხვადასხვა სახის სემინარების თუ კურსების გამართვით, მეტ-ნაკლებად, ახორციელებს. მაგრამ, ვფიქრობთ, თბილისის უნივერსიტეტი "გადაჭარბებულ სიმკაცრეს" იჩენს, თუ გნებავთ, "საპატიო დოქტორის" მინიჭების საქმეში არა-ქართველი, უცხოელი მეცნიერებისადმი, მით უმეტეს, რომ ამგვარი მოქმედება არავითარ დაბრკოლებასა და ფინანსიურ ხარჯებს არ იწვევს. მართალია, თბილისის უნივერსიტეტმა ზოგიერთ უცხოელ ქართველოლოგს მიანიჭა "საპატიო დოქტორის" სახელწოდება, მაგრამ საჭიროა, ჩვენის აზრით, ამ მიმართულებით უფრო თანამიმდევრული მოქმედება. მაგალითად, ამ "მიმართვის" დაწერის საბაბი, ამ-ჯერად, გახდა ციურიხში(შვეიცარიაში) ქართველოლოგთა ჯგუფის კიდევ ერთი ნაშრომი - ჩვენი დიდი პოეტის აკაკი წერეთლის "მოგონების" თარგმანი გერმანულ ენაზე: აკაკის ამ "მოგონების" მთარგმნელებია შვეიცარიელი, აქ საქართველოშიც კარგად ცნობილი მანდილოსნები - რუთ ნოიკომი და იოლანდა მარხევი, რომლებიც თავგანწირულად ემსახურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან ქართულ კულტურა-მეცნიერებას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მათ შესძლეს, დოქტორ კიტა ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ, იოლანდა მარჩევის ხელმძღვანელობით და ლეა ფლურის, რუთ ნოიკომისა და ვიქტორ ნოზაძის თანამშრომლობით, "ქართულ-გერმანული ლექსიკონის" სამტომეულის გამოცემა ციურიხში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კიტა ჩხენკელს ციურიხის უნივერსიტეტმა "საპატიო დოქტორის" წოდება მიანიჭა მის მიერ გამოცემული ორტომეულის - ქართული ენის სახელმძღვანელოსათვის.

**Manesse Bücherei 1990**

**Akaki Zereteli**
**Aus meinem Leben**
Aus dem Georgischen übertragen von Ruth Neukomm und Yolanda Marchev
158 Seiten. Pappband mit Umschlag
sFr. 15.50/DM 16.60
Manesse Bücherei Band 34
ISBN 3-7175-8167-8

Die Erinnerungen von Akaki Zereteli (1840-1915), «Georgiens unsterblicher Nachtigall», die hier erstmals auf deutsch vorliegen, berühren, bei aller scharfsichtigen Kritik, durch ihre liebenswürdige Menschlichkeit und ihren feinsinnigen Humor. Sie sind ein hervorragendes Beispiel der neueren georgischen Prosa und ein wertvolles Zeitdokument über die damaligen Lebensumstände in Georgien zur Zeit des Kampfs um die Unabhängigkeit.




რა თქმა უნდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საპატიო დოქტორის" წოდების "გაუფასურებასაც" უნდა ავარიდოთ თავი, მაგრამ აღნიშნული პირები და სხვა მეცნიერი-ქართველოლოგები შვეიცარიაში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში, უთუოდ, ამგვარი აღიარების ღირსნი არიან, და, ვიმედოვნებთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, და ან უკვე ბათუმის, ქუთაისისა და სოხუმის უნივერსიტეტების რექტორატები და აკადემიური საბჭოები, ამ მეტად საჭირბოროტო საკითხს უყურადღებოდ არ დატოვებენ.

ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში
პარიზი, 1991 წლის თებერვალი

„ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის - თავს ერთ ერათ. ჭირში და ლხინში განუყრელათ. აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე"-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაუღალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით - არსებობას განსაცდელი მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას ალაგვას უპირობს. ამ შემთხვევაში ილვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით."

ნოე ჟორდანია 1893 წ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## მე რომ "მემარჯვენე" ვიყო!?..

ფიქციური ინტერვიუ ერთ "მემარცხენესთან" მრავალპარტიული არჩევნების ერთი წლისთავზე(1990-28 ოქტომბერი-1991).

### მიმოხილვა

> ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს საქმე არასოდეს არ არის სრულყოფილი, თუმცა "ადამიანი შესაქმის გვირგვინი", ხოლო "ერის ხმა ღვთის ხმაა". მხოლოდ პოზიცია-ოპოზიციის, მხოლოდ კონსტრუქციული კრიტიკის პირობებში შესაძლებელია სრულყოფილებასთან მიახლოება.

### შინაარსი:

1.შესავალი
2.პოზიცია-ოპოზიცია
3.სამი ორგანო: კანონმდებლობა - მმართველობა - მართლმსაჯულება
4.პოზიცია-ოპოზიცია"პატარა ოქროს ხანაში"(1918-1921 წლები)
5.ევროპის მაგალითი
6."მანკიერებანი"
7."მრგვალი მაგიდა"
8.1991 წლის 17 და 31 მარტის რეფერენდუმი
9.9 აპრილი და 26 მაისი
10.კონსტიტუცია და მისი შეცვლა
11.გერბი და კონსტიტუცია
12.პრესა
13.ქართული პოლიტიკური ემიგრაციის აზრი
14.ევროპის პრესა საქართველოზე
15.საპრეზიდენტო არჩევნები
16.დემოკრატიული სტრუქტურა
17."უმრავლესობის დიქტატურა?.."
18."ქართული დემოკრატია" - პროფკავშირები
19.პრესა - სახელმწიფო ხელისუფლების მეოთხე ორგანო
20.ეროვნულ გვარდიელთა ფიცი - გვარდიელთა განხეთქილება
21."სოციალური დემოკრატია"
22.კონსტრუქციული და დესტრუქციული კრიტიკა
23.ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეები
24.დემოკრატია უმრავლესობის ბატონობაა
25."პიროვნების კულტი?.."
26."მემარჯვენე" და "მემარცხენე"
27. მმართველობის ბოლშევიკური სტრუქტურები
28.კრიტიკოსთა ოთხი ჯგუფი?..
29."მენშევიკები?.."
30.საქართველოს კომპარტია
31."მოძრაობა" და "პარტია"
32."პირველი" თუ "მეორე" პრეზიდენტი?..
33."ეროვნული კონგრესი" - "მხედრიონი"
34.19-21 აგვისტოს პუტჩი მოსკოვში და საქართველო
35.ისევ"მემარჯვენე" და "მემარცხენე"

- . - . - . - . - . - . - . - . -

### მე რომ "მემარჯვენე" ვიყო!?..

1.შესავალი: შესრულდა ერთი წელი 1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების დღიდან. 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები - ეს იყო,მეტ-ნაკლებად, მეორე მრავალპარტიული არჩევნები საქართველოს ისტორიაში,საერთოდ: პირველი დემოკრატიული არჩევნები საქართველოში ჩატარდა 1919 წლის თებერვალში, რომლის დროს საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, საქართველოს ამომრჩევლებმა, სულ 130 დეპუტატი აირჩიეს, რომელთაგან საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 109 დეპუტატი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ 8 დეპუტატი, ფედერალისტთა პარტიამ - 8 დეპუტატი და სოციალისტ-რევოლუციურმა პარტიამ 5 დეპუტატი. 1991 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში კი, საქართველოს ამომრჩევლებმა, აირჩია მხოლოდ ორი პარტიის "მრგვალი მაგიდისა" და კომპარტიის დეპუტატები, რომლის დროს კომპარტიას საქართველოს უზენაეს საბჭოში მხოლოდ 64 დეპუტატი ჰყავდა, ხოლო "მრგვალ მაგიდას" თითქმის ყველა დანარჩენი დეპუტატი უზენაესი საბჭოს სულ 250 დეპუტატიდან. და ახლა, როცა საქართველოს კომპარტია გაუქმებულია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპარტიის დეპუტატთა მოღვაწეობა საქართველოს უზენაეს საბჭოში "მეჩერეზუ-ლია", საქართველოს უზენაეს საბჭოში, - თითო-ოროლა დეპუტატებს გარდა, მხოლოდ "მრგვალი მაგიდის" დეპუტატებია, რაც, გასაგებია, დემოკრატიის სასარგებლოდ არ მეტყველებს, მით უმეტეს, რომ პოზიცია-ოპოზიცია, ჩვენდა საუბედუროდ, შეიარაღებულ შეტაკებებიდანაც კი არ იხევს უკან. -

 აი, ახლა პირობებში აღვნიშნავთ ჩვენ საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნების ერთი წლისთავს. რას იტყოდით თქვენ საქართველოს უზენაესი საბჭოსა და საქართველოს ხელმძღვანელობის მოღვაწეობის შესახებ ამ ერთი წლის განმავლობაში?..

(2) პასუხი: სამწუხაროა, რომ საქართველოს ამომრჩევლებმა, 1990 წლის 28 ოქტომბერს მხოლოდ "მრგვალი მაგიდა" და კომპარტია წარადგინა საქართველოს უზენაეს საბჭოში, და სხვა პარტიები გამოთიშა პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროდან საქართველოს უზენაეს საბჭოში. ამას ვამბობ იმიტომ, რომ კომპარტიას - მისი წარსულის გამო - საქართველოს უზენაეს საბჭოში ოპოზიციის როლის შესრულება არ შეეძლო, რაც ქმნიდა მდგომარეობას, რომლის დროს საქართველოს უზენაეს საბჭოში "მრგვალ მაგიდას" ოპოზიცია არ გააჩნდა, რაც - თავის მხრივ - პოზიციის(მთავრობის) სისუსტესაც უდრის.

შეკითხვა: კი მაგრამ, საქართველოს უზენაეს საბჭოში ოპოზიცია არსებობს ცალკეული პირების-დეპუტატების სახით?

პასუხი: შეიძლება არსებობს, მაგრამ ამის შესახებ არაფერი არ იწერება საქართველოს უზენაესი საბჭოს ოფიციალურ ორგანო -"საქართველოს რესპუბლიკაში".მაგრამ ესეც რომ იყოს, ფაქტი რჩება ფაქტად: საქართველოს უზენაეს საბჭოში არ არსებობს "მრგვალი მაგიდის" ფრაქციის თავჯდომარე თუ სპიკერი; და არ არსებობს კომპარტიის ფრაქცია, თუმცა მან არჩევნებში ხმების 29-ა პროცენტი მიიღო. პარლამენტში კი, რომელშიც პოზიციის (მთავრობა) და ოპოზიციის ფრაქციები და მათი სპიკერები არ არსებობს, არ შეიძლება იწოდოს დემოკრატიულ პარლამენტად საერთაშორისო იურიდიული ნორმების შესაბამისად.

შეკითხვა: კი მაგრამ, თქვენ ეჭვი გეპარებათ საქართველოს უზენაესი საბჭოს დემოკრატიულ მოქმედებაში?

პასუხი: საქართველოს უზენაესი საბჭოს მოღვაწეობის დემოკრატიულობაში დღემდე, მე ეჭვი კი არ მეპარება, არამედ აღვნიშნავ იმ მანკიერებას, რომელიც ჩვენს ამ პარლამენტს გააჩნია. მაგალითად, - თუ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული მასალებით ვიმსჯელებთ - კანონების თუ დადგენილებების მიღება-დამტკიცებას წინ არ უძღვის - ჯერ - მთავრობის დასაბუთება თუ რა საჭიროა მოცემული კანონის თუ დადგენილების მიღება ამჟამად, და - შემდეგ - არ ჩანს პოზიციის სპიკერის, ე.ი."მრგვალი მაგიდის" ფრაქციის სპიკერის აზრი მოცემულ კანონზე თუ დადგენილებაზე; ისე, როგორც არ ჩანს ოპოზიციის სპიკერის, ე.ი.ოპოზიციური პარტიის, მოცემულ შემთხვევაში, კომპარტიის ფრაქციის სპიკერის აზრი მოცემულ კანონპროექტის შესახებ. ეს კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ყველა კანონი-დადგენილება "მრგვალი მაგიდის" სურვილზეა დამოკიდებული.

შეკითხვა: როგორ, თქვენ კანონიერად არ თვლით "მრგვალი მაგიდის" მოქმედებას საქართველოს უზენაეს საბჭოსა და მთავრობაში?

პასუხი: "მრგვალი მაგიდის" კანონიერ მოქმედებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ აირჩია ეს ბლოკი 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში. მაგრამ "პოზიცია", როგორი გამარჯვებულიც არ უნდა იყოს ის, "ოპოზიციის" გარეშე დემოკრატიის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, იმ დროსაც კი, როცა "პოზიცია" ამომრჩეველთა დიდ უმრავლესობას ეყრდნობა; სხვა სიტყვებით, როგორც ჩანს, საქართველოს ამომრჩევლებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არ გააჩნდათ საკმარისი ინფორმაცია დემოკრატიული "მექანიზმების" შესახებ.

შეკითხვა: ასეც არ არის საქმე: ოპოზიცია ძლიერია საქართველოში საქართველოს უზენაესი საბჭოს გარეთ.

პასუხი: მე არ ვფიქრობ, რომ თქვენ ოპოზიციაში გულისხმობთ საქართველოს ეროვნულ კონგრესს თუ "მხედრიონს", ვინაიდან ესენი თითქმის საქართველოს მტრებად არიან გამოცხადებული საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისაგანაც კი. რაც შეეხება იმ პარტიებსა და ბლოკებს, რომლებმაც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ხმების ოთხი პროცენტიც კი ვერ მიიღეს და ამით პარლამენტის გარეშე დარჩნენ, მათ ოპოზიციურ მოღვაწეობაზე, თუ ასეთი არსებობს, არაფერი არ ისმის და, როგორც ჩანს, არც არავის არ აინტერესებს, რაც - თავის მხრივ, - დავძენ აქვე, "მრგვალი მაგიდის", სიძლიერეს კი არა, უფრო სისუსტეს ამჟღავნებს, რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დემოკრატიულ წესყობილებაში სუსტი ოპოზიცია, როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს, - სუსტი პოზიციიდან გამომდინარეობს, თუ ჩვენ გვსურს - და ჩვენ გვსურს ეს, უთუოდ, - თავი ავარიდოთ ყოველი ჯურის ექსტრემიზმს. დემოკრატიის პირობებში ოპოზიცია, კონსტრუქციული ოპოზიცია ყოველთვის უნდა იყოს ისე ძლიერი, რომ "ხვალ" შესძლოს პოზიციის-მთავრობის შეცვლა.

შეკითხვა: თქვენ მაინც მთლიანად არ იზიარებთ საქართველოს უზენაესი საბჭოს ამ მოკლე ხნის მოღვაწეობას?

პასუხი: ჯერ უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოსა და საქართველოს მთავრობის მოღვაწეობა ამ გასული ერთი წლის განმავლობაში "ავტორიტარულია", თუმცა პოლიტიკური გეზი, მიმართული 26 მაისის დიადი იდეების განხორციელებისაკენ, ვფიქრობ, საქართველოს მოსახლეობის დიდი, დიდი უმრავლესობისათვის მისაღებია, რაც ხალხის მხარდაჭერისაგანაც მოსჩანს. მაგრამ...

შეკითხვა: მაგრამ რა?..

(3.) პასუხი: ერთი პიროვნების, რეჟიმის თუ მთავრობის მიერ "ავტორიტარული", ე.ი. თვითნებური მოქმედება ავტორიტეტის ბოროტად გამოყენებაა, რაც დასაგმობია. და აქ საჭიროა მრავალი შენიშვნის, კონსტრუქციული შენიშვნის გაკეთება: პირველთაგანია ის, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს, საქართველოს მთავრობის და საქართველოს მართლმსაჯულების სფეროებში ნათლად არ ჩანს, რომ საქართველოს სახელმწიფოში დღეს, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, კანონმდებლობითი, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა და ერთმანეთის კონტროლი არსებობს. ეს კი არსებობს საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო 1921 წლის 21 თებერვალს. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ყველაფერში მოსჩანს მხოლოდმხოლოდ ერთი პიროვნება - საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტი გახდა 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებში.
სად არის მთავრობა? სად არის მართლმსაჯულება? სად არის სხვა პოლიტიკური პიროვნებები და ლიდერები, რომლებიც, შეიძლება, "ხვალ" ჩაუდგენ სათავეში საქართველოს სახელმწიფო ძალაუფლების ამა თუ იმ ორგანოს?..

შეკითხვა: მაგრამ თუ ხალხი ერთ პიროვნებაში ხედავს მის კეთილ მომავალს, განა ეს მისაღები არ უნდა იყოს?..

(4.) პასუხი: ვამბობ: "ხმა ერისა, ხმა ღვთისა!" მაგრამ ერმა, ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ დიდი, დიდი წინდახედულება გამოიჩინა "პატარა ოქროს ხანის" დროს, როცა შექმნა ისეთი კონსტიტუცია, რომ ერთი პიროვნების ხელში მთელი ძალაუფლების მოქცევა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. დამოუკიდებლობის ხანაში, ხალხის დიდი, დიდი უმრავლესობის ნდობით სარგებლობდა პირადათ ნოე ჟორდანია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, თეორეტიკოსი და - შემდეგ - საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. მაგრამ მის გვერდით იყვნენ ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწეებიც, როგორიც იყვნენ, ვთქვათ, სილიბისტრო ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი, კონსტანტინე კანდელაკი და სხვები და სხვები. ამავე დროს, როცა 1919 წლის პირველ დემოკრატიულ არჩევნებში, საერთოდ, საქარ-

თელის ისტორიაში, - საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დამფუძნებელ კრებაში 130 დეპუტატიდან 109 დეპუტატი გაიყვანა და ოპოზიციურ პარტიებს - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ფედერალისტების პარტიასა და რევოლუციურ პარტიას სულ 21 დეპუტატი ჰყავდათ პარლამენტში, თვით ნოე ჟორდანიამ წამოაყენა წინადადება, რომ როგორმე "ოპოზიცია უნდა გავაძლიეროთ!" იცოდა რა, რომ ოპოზიციის გარეშე, პოზიციაც(მთავრობა) სუსტია.

შეკითხვა:მაშ, თქვენ "ხელოვნურად" მოითხოვთ ძლიერი ოპოზიციის შექმნას?..

(5.) პასუხი: ეს შეუძლებელია. მაგრამ შესაძლებელია ხალხისათვის,ამომრჩევლებისათვის უფრო სრული ინფორმაციის მიწოდება დემოკრატიული სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების შესახებ, რომ თვით ამომრჩევლებმა მოახდინონ არჩევანი თუ რომელი პარტია სურთ მათ ოპოზიციაში თუ პოზიციაში. საერთოდ, კლასიკურ დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგალითად, ინგლისში, საფრანგეთში, შეერთებულ შტატებში,იტალიაში და საქართველოსავით პატარა ქვეყნებში - შვეიცარიაში თუ შვეციაში, ორი მთავარი პოლიტიკური დაჯგუფებაა,ე.წ.-ი "მემარჯვენე" და "მემარცხენე" პარტია თუ პარტიები, რომლებიც ხან პოზიციის, ხან ოპოზიციის ფუნქციას ასრულებენ სახელმწიფოში, რა თქმა უნდა, ამომრჩევლების სუვერენული უფლებების შენარჩუნების პირობებში, ე.ი. დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე. ასეთი სანიმუშო დემოკრატიული წესყობილება გვქონდა ჩვენ საქართველოში "პატარა ოქროს ხანის" დროს, 1918-1921 წლებში; და,მჯერა, რომ საქართველოს ამომრჩევლები ანალოგიურ სახელმწიფოებრივ წესყობილებას შექმნის.

შეკითხვა: თქვენის აზრით "ოპოზიციის უქონლობის" გარდა, რა მანკიერებას ხედავთ საქართველოს უზენაესი საბჭოს მოღვაწეობაში?..

(6.) პასუხის: საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ე.წ.-ლ"შეცდომას" მხოლოდ ის ადამიანი, ან ორგანო უშვებს, რომელიც მოქმედებს; მოქმედება თავისთავში ატარებს "შეცდომებისა" თუ "მანკიერების" თესლს. ამიტომ საქართველოს უზენაესი საბჭოს მოქმედებაც შეუძლებელია უნაკლო იყოს განსაკუთრებით ახლა, მეტად დაძაბულ პირობებში. მაგრამ ზოგიერთი "შეცდომის" თუ "ნაკლის" თავიდან აცილება შეიძლებოდა და დღესაც შეიძლება.

შეკითხვა: ხომ არ მოიყვანთ კონკრეტულ მაგალითს?..

(7.) პასუხი: ერთი კი არა, მრავალი მაგალითის მოყვანა შემიძლია. მაგალითად, ბლოკი "მრგვალი მაგიდა", მარტივად რომ ვთქვათ, "გაუგებარი ბლოკია". ამით იმის თქმა მსურს, რომ მე,პირადად არ მესმის როგორ ხდება "მრგვალი მაგიდის", სულ ცოტა, გარეგნულად, მეტად "ჭრელი" შემადგენლობის ერთობლივი პოლიტიკური ხაზის გამომუშავება; მით უმეტეს, რომ "მრგვალ მაგიდაში" გაერთიანებულია"შემდეგი წევრ-ორგანიზაციები"(საქართველოს ჰელსინკის კავშირი; ილია მართლის საზოგადოება; მერაბ კოსტავას საზოგადოება; ტრადიციონალისტთა კავშირი),"წევრი ორგანიზაციები" -(ერ. ფრონტი-რადიკალური კავშირი; ლიბერალური კავშირი);და მასში შედის აგრეთვე "ორგანიზაცია სტუმრის სტატუსით" - ეროვნულ-ქრისტიანული პარტია. ამგვარი "სიჭრელე" კი "მრგვალი მაგიდის" "ერთსულოვნობაზე", ვიმეორებ, სულ ცოტა გარეგნულად, არ მეტყველებს. მაგრამ, როგორც მათი მოქმედებიდან ჩანს, "მრგვალი მაგიდის" ამგვარ დანაწევრებულ წევრებს შორის"ერთხმიანობა" არ არსებობს, რისი ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის - თენგიზ სიგუას - გადადგომა თუ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის - გიორგი ხოშტარიას - გადაყენება, სხვა ანალოგიურ ფაქტებზე რომ არაფერი ვთქვათ. კიდევ მეტი: ბატონი თენგიზ სიგუა და ბატონი გიორგი ხოშტარია"ოპოზიციის", შეიარაღებული ოპოზიციის ბანაკში გადავიდნენ, რასაც მოყვა საქართველოს ტელეხედვის შენობაში აფეთქებებიც ___, და ვინ იცის რა შედეგი მოყვება პოზიცია-ოპოზიციის ამგვარ დაპირისპირებას. 1991 წლის 5 ოქტომბერს,როგორც დასავლეთის პრესა იტყობინება, უკვე ტყვიამფრქვევებით, ავტომატებით ნადირობა დაიწყო პოზიცია-ოპოზიციამ ერთმანეთზე თბილისის ქუჩებშიც კი.

და თუ "მრგვალი მაგიდა" ერთსულოვანია, მაშინ როგორ ავხსნათ აღნიშნული ფაქტები?.. და თუ "მრგვალი მაგიდა" მაინც ერთსულოვანია, მაშინ, მე რომ "მეარჩევნე"ვიყო, "მრგვალი მაგიდის" სახელწოდების შეცვლის საკითხს დავაყენებდი, რომ "მრგვალი მაგიდა" გახდეს ე რ თ ი  პ ა რ ტ ი ა, ვთქვათ "საქართველოს კონსერვატიული პარტია", ან "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", მაგრამ ასეთი პარტია უკვე არსებობს საქართველოში. ამგვარი გარკვეული სახელწოდება კი არა მარტო აუცილებელი წინაპირობაა, რომ მტერმა და მოყვარემ იცოდეს თუ როგორ პოლიტიკურ მიმდინარეობასთან გვაქვს საქმე, არამედ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სა-ერთა-შორისო მასშტაბით, ვინაიდან "მრგვალი მაგიდის" მსგავსი პარტია არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არსებობს, რაც იწვევს გაუგებრობას; და ზოგიერთი ქართველიც კი, მაგალითად, ფრანგულ დიდ გაზეთში "ლე მონდში"(25.4.1991 წ.)"ფაშისტადაც"კი ნათლავს "მრგვალ მაგიდას", თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რომ ფაშიზმი, რასიზმი საქართველოში არასოდეს არ ყოფილა, არ არის და არც არასოდეს იქნება, რადგან ეს ეწინააღმდეგება ქართველი ერის ჰუმანიტარულ, კაცთმოყვარეობით ბუნებას.

სხვათა შორის, "მრგვალი მაგიდა", როგორც ამას წერს უკვე ტაისენი("ზც",13.8.1991), - ისეთივე როლს ასრულებს აღმოსავლეთ ევროპის ე.წ-დ "მშვიდობიან რევოლუციაში", როგორსაც ასრულებდა "საბჭოები" პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. უფრო, ყოველი ჯურის "მრგვალი მაგიდა" გარდამავალი პერიოდისქმნილებაა, რომლის შემდეგ, პოლიტიკური პარტიები ხდებიან ხალხის ნდობის გამომხატველნი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მაგალითად, "მრგვალმა მაგიდამ", როგორც სხვადასხვა პარტიებისა და დაჯგუფებების ბლოკმა, იარსება 1989 წლის 7 დეკემბრიდან 1990 წლის 12 მარტამდე - პარლამენტის არჩევნების წინა პერიოდში. ამ სულ სამი თვის განმავლობაში, "მრგვალი მაგიდა" იყო, პრაქტიკულად, პარლამენტი, რომლის ადგილი შემდეგ დაიკავა დემოკრატიული გზით არჩეულმა პარლამენტმა. ამ პროცესში, უდავოა, დიდი როლი ითამაშა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტრადიციულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებმაც მათი მოქმედება გაავრცელეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

- და - ვინ იცის? - შეიძლება ანალოგიური როლის თამაში შეეძლო 1990 წლის მრავალპარტიულ არჩევნებში საქართველოს "ტრადიციულ პარტიებს", ვთქვათ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თუ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომლებსაც პოლიტიკურ ტყვეობაშიც კი არ შეუწყვეტიათ მოქმედება, რომაქტიურად და ღირსეულად ჩაბმულიყვნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში. მაგრამ, ამ-ჯერად, ეს მხოლოდ სპეკულაციაა. ხოლო სპეკულაციით არ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ "მრგვალი მაგიდას", ადრე თუ გვიან, - პოლიტიკური პარტიები შეცვლის.

შეკითხვა: გამოდის, რომ თქვენ "ჭკუას ასწავლით""მრგვალი მაგიდის" ხელმძღვანელობას?..

პასუხი: ჩემგან "ჭკუის სწავლება" არც ერთ ქართველს არ ესაჭიროება, მაგრამ სხვადასხვა აზრის გამოთქმა ამა-თუ-იმ საკითხზე, უფრო, საჭიროა. მაგალითად, საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობას მეტად გაუადვილდებოდა სა-ერთა-შორისო ურთიერთობების დამყარება, რომ უცხოეთმა იცოდეს თუ რას წარმოადგენს "მრგვალი მაგიდა" პოლიტიკურად. უცხოეთის პოლიტიკური მოღვაწეები და ხალხი, გასაგებია, მათ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური "კატეგორიებით" მსჯელობენ. მათთვის გასაგებია, მაგალითად, თუ რა არის, როგორც აღვნიშნეთ, "კონსერვატიული პარტია", ვინაიდან ასეთი სახელწოდების პარტია პოზიციაში, ე.ი. მთავრობაშია, ვთქვათ, ინგლისში; მათთვის გასაგებია, აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული პარტია, ვინაიდან ასეთი პარტია, პოზიციაში, ე.ი. მთავრობაშია, ვთქვათ, საფრანგეთში, და ასე შემდეგ. არსებობს აგრეთვე კონსერვატიული პარტიებისინტერნაციონალი, ისე როგორც სოციალისტური(დემოკრატიული) პარტიების ინტერნაციონალი. და თუ "მგვალ მაგიდას", ვთქვათ, "კონსერვატიული პარტია"ეწოდებოდა, მაშინ არა მარტო ამ პარტიას, არამედ ამ პარტიისაგან შემდგარ საქართველოს დღევანდელ მთავრობას გზა გაეხსნება სა-ერთა-შორისო არენაზე, რომლის დროს საქართველოს უფლებების დაცვაში განსაკუთრებული როლის თამაში შეუძლია სწორედ ევროპისა და ამერიკის "ძმა-პარტიებს". არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის სა-ერთა-შორისო ცნობა-

ში - 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, - გადამწყვეტი როლი ითამაშეს განსაკუთრებით ევროპის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი წამყვანი ძალა იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. ეს ფაქტი კი, თავის მხრივ, გვეუბნება, რომ "საქართველოს კონსერვატიულმა პარტიამ", თუ ასეთ სახელწოდებას მიიღებს "მრგვალი მაგიდა", დაუყონებლივ უნდა მიიპატიჟოს საქართველოში ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების "კონსერვატიული პარტიების" წარმომადგენლები, რომ გაეცნონ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, რის შემდეგ, გვჯერა, ისინი გახდებიან საქართველოს უფლებების დამცველნი სა-ერთა-შორი-სო არენაზე.

(9.) შეკითხვა: რას იტყვით თქვენ 1991 წლის - ჯერ - საბჭოთა კავშირის ე.წ-ს "სამოკავშირეო ხელშეკრულების" რეფერენდუმზე და - შემდეგ - საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის რეფერენდუმზე, რომელიც ჩატარდა 1991 წლის 31 აპრილს?

პასუხი: რა თქმა უნდა, საქართველოს უზენაესი საბჭოსა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება საქართველომ არ მიიღოს მონაწილეობა 1991 წლის 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში, სრულიად სწორი და სამართლიანი იყო. სწორი და სამართლიანია აგრეთვე 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარებული რეფერენდუმი, რომელშიც კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 99,08 პროცენტმა დადებითი -"დიახ" - პასუხი გასცა კითხვას:
"თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?"

შეკითხვა: მაშ, ასევე სწორი და სამართლიანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს...

(10.) პასუხი: უთუოდ. თუმცა აქ ერთი არც ისე უმნიშვნელო შენიშვნა: ხომ არ იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა სწორედ 1991 წლის 26 მაისს მომხდარიყო?.. მომავალში, ხომ არ ექნება ადგილი "ქიშპობას" 26 მაისსა და 9 აპრილს შორის?.. ამგვარი შენიშვნის საბაბს მაძლევს ის, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე იყო, არის და უნდა დარჩეს 26 მაისი, რაც არის ჩვენი ეროვნული დღესასწაული; და ასეთ პირობებში 9 აპრილი როგორ უნდა ვიზეიმოთ...თუ ვიგლოვოთ, 1989 წლის მომხდარი 9 აპრილის ტრაგედიის გამო?..

მაგრამ მარტო ამითაც არ ამოიწურება ეს საკითხი: ჩვენ გაგვაჩნია 1918 წლის 26 მაისის შესანიშნავი"დამოუკიდებლობის აქტი", რომელიც შეიძლება შედარებულ იქნას, ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების 1776 წლის 4 ივლისის "დამოუკიდებლობის აქტთან". ახლა კი საქმე გვაქვს 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტთან" და 1991 წლის 9 აპრილის "საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტთან", რომელიც 1918 წლის 26 მაისის"დამოუკიდებლობის აქტის" ტოლ-ასლი გეგონებათ, თუ ვერ შეამჩნევთ, რომ ჩვენი ეროვნული გერბი -"თეთრი გიორგი" - გადაკეთებული მოგეჩვენებათ... ვითომ საჭირო იყო "აღდგენის აქტის" ასეთი სახით შექმნა".. ვითომ საკმარისი არ იქნებოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მხოლოდ შესაბამისი დადგენილების მიღება?..

შეკითხვა: თქვენ კარგად იცით, რომ ისტორიაში რაც ხდება, არ შეიძლება "შემთხვევით" მოვლენად ჩაითვალოს...

პასუხი: სწორი ბრძანებით. და ისტორია იწერება ყოველდღიურად, განსაკუთრებით ისეთ დაძაბულ პირობებში, როგორშიც დღეს იმყოფება საქართველო. მაგრამ ისტორია აგრეთვე "გვასწავლის" თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ განსაზღვრულ პოლიტიკურ,ეკონომიკურ,კულტურულ,სოციალურ პირობებში. სახელმწიფოს, დამოუკიდებელ სახელმწიფოს არაფერი არ ესაჭიროება ისე, როგორც სიმყარის აღდგენა-შენარჩუნება, რომ მისმა ყოველმა მოქალაქემ იგრძნოს თავი თავის სახელმწიფოში, რომელსაც ის იცავს და რომელიც მას იცავს. ამგვარი მყარი სახელმწიფო წესყობილების შექმნა-შენარჩუნება მოითხოვს ტრადიციას, სამართლებრივი სახელმწიფოს ტრადიციას, რომელიც ჩვენმა ერმა შექმნა 1918 წლის 26 მაისს. ამიტომ "26 მაისის დიადი იდეების ისევ-აღდგენისას" თვით 26 მაისის"მოქიშპე"თარიღების შექმნას თავი უნდა ავარი-

ლით. კონკრეტულად: საჭირო არ იყო საქართველოს სახელმწიფო გერბის შეცვლა, რომლის ვარსკვლავი, მართალია, შვიდ-ქიმიანია, მაგრამ ჩვენში უცნაურ ასოციაციას იწვევს, რომ არ ვილაპარაკოთ აღნიშნული ტრადიციის უგულებელყოფაზე.

შეკითხვა: თქვენის აზრით, ტრადიციის შენარჩუნებას უნდა შეეწიროს საჭირო ყოველდღიური მოქმედება?..

11. პასუხი: სრულიადაც არა. აქ ლაპარაკია, საქართველოს "რესპუბლიკური სახელმწიფოს" ტრადიციის შენარჩუნებაზე, რომ საქართველოს მოქალაქემ ისევე "ენდოს" ჩვენს სახელმწიფოს, როგორც ასწლეულების განმავლობაში "ენდობოდა" ბაგრატიონთა თუ სხვა დინასტიების სახელმწიფო სტრუქტურას. ამისათვის, ჩემი აზრით, არ იყო საჭირო საქართველოს სახელმწიფო გერბის შეცვლა. დამოუკიდებელი საქართველოს "პატარა ოქროს ხანის" - 1918-1921 წლების - პერიოდში დემოკრატიული გზით არჩეული პარლამენტის მიერ მიღებული და დამტკიცებული სახელმწიფო გერბი, ჰიმნი და კონსტიტუცია უნდა იქნას შენარჩუნებული.

შეკითხვა: როგორც იცით, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი "დიდება" შენარჩუნებულია, მაგრამ 1991 წლის 26 მაისს ჩვენ უკვე ავირჩიეთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, და ეს აქტი ხომ კონსტიტუციის შეცვლას მოითხოვდა?..

პასუხი: მე ვფიქრობ, ეს არის სწორედ მანკიერება, რომელზედაც მე ვლაპარაკობ: კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, მეტად სათუთი არსებაა, რომლის "შეცვლა" უნდა მოხდეს არა იმიტომ, რომ "პრეზიდენტი ავირჩიეთ", არამედ - პირიქით - პრეზიდენტის თუ სხვა პირის არჩევა კონსტიტუციის საფუძვლებზე მოხდეს. კონსტიტუციის შეცვლა კი, თუ ეს აუცილებელია, არა მარტო დემოკრატიულად არჩეული დეპუტატების სამ-მეოთხედს უნდა მოითხოვდეს, არამედ ამასთანავე სახელმწიფო ხალხის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერასაც საჭიროებს, თუ გნებავთ, რეფერენდუმის გზით.

შეკითხვა: მაშ, თქვენ კითხვის ქვეშ აყენებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევას?..

პასუხი: არა. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები მოხდა, უთუოდ, დემოკრატიული გზით. მაგრამ მე კითხვის ქვეშ ვაყენებ ამისათვის საქართველოს საბჭოური ტიპის კონსტიტუციის შეკეთება-შესწორება-დამატების ფაქტებს. ჩემის აზრით, საჭირო იყო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ისევ-აღდგენა, ისევ-მოქმედებაში შეყვანა, 1991 წლის 9 აპრილს მაინც, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებასთან ერთად. ამით საჭირო აღარ იქნებოდა ასე ნაჩქარევად "საბჭოური ტიპის" საქართველოს კონსტიტუციის შესწორება-დამატება-გადაკეთებაც, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია დღესაც სანიმუშო დემოკრატიულ კონსტიტუციად მესახება.

შეკითხვა: მაგრამ 1921 წლის 21 თებერვლიდან, როცა მიღებული და დამტკიცებულ იქნას დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, უკვე 70 წელი გავიდა და საქართველოს დღევანდელ სტრუქტურას იგი ვერ პასუხობს...

პასუხი: ...მე ვიტყოდი, პასუხობს. საჭიროა მხოლოდ ცალკეული დებულებების თუ მუხლების შეცვლა-დამატება-გადაკეთება, რაც სრულიად შესაძლებელია მოხდეს თვით კონსტიტუციის არსის შეცვლის გარეშე. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა, თუ გნებავთ, ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც თავისი კონსტიტუცია, აგერ უკვე ორას წელიწადზე მეტი ხანია, არ შეუცვლია ახალი კონსტიტუციით. როგორც ცნობილია, აშშ კონსტიტუცია მიიღო და დაამტკიცა 1787 წელს და ძალაშია დღემდე, თუმცა მასში საკანონმდებლო ორგანომ - კონგრესმა - 1787 წლიდან 1971 წლამდე, ოცდა-შვიდჯერ შეიტანა შესწორება, დამატება თუ ცვალებადობა ე.წ.-ლი "შესწორების"=Amendments- გზით. საქართველოს უზენაეს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ საბჭოსაც შეეძლო ამგვარი "შესწორებების" გზით მოქმედება, ჩვენი ეროვნული კონსტიტუციის არსის შეცვლის გარეშე.

შეკითხვა: თქვენ, ისევ-და-ისევ აღნიშნავთ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის "არსს" ისე, თითქოს, ეს არის კონსტიტუციის არსებითი საზომი?..

პასუხი: დემოკრატიული კონსტიტუციის არსის არსებითი("არსი") საზომია ხელისუფლების ორგანოების სამ სფეროზე დაყოფა: კანონმდებლობა, მმართველობა(მთავრობა) და მართლმსაჯულება, რომლის დროს ეს ხელისუფლების ორგანოები არა მარტო ასრულებენ ურთიერთ კონტროლის ფუნქციებს, არამედ ამ პირობებში შეუძლებელია ხელისუფლების უზურპაცია; და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ერთი პირის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება, რაც დემოკრატიის დაჩაჩანაგებას მოასწავებს.

შეკითხვა: ვითომ თქვენ ხედავთ მოვლენებს საქართველოში დღეს, რომლებიც გამოდგება იმის მაგალითად, რომ საქართველოში ადგილი აქვს დემოკრატიული ნორმების დარღვევას?..

პასუხი: ამგვარი მაგალითები მე ხელთ არ მაქვს, თუ ამას, საერთოდ, ადგილი აქვს დღეს საქართველოში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში დღეს ისეთი რთული მდგომარეობაა, რომ ძნელია ფაქტების სიზუსტის დადგენაც კი; ხოლო ეს არის წინაპირობა იმისათვის, რომ განსჯილ იქნეს რა არის "კანონიერი" და რა "უკანონო". ჩვენამდე, საერთოდ, აღწევს ზოგიერთი გაზეთი, უმთავრესად, "საქართველოს რესპუბლიკა", ისიც არა ყველა ნომერი; და თუ ამ გაზეთის პრესით განვსჯით, საქართველოში პოზიცია-ოპოზიცია, დიალოგის სამაგიეროდ, იარაღით ხელში ებრძვიან ერთმანეთს, რაც დასაგმობია.

12. შეკითხვა: თქვენ ეჭვი გეპარებათ პრესის თავისუფლებაში დღეს საქართველოში?..

პასუხი: პრესის თავისუფლება დღეს საქართველოში თუ არსებობს, მაინც არ ჩანს "მრავალხმიანობა", თუ გნებავთ, იმავე გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში". ქვეყნდება დადგენილებები, ბრძანებები, დანიშვნები თუ გადაყენებანი, მაგრამ არ ქვეყნდება მათი კონკრეტული დასაბუთება, ან ბჭობა, ანდა შეჯახება-შემოჯახება, რაც დემოკრატიის თანდაყოლილი თვისებაა. პოზიცია-ოპოზიციის შეიარაღებული შეტაკებები კი დემოკრატიის გაველურებაა.

შეკითხვა: თქვენ, ვფიქრობ, ლაპარაკობთ ყოველგვარ "მიკრობისაგან" გაწმენდილ დემოკრატიაზე, რაც სინამდვილეში არ არსებობს!..

პასუხი: რადგან საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის ფაქტების ობიექტურ რაობას არ ვიცნობ, უფრო სწორად, არა-სრულყოფილად ვიცნობ, მიხდება "ზოგადი" ლაპარაკიც, თუმცა კონსტრუქციული, ლოიალური, "აღმშენებლობითი" ოპოზიციის ხმა მე, ვთქვათ, "საქართველოს რესპუბლიკაში" ვერ აღმოვაჩინე.

შეკითხვა: ემიგრაციულ გამოცემებშიც?..

13. პასუხი: ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში ჩვენ საქმე გვაქვს როგორც კონსტრუქციულ, ისე დესტრუქციულ ოპოზიციასთან. ამავე დროს ადგილი აქვს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, შეხლა-შემოხლას ქართულ და უცხო ენოვან პრესაში თუ რადიო-ტელევიზიაში, რომელთა განსჯა ჩემთვის ძნელია, ვინაიდან ყველა ამ მასალებს არ ვიცნობ .

შეკითხვა: მაგრამ თქვენ იცნობთ ერთი ქართველი ემიგრანტის მიერ, მაგალითად, საფრანგეთის ავტორიტეტულ გაზეთში "ლე მონდ"-ში(1991 წლის 25 აპრილი) გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიც "ფაშისტურად" არის მონათლული საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა. რას იტყვით ამ ფაქტის შესახებ?..

პასუხი: მე ვგმობ აღნიშნული პირის მოქმედებას არა იმიტომ, რომ ის თავის მცდარ, მაგრამ, მაინც აზრს გამოთქვამს საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის შესახებ, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი; როგორც ჩანს, საქართველოს, ქართველ ხალხს სახელს უტეხს საფრანგეთისა და ამის მსოფლიოს თვალში, რაც დასაგმობია შემდეგი მოსაზრებით: ჯერ ერთი, მას, როგორც ჩანს, საქართველოს ბედ-იღბალი კი არა, საქართველოს სახელის გატეხა აინტერესებს ევროპაში, რაც მისი მოქმედების "უკანა ფენების" საკითხს აყენებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგივე სტატია "პრავდამ"-დიდი სიამოვნებით გადაბეჭდა. აქ, როგორც ჩანს, ქართველთა ერთი ნაწილი იმყოფება იმ მდგომარეობაში, როგორც სხვა დაპყრობილი ერების განსაზღვრული ნაწილი: მათში გაბატონებულია მონური აზროვნება, მონური მორჩილება, მონური უგუნუ-

რება, და,შეიძლება, პირადი ამბიციებიც კი, რისთვისაც ისინი მზად არიან თავის ერსაც კი ჩასცეს ხანჯალი ზურგში, თუ იგი მის ბატონს კეთილად განაწყობს და ამით "პრივილეგიებს" მიიღებს. ასეთი თითო-ოროლა ადამიანი საქართველოს, ქართველ ერსაც არ აკლდა წარსულში და,როგორც ჩანს, არ აკლია ახლაც, თუმცა მათ, ამგვარი გზით მოპოვებული "ვერცხლის თამასუქებით" შეუძლებელია მოიპოვონ მხარდაჭერა ქართველ ერში. და მეორე: ამ ქართველს იგივე აზრი რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთში გამოეთქვა, მაშინ სულ სხვა მდგომარეობასთან გვექნებოდა საქმე...

შეკითხვა: როგორ, თქვენ მის მოქმედებას გაამართლებდით, თუ ქართულად გამოაქვეყნებდა იმავე აზრებს?..

პასუხი: "გამმართლებელის" თუ "გამტყუნებლის" ფუნქცია მე არ მეკუთვნის და არც შემიძლია მივითვისო. აქ ერთი ამონაწერი საქართველოს კონსტიტუციიდან: "მოქალაქის უფლებები", დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლი განსაზღვრავს:
"ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე."
ამგვარად, ამ პირის აღნიშნული აზრისათვის, ვთქვათ, დასჯა ან გამართლება - ეს სასამართლოს საქმეა. მაგრამ ამავე ფაქტს, იურიდიული მხარის გვერდით, აქვს მორალური მხარეც, და მორალურად ყოველ ქართველს შეუძლია საქართველოს ყოველი მოქალაქის მოქმედების დაგმობა თუ მოწონება.

შეკითხვა: მაშინ თქვენ სწორად მიგაჩნიათ, ვთქვათ, დამოუკიდებელი საქართველოს "პატარა ოქროს სანის" ისეთი გაბრიაბრუება, რაც "პარიზული ივერიის" 1990 წლის 35-ე ნომერშია გამოქვეყნებული; თუ იმავე "პარიზული ივერიის" ერთი ავტორის მიდგომას საქართველოს დღევანდელ მდგომარეობისადმი, რაც გამოქვეყნებულია 1991 წლის 36-ე ნომერში?..

პასუხი: "თავისუფლება არის სხვადასხვაგვარად მოაზროვნეების თავისუფლებაც", ამბობდა ერთი(რ.ლ.) წამებული; და ამ სიტყვებს ვიმეორებ თქვენს კითხვასთან დაკავშირებით, რადგან საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი საერთო საკაცობრიო დებულება-ნორმადაც მიმაჩნია. მაგრამ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა რომ შესაძლებელია "კალმითაც", ეს საკმარისად ნათელყო, თუ გნებავთ, მეორე მსოფლიო ომის მოვლენებმაც; ეს კი სასამართლოს ფუნქციაში შედის; მორალურად და პოლიტიკურად აღნიშნული ფაქტების ანალიზი კი მასობრივი მედიუმების საქმეა; და თუ ამ გზით განვსჯით აღნიშნულ "გამოხტომებს", მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:
"პარიზული ივერიის" აღნიშნულ ავტორს ან არ ესმის რას სჩადის, ანდა ესმის და მაინც სჩადის, შეიძლება, "ვიღაცის" შთაგონებით თუ გულისხმოგებით,რომლის დროს გამოთიშული არ არის პირადი ამბიციებიც. მაგალითად, ეს ვაჟბატონი ისე დანძლავს "26 მაისის" ხელისჩამდგმელ, საქართველოს ევროპულ ლიანდაგზე დამყენებელ ნოე ჟორდანიას, რომ მისი,ზოგჯერ,უცენზურო სიტყვების განმეორებაც კი დანაშაულად, მორალურ-პოლიტიკურ დანაშაულად მიმაჩნია. მაგრამ, დახეთ? - ამ ვაჟბატონს არც 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო და მისი ხელმძღვანელებიც "არ მოსწონს", რაც მაძლევს საბაბს დავსვა კითხვა: თუ 1918 წლის 26 მაისის ხელისჩამდგმელები "არ ვარგოდა", თუ 1991 წლის 9 აპრილის "26 მაისის აღდგენის" ხელისჩამდგმელებიც "არ ვარგა", მაშინ, გამოდის, "ვარგოდა" 1917 წლის 25 ოქტომბერი და მისი ლოგიკური შედეგი საქართველოში, 1921 წლის 25 თებერვალი?.. თუ "პარიზულ ივერიას" აქვს სხვა ღირსშესანიშნავი თარიღი საქართველოს უახლოესი ისტორიისა, რომელსაც უნდა გავყვეთ?.. ანდა, "პარიზული ივერია" საქართველოს აფრიკის ახლად-განთავისუფლებულ ქვეყნებს ხომ არ ადარებს, რომლებიც მართლაც ახლა ცდილობენ სახელმწიფოებრიობის შექმნას?..

შეკითხვა: თქვენ "პარიზული ივერიის", როგორც თქვენ უწოდებთ, ყველა თანამშრომელს ერთ დონეზე აყენებთ, და ერთნაირ შეფასებას აძლევთ?..

პასუხი: არა. თუ გნებავთ, "პარიზული ივერიის" იმავე 36-ე ნომერში(1991 წ.) გამოქვეყნებულია წერილი - ჩემთვის უცნობი, ხ.ქართველისა -"რას ნიშნავს ქართველობა?", რომელიც, უთუოდ, მტკივნეული საკითხია, რაზედაც ბჭობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, განსაკუთრებით დღეს, როცა საქართველო ასე რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებში იმყოფება, საჭიროა; თუმცა ისიც უნდა შევნიშნო, რომ ენის ცოდნა-არცოდნა მარტო "ენას" არ ეხება, რომელსაც, ერთ დროს, "გაგებინების საშუალებას" უწოდებდნენ და ივიწყებდნენ, რომ ენა არის არა მარტო "გაგებინების","ცნებათა"გამოხატვის საშუალება, არამედ, მას ზევით, "მსოფლ-ხედვა" ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ "ერი ენაა", ან,შებრუნებით, "ენა ერია",რომელშიც გამოიხატვის ერის განსაკუთრებულობა პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალური რაობით. ამდენად, ენის არ-ცოდნის გზით შეუძლებელია მოცემული ერის "გენებს" ჩაწვდე. მაგრამ ეს, ამჯერად, სხვათა შორის. საყურადღებოა აგრეთვე იმავე "პარიზული ივერიის" 36-ე ნომერში გივი გაბლიანის "ზოგი რამ 'კვიმატი პიპოტეზების' შესახებ", რომელშიც ავტორი შეუძლებელს ცდილობს: "გზაზე დააყენოს" აღნიშნული "კვიმატი პიპოტეზების" ავტორი.

შეკითხვა: გამოდის,რომ არა მარტო "კვიმატი პიპოტეზების" გაზრიაპრუების, არამედ ამგვარი აზრების გამომთქმის თავის-უფლების პოზიციას იცავთ, მაგრამ მხოლოდ ქართულ ენაზე, ქართველებს შორის...

14. პასუხი: ამგვარი პოზიცია იმიტომ მიმაჩნია მიზანშეწონილად, რომ თავიდან უნდა ავიცილოთ ისეთი ჩარევა, უცხო სახელმწიფოების მხრიდან, საქართველოს საქმეებში, როგორსაც ადგილი ჰქონდა, ვთქვათ, 1917-1921 წლებში, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობაში დიდი როლი ითამაშეს ქართველმა ბოლშევიკებმა. დღევანდელ პირობებში უნდა შევეგუოთ, რომ შინაგანმა ბრძოლამ პარტიებსა და ბლოკებს შორის იმდენად არ უნდა მოახდინოს განხეთქილება ერთმანეთს შორის - რომელიმე პარტია თუ ბლოკი ისევ უცხო სახელმწიფოს ინტერესების დამცველის როლში გამოვიდეს საქართველოში. რა თქმა უნდა, ეს ადვილი საქმე არ არის, მაგრამ - კონკრეტული მაგალითი რომ მოვიყვანოთ - არა მარტო ქართველები, არამედ ევროპის ავტორიტეტული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ისეთი მიდგომით აშუქებს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას და პირადად საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას, რომ ხშირად ეჭვი გეპარება - ეს ავტორიტეტული ორგანოებიც კრემლის გავლენის ქვეშ ხომ არ არიან. დიდი გერმანული და,სხვათა შორის, მეტად "ზომიერი" გაზეთი -"ფრანქფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი" -, 28 მაისის(1991) ნომერში, წერდა, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოს საპრეზიდენტო კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის დროს "ბანდიტებს" უწოდებდა; რუსეთის ფედერაციის ან არჩეულ პრეზიდენტს - ბორის ელცინს - ბრალდება წაუყენა, რომ ის კა-გე-ბეს გავლენის ქვეშაა; სომხეთის მისამართით განაცხადა, რომ იგი ტერიტორიალურ მოთხოვნებს უყენებს საქართველოს,და სხვა. ასეთი განცხადებები კი, განსაკუთრებით საპრეზიდენტო კანდიდატის მიერ"უჩვეულოთ" თვლიან დემოკრატიულ ქვეყნებში.

შეკითხვა: მაგრამ ხომ ისიც უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, რომ ყოველი არჩევნების დროს, როცა გაჩაღებულია წინასაარჩევნო კამპანია, ძნელია ყოველი სიტყვით "სასწორზე დადება"?!..

15. პასუხი: მართალი ბრძანდებით. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, საპრეზიდენტო კანდიდატმა პროფესორმა ვალ. ადვაძემ, მაგალითად, განაცხადა, რომ თუ ზვიად გამსახურდია არჩეული იქნება საქართველოს პრეზიდენტად, ეს საქართველოს ტირანიის გზაზე დააყენებსო. მანვე განაცხადა აგრეთვე, რომ, რაც გამსახურდია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა, ქვეყანა მიყავს ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებისაკენ; ორიგინალური აზრების გამომთქმელები იდევნებიან; ადამიანის უფლებები ილახება; გამსახურდიას 70-ი პოლიტიკური მოწინააღმდეგე დაპატიმრებულია; მან მისი კონტროლის ქვეშ მოაქცია აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები; "არა-ერთგული" ჟურნალ-გაზეთები მოხსნილია; გამოცემები იკრძალება...და ადვაძემ ისიც კი თქვა, რომ წინასაარჩევნო კამპანია არა-დემოკრატიულად მიმდინარეობდა; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ერთსულოვნად გამსახურდიას აქებდნენ, ხოლო მის მოპირისპირე პრეზიდენტობის კანდიდატებს ლანძღავდნენ.

შეკითხვა: და რა დასკვნა გამოგაქვთ აქედან?..

პასუხი: დასკვნის გამოტანა ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს, რომ, როგორც აღნიშნეთ, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს ყოველი სი ტყვის სასწორზე დადება – ძნელია. მაგრამ როცა ასეთ ბრალდებებს უყენებს პრეზიდენტობის კანდიდატი მეორე პრეზიდენტობის კანდიდატს, რომელიც უკვე საქართველოს პრეზიდენტად არის არჩეული, აქ უკვე ჩასაფიქრებელ მოვლენებთან გვაქვს საქმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთი ცნობები ევროპის დემოკრატიული ქვეყნების დიდი გაზეთების მიერ ქვეყნდება და ვრცელდება მთელ მსოფლიოში. საქართველოში – იმავე გაზეთის ცნობით – ცალკეული ოპოზიციონერები საქართველოს უზენაეს საბჭოს უყენებს ბრალდებას, რომ მან მეტად დიდი უფლება მიანიჭა პრეზიდენტს; მას შეუძლია, სხვათა შორის, ომის გამოცხადებაც კი; საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს ან ჩამოართვას ყოველ პირს; პარლამენტი დაშალოს; და ბრძანებებითვეითონ მართოს ქვეყანა .

პრეზიდენტის არჩევნების წინ კი მიღებულ იქნა კანონი, რომლითაც პრეზიდენტის ღირსებისა და თვით უწყების შეურაცყოფისათვის "დამნაშავეს" მიესჯება ექვს-წლამდე პატიმრობა.

შეკითხვა: თქვენ ხომ არ ცდილობთ იმ ფაქტის უგულებელყოფას, რომ ზვიად გამსახურდია, 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს ამომრჩევლების 86-მა პროცენტმა აირჩია საქართველოს პრეზიდენტად, ხოლო წალერიან ადვაძემ ხმების მხოლოდ 7,83 პროცენტი მიიღო?..

პასუხი: ამ ფაქტის უგულებელყოფა შეუძლებელია, ვინაიდან საპრეზიდენტო არჩევნების კანონიერება მეთვალყურეებმაც დაადასტურეს.
მაგრამ...

შეკითხვა: მაგრამ რა?..

(16.) პასუხი: აქ ისევ უნდა დავუბრუნდეთ დემოკრატიის სტრუქტურას: საქართველოს პრეზიდენტის არჩევა საერთო ხმების 86-ი პროცენტით, სასურველი არ არის, რადგან არ ჩანს ოპოზიცია, რომელსაც "ხვალ" შეეძლებოდა "პოზიციის" გადაბარება.

შეკითხვა: მაშ, ხელოვნურად უნდა შევქმნათ ოპოზიცია?..

პასუხი: ოპოზიციას ხელოვნურად შექმნა არ ესაჭიროება, მაგრამ,როგორც ჩანს, პოზიცია დღეს საქართველოში ოპოზიციას "არ ცნობს", და,ალბათ, ამომრჩევლებიც(70 წლის ბოლშევიკური დიქტატურის შემდეგ – ინერციულად?) იზიარებს ამგვარ შეხედულებას; თუ სახელმწიფო სტრუქტურის სხვა"მექანიზმები" ზეგავლენას არ ახდენს ამომრჩევლებზე "ბოროტი განზრახვების" გარეშეც.

მაგრამ ამგვარი აზრის გამოთქმაც არ იქნებოდა საჭირო, რომ – კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო – მმართველობის, კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების ორგანოები ისეთი დემოკრატიული წესითა და რიგით მოქმედებდნენ, როგორც ეს იყო დამოუკიდებელ საქართველოში – 1918-1921 წლებში –, როცა ფაქტიურად მოქმედებაში იყო ჩვენი კონსტიტუცია, და ამით სახელმწიფო ხელისუფლების აღნიშნული სამი ორგანოს ურთიერთ კონტროლი – თავის მხრივ – გზას უღობავდა, სხვათა შორის, ერთი პიროვნების ხელში სახელმწიფო ხელისუფლების თავმოყრას. ..

(17.) შეკითხვა: როგორ თქვენ ეჭვი გეპარებათ თვით დემოკრატიის პრინციპებში და ასეთი დემოკრატიული წესყობილების არსებობაში დღეს საქართველოში?..

პასუხი: თუ როგორ მოქმედებს დემოკრატიული წესყობილება დღეს საქართველოში, ამაზე, როგორც დავინახეთ, "მომხრეებისა" და "მოწინააღმდეგეების", სამწუხაროდ,შეიარაღებული შეტაკებები თვით მეტყველებენ. რაც შეეხება,საერთოდ, თვით დემოკრატიის ცნებას, დემოკრატია – როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თქვა ინგლისის პრემიერმინისტრმა ვინსტონ ჩერჩილმა – სრულყოფილი სახელმწიფო მმართველობის წესრიგი კი არა, უკეთესი მმართველობის წესი და რიგია ყველა არსებულ წესყობილებებს შორის. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, "მესამედასელები", რომ დემოკრატიის უმაღლესი ფორმაა "სოციალური დემოკრა-

ტია", როცა მოქალაქეს აქვს არა მარტო უფლებები, არამედ ამგვარი უფლებების სარგებლობის სოციალური ბაზა. მაგრამ ეს სხვა საკითხია, რომელიც ცალკე განხილვას მოითხოვს.

ამ შემთხვევაში კი მსურს მოვიგონო მირაბოს (გაბრიელ ონორე დე რიკეტი, კონტე მირაბოს -1749-1791 = Gabriel Honoré DE RIQUETTI, comte de MIRABEAU) - აზრი "უმრავლესობის დიქტატურის" შესახებ: როგორც ცნობილია, მირაბოს ძლიერმა ინტელექტმა, რეალისტურმა აზროვნებამ, ორატორულმა გენიამ - მოუპოვა მას [illegible] ავტორიტეტი საფრანგეთის ეროვნულ კრებაში, განსაკუთრებით 1789 წლის რევოლუციის პირველ თვეებში. მირაბოს სამეფო კარის მესვეურები სასტიკად გმობდნენ, ხედავდნენ რა მასში - მონარქიული წესყობილების მტერს. მართლაც, მირაბო იყო სახელმწიფოს წარმომადგენლობითი წესყობილების უკომპრომისო მომხრე, რომელშიც მეფესა და ხალხის წარმომადგენლობით ორგანოს - ეროვნულ კრებას - ერთად უნდა ეთანამშრომლად ქვეყნის საკეთილდღეოდ. მირაბო საშიშროებას ხედავდა ხალხის მიერ არჩეულ "უმრავლესობის დიქტატურაში" თუ მას მოპირდაპირე ძალა არ აღუდგებოდა წინ, რომ სახელმწიფოში განაწილებული წონასწორობა აღდგენილიყო; და ამგვარ ძალას მირაბო ხედავდა კონსტიტუციურად შეზღუდულ მეფის უფლებაში. და რადგან სამეფო კარი მეფის უფლებების კონსტიტუციურ შეზღუდვაზე არც კი ფიქრობდა, უკვე ლაპარაკობდნენ "თავად მირაბოს უდიდეს ღალატზე" = "La grande trahison du comte de Mirabeau".

და ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე ზვიად გამსახურდიას - ჯერ - საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდენტად, ხოლო - შემდეგ - საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით, რომ მან გაუთავებელი ბრძანებებით, კანონებით თუ თანამდებობის პირების დანიშვნებით მთელი სახელმწიფო სტრუქტურა კი არ შეცვალა, არამედ დაკმაყოფილდა "ბოლშევიკური" კონსტიტუციის

გაუთავებელი შეცვლა-დამატება-შესწორებებით, რომლის დროს არ გაისმის კანონიერი ოპოზიციის ხმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, პარლამენტში, რის გამო, სულ ცოტა გარეგნულად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მართავს ერთი კაცი, თუმცა დემოკრატიულად არჩეული, მაგრამ მაინც ერთი კაცი. ისეთ უზარმაზარ სახელმწიფოს, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, მართალია, მართავს ერთი კაცი - პრეზიდენტი, ამჟამად ჯორჯ ბუში, მაგრამ კონკრეტ.,ე.ი. წარმომადგენელთა პალატა და სენატი, პრეზიდენტის ყოველ ნაბიჯს, ყოველ ფულად სახსრებს - რომ არ ვილაპარაკოთ ომისა და ზავის დიდად საპასუხისმგებლო პრობლემებზე - სასტიკი კონტროლის ქვეშ ამყოფებს, რომლის დროს, ხშირად, მთელი ხალხი - დემონსტრაციების გზით - უშუალო ზეგავლენას ახდენს პრეზიდენტის გადაწყვეტილების მიღებაზე. საქართველოს პრეზიდენტი კი, იქმნება შთაბეჭდილება, სულ ცოტა, გარეგნულად, ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლის და ამით ოპოზიციის გარეშე მოქმედებს; და კონტროლი რომ უკეთესია, ვიდრე არჩევნების დროს ერთხელ გამოთქმული ნდობა, - ეს, ვფიქრობთ, დამტკიცებას არ მოითხოვს. აქ კი მივედით ისევ დემოკრატიული წესყობილების ანბანთან, ე.ი. კანონმდებლობითი, მმართველობითი და მართლმსაჯულებითი ორგანოების ურთიერთ კონტროლთან, რომლის დროს მინიმუმამდეა დაყვანილი სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.

შეკითხვა: თქვენ არ ფიქრობთ, რომ საქართველოს დღევანდელი განსაკუთრებული პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალური პირობები, განსაკუთრებულ მოქმედებას მოითხოვს, რომლის დროს თვით დემოკრატიის "ანბანი", როგორც თქვენ თქვით, შესწავლასა და პრაქტიკულ განხორციელებას მოითხოვს, რის გაკეთება შეუძლებელია ერთი წლის განმავლობაში?..

(18.) პასუხი: უთუოდ საყურადღებოა თქვენი შენიშვნა. საქართველოს სახელმწიფოებრივი წესყობილება 1990 წლის 28 ოქტომბრიდან დაადგა, დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების გზით, დემოკრატიის ისევ-აღდგენის გზას საქართველოში, და მანკიერებანი ნორმალურია. მაგრამ როგორც გავამართლოთ შეიარაღებული შეტაკებები პოზიცია-ოპოზიციას შორის?..

არანაკლებ რთულ მდგომარეობაში იყო საქართველო 1917-1921 წლებში, რუსეთის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის მომდევნო წლებში; და საქართველომ, ქართველმა ხალხმა ისეთი გულისყური, ისეთი დემოკრატიული შეგნება გამოიჩინა, რომ მაშინდელი ევროპის დემოკრატიული ქვეყნები ლაპარაკობდნენ საქართველოს სანიმუშო დემოკრატიულ წესყობილების შესახებ და, წარმოიდგინეთ, ცნება - "ქართული დემოკრატიაც" - კი შექმნეს, რომლითაც მანამდე არსებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიის ცნებაში "სოციალური" მომენტი იქნა შესისხლხორცებული, რაც - თავის მხრივ - "მესამე დასის" 1893 წლის 7 თებერვალს მიღებული პროგრამიდან გამომდინარეობდა, რომლის მთავარი დებულება - "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა" - დღესაც სანიმუშოა და სოციალური დემოკრატიის, დემოკრატიის ამ უმაღლესი ფორმის, - საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს. ამდენად, დემოკრატიის "ანბანის" შესწავლა, ვფიქრობ, საქართველოს მოსახლეობას, ქართველ ხალხს არ ესაჭიროება, ვინაიდან ჩვენმა ხალხმა ეს "ანბანი" პრაქტიკულად განახორციელა საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში - 1918-1921 წლებში - საქართველოს "პატარა ოქროს ხანაში".

__შეკითხვა:__ თქვენ, ამ ფიქტიურ ინტერვიუს უწოდეთ "მე რომ მემარჯვენე ვიყო", რომლის დროს სიტყვა "მემარჯვენე" ბრჭყალებში გაქვთ ჩასმული; რის თქმა გსურთ ამით?..

__პასუხი:__ ტერმინი "მემარჯვენე" და "მემარცხენე" ელექტრონიკისა და ტექნიკის ეპოქაში, როგორც ჩანს, კარგავს თავთავიანთ "წმინდა" მნიშვნელობას, რადგან ე.წ-ლი "მემარჯვენეები" - საქმიანი ოპოზიციის პირობებში -, არც ისე იშვიათად, "მემარცხენეების" წინადადებებს ისაკუთრებენ და ახორციელებენ, ზშირად შეკვეცილად. ამის მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ ბისმარკის(1815-1898) გერმანიიდან: ბისმარკმა "მიითვისა" გერმანიის სოციალ-დემოკრატების ერთი ლიდერის ფერდინანდ ლასალის(1825-1864) სოციალური დაზღვევის შემოღების იდეა და, შეკვეცილად, მანვე განახორციელა კანონმდებლობითი ორგანოს - რაისხტაგის - გადაწყვეტილებით; და ასეთი შემთხვევები არაერთხელ მომხდარა. ამითაც ისიც დასტურდება თუ რა დადებითი ფუნქცია ეკისრება ოპოზიციას სახელმწიფო ხელისუფლების სამართლიანად წარმართვის საქმეში; თუმცა, ბისმარკის მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, მას მაინც არ დაუწევია უკან რაისხტაგს მიერ ე.წ-ლი "სოციალისტების კანონი", რაც სოციალ-დემოკრატთა მოქრაობის ფაქტიურ აკრძალვას უდრიდა.

__შეკითხვა:__ ვითომ საქართველოს რესპუბლიკაში დღეს აქვს ანალოგიურ "ადრევას" "მემარჯვენესა" და "მემარცხენეს" შორის?..

__პასუხი:__ აქვს, და მეტად თვალსაჩინოდ, თუმცა "გარეგნულად": საქართველოს თვით პრეზიდენტი, დემონსტრაციების თუ სხვა თავყრილობების დროს, როცა ტრიბუნაზე გამოჩნდება, მაღლა წევს მარჯვენა ხელს "შეკუმშული ჯიხით", რაც სოციალ-დემოკრატების, უფრო სწორად, რევოლუციური მუშების მიერ იქნა შემოღებული; და მათ ეს "ჯიღი" უკვე დაივიწყეს, მაგრამ საქართველოში დღეს საერთო სახალხო, ვფიქრობ, "ერთობის" სიმბოლოდაა გამხდარი.

მაგრამ ამ, ასე ვთქვათ, "გარეგნული" მსგავსებისა "მემარჯვენეებსა" და "მემარცხენეებს" შორის დღეს საქართველოში, "საქმეში" მსგავსება არ ჩანს. მაგალითად, სად არის დღეს საქართველოს პროფკავშირები, ვერ გამიგია!.. დავიჯეროთ, რომ საქართველოს პროფკავშირები, როგორც ეს იყო ბოლშევიკების ბატონობის დროს, დღესაც "მთავრობის კონტროლის" ქვეშაა?.. საქართველოში დემონსტრაციები-დემონსტრაციებზე იმართება, მაგრამ არსად არ ჩანს, პროფკავშირების, ე.ი. ქალაქისა და სოფლის მშრომელების დემონსტრაციები; და ეს მეტად ჩამაფიქრებელია. როგორც ჩანს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს, რომ საქართველოს მშრომელები, როგორც ადრე, ჩაებან საქართველოს პოლიტიკურ და ამით სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

__შეკითხვა:__ თქვენ ისევ-და-ისევ უბრუნდებით სახელმწიფო ხელისუფლების სამი ორგანოს - მთავრობა-კანონმდებლობა-მართლმსაჯულების - ურთიერთ კონტროლისა და ურთიერთ თანამშრომლობის საკითხს, რაც, უთუოდ, დემოკრატიის უცილობელი საფუძველია. მაგრამ ვითომ ეს პრინციპი დარღვეულია დღეს საქართველოში?..

19. __პასუხი:__ გარეგნულად - თუ, მაგალითად, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორგანოში - "საქართველოს რესპუბლიკაში" - გამოქვეყნებული მასალებით განვსჯით, - ასე მოსჩანს. ჯერ ერთი - გაზეთი "კომუნისტი", როგორც ცნობილია, იყო კომპარტიის, მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს ორგანო; შემდეგ, "კომუნისტს" ეწოდა "ახალი საქართველო" და გახდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორგანო, რასაც მალე ეწოდა "საქართველოს რესპუბლიკა". და ყველა შემთხვევაში

ეს გაზეთი იყო და არის არა მარტო საქართველოს ყველაზე უფრო გავრცელებული გაზეთი, არამედ, ამავე დროს, არის საქართველოს უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ორგანო, რომელშიც, არსებითად, მხოლოდ "ერთ-ხმაზეა" ლაპარაკი. ოპოზიცია პარლამენტში და  მის გარეთ, იშვიათად თუ ამბობს თავის სიტყვას ამ გაზეთის ფურცლებზე. ეს ფაქტი კი პრესის თავისუფლების სასარგებლოდ არ მეტყველებს. ისევ მაგალითი ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებიდან მსურს მოვიყვანო: ევროპაში არ არსებობს არც ერთი დიდი გაზეთი, რომელიც ამ ქვეყნების პარლამენტების თუ მთავრობების სახელით გამოდის. პრესა, ევროპისა და ამერიკის დემოკრატიულ ქვეყნებში, თავის-უფალია, რის შედეგია ის, რომ პრესას ამ ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლების "მეოთხე ორგანოს" უწოდებენ, ვინაიდან იგი დამოუკიდებელია მთავრობა-კანონმდებლობა-მართლმსაჯულების ორგანოებიდან და თავიანთ "დამოუკიდებელ აზრებს" გამოთქვამენ ყველა საჭირბოროტო საკითხზე. ამის შედეგია ის, რომ პრესა, რადიო, ტელეხედვა, ფილმი და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში, რადგან მათი მეშვეობით ხელისუფლება განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

<u>შეკითხვა:</u> და თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში პრესა, რადიო, ტელეხედვა თავისუფალი არ არის მთავრობა-პარლამენტის კონტროლისაგან?..

<u>პასუხი:</u> ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მე არ შემიძლია, რადგან კარგად არ ვიცნობ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობებს. მაგრამ ის ფაქტი, რომ საქართველოს ყველაზე უფრო მრავალტირაჟიანი გაზეთი საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორგანოა, ეჭვს ბადებს, რომ ამგვარ პრესის ორგანოს შესაძლებლობა გააჩნია "დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში" გაატაროს საქართველოს მთავრობის, ოპოზიციის, პარლამენტის თუ მართლმსაჯულების ორგანოების მოქმედება. საქართველოში, ჩემის აზრით, უნდა არსებობდეს, სულ ცოტა, ორი დიდი დამოუკიდებელი გაზეთი, ხოლო რადიო-ტელეხედვა უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების ერთობლივი მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც ეს არის ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში.

<u>შეკითხვა:</u> ვითომ თქვენ არ აჭარბებთ, როცა პრესას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სახელმწიფო ხელისუფლების "მეოთხე ორგანოს" უწოდებთ საქართველოში, კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების ორგანოების გვერდით?..

<u>პასუხი:</u> მასობრივი ინფორმაციის მედიუმებს მე მარტო კი არა, დემოკრატიულ ქვეყნებში, ხელისუფლების "მეოთხე ორგანოს" <u>ყველა</u> უწოდებს, და ეს ფაქტიურადაც ასეა: <u>თავის-უფალი პრესა, უდავოა, ხელისუფლების "მეოთხე სვეტია", რომელზედაც ეყრდნობა დემოკრატიული ხელისუფლება.</u>

<u>შეკითხვა:</u> ხომ არ მოიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც ამგვარი "მეოთხე სვეტის" დასაბუთებლად გამოდგება?..

<u>პასუხი:</u> ამგვარ მაგალითებს ხშირად გვაძლევს დემოკრატიული ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის მედიუმები. ყველაზე უფრო ცნობილი გახლა, საერთაშორისო მასშტაბით, თუ გნებავთ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გადადგომა 1974 წლის 9 აგვისტოს ე.წ "უოტერგეიტის სკანდალის" გამო: 1972 წლის აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნების კამპანიის დროს ხუთმა კაცმა გატეხეს დემოკრატიული პარტიის სადგომი უოტერგეიტის ქუჩაზე, წაიღეს დოკუმენტები და გამოიყენეს საარჩევნო კამპანიაში პრეზიდენტ ნიქსონის სასარგებლოდ, რომელიც 1972 წელს მეორეჯერ არჩეულ იქნა აშშ-ს პრეზიდენტად. "უოტერგეიტის სკანდალი" მზის სინათლეზე გამოიტანეს პრესის სხვადასხვა ორგანოებმა, განსაკუთრებით გაზეთმა "ვაშინგტონ პოსტ-მა", რომლის დროს პრეზიდენტ ნიქსონს ბრალს დებდნენ, რომ მან იცოდა "უოტერგეიტის სკანდალის" ამბავი და არავითარი ღონისძიება არ მიიღო მის წინააღმდეგ. "უოტერგეიტის" საქმე" კი ისე გამწვავდა, რომ საშიშროება შეიქმნა პრეზიდენტ ნიქსონისათვის წაეყენებინათ ბრალდება ე.წ-ით "იმპიჩმენტის"= Impeachment - გზით, რის მიზანი იყო პრეზიდენტის გადაყენება. და რომ პრეზიდენტ ნიქსონს თავი აერიდებინა სასამართლოში საქმის აღძვრისაგან, 1974 წლის 9 აგვისტოს გადადგა. ორ ჟურნალისტს კი, რომლებმაც განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინეს "უოტერგეიტის საქმის" გახსნაში, მიანიჭეს ე.წ-ით "პულიცერ-პრაის"=პულიცერის პრემია მოსახლეობისათვის განსაკუთრებული სამსახურის გაწევისათვის.(ჯოზეფ პულიცერი - 1847-1911 - იყო დიდი გამომცემელი, რომლის სახელობითაც დაწესებულია "პულიცერის პრემია" ჟურნალისტიკაშიც).

<u>შეკითხვა:</u> და ვითომ პრესის ამგვარი თავისუფლება დღეს საქართველოში არ გაგვაჩნია?..

პასუხი: ამის დადასტურება ან უარყოფა მე არ შემიძლია, რადგან ისე კარგად არ ვიცნობთ მასობრივი ინფორმაციების მედიუმების მდგომარეობას დღეს საქართველოში. მაგრამ თუ ის მართალია, რომ გაზეთებისათვის ქაღალდის გამოყოფა თუ გაზეთების აწყობა სტამბებში სამთავრობო ორგანოების ნებართვას მოითხოვს, მაშინ სავარაუდოა, რომ ყველას – პიროვნებას თუ პარტიას – თავისი საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ, გაუჭირდება აზრის თავისუფალი გამოთქმა და გავრცელება.

შეკითხვა: მე კი, ჩემის მხრივ, ვიტყოდით, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დღეს საქართველოში თავისუფალია; გამოდის უამრავი სხვადასხვა პარტიის თუ დაჯგუფების ჟურნალ-გაზეთები; მათი ხმა გაისმის რადიოსა და ტელეხედვაში...

პასუხი: თუ ესაა, უთუოდ, მისასალმებელია. მაგრამ მე მაინც მებადება ეჭვი იმაში, რომ დღეს საქართველოში მთავრობის ოპოზიციას შესაძლებლობა გააჩნია საქართველოს მოსახლეობას გააცნოს მისი ოპოზიციური შეხედულებები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრობლემებზე...

შეკითხვა: თქვენ აღნიშნეთ, რომ პრესა არის სახელმწიფო ხელისუფლების "მეოთხე ორგანო", "მეოთხე სვეტი", რომელსაც ეყრდნობა დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო. ვითომ პრესის ამგვარი თავისუფლება არის უგულებელყოფილი საქართველოში, თუ მოვიყვანთ, ამჯერად, ჟურნალისტ აკაკი მიქაძის, "მოსკოვსკიე ნოვოსტი-ს" მაგალითს, რომელიც აღწერილია იმავე გაზეთის ფრანგული გამოცემის("Les Nouvelles de Moscou", 23 juin 1991) 1991 წლის 23 ივნისის ნომერში?..

პასუხი: ბოდიში, მე ჟურნალისტ აკაკი მიქაძის ამბავს არ ვიცნობთ, თუმცა "მოსკოვსკიე ნოვოსტი-ს" ნეგატიური მიდგომა საქართველოსადმი ჩემთვისაც კარგად ცნობილია...

შეკითხვა: 1991 წლის ივნისის დასაწყისში, საქართველოს ტელევიზიაში, აკაკი მიქაძე, სხვა ოთხ ჟურნალისტთან ერთად, გამოცხადებულ იქნა "ერის მოღალატე"; ის, როგორც "მოსკოვსკიე ნოვოსტი-ს" ჟურნალისტი არ იქნა არც აკრედიტებული და არც მისცეს პრესის საშვი; საქართველოს მთავრობის კომისიის თავჯდომარემ – თენგიზ ჩიქოვანმა – , "მოსკოვსკიე ნოვოსტი-ს" ცნობით, – აღძრა სისხლის სამართლის საქმე ამ ხუთი ჟურნალისტის წინააღმდეგ. რას იტყოდით თქვენ ამ ფაქტის შესახებ?..

პასუხი: რადგან არ ვიცი თუ რა დანაშაული ჩაიდინეს კონკრეტულად ამ აღნიშნულმა ხუთმა ჟურნალისტმა, არ შემიძლია მაზე ლაპარაკი. უნდა დავიჯეროთ, რომ სასამართლო გაარჩევს ამ საქმეს, და ეს არის ერთადერთი სამართლიანი გზა დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში. და აქ მაგონდება ერთი ფაქტი ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებიდან:

ერთი ამერიკელი მიდიოდა ქუჩაში და უკონტროლოთ აქნევდა ხელს, რომლის დროს მისი ხელი მოხვდა ცხვირში მის გვერდზე მიმავალ კაცს, რომელმაც მას უჩივლა და მოსამართლემ მიუსაჯა ათი დოლარი ჯარიმა ბრალდებულს. ის შეედავა მოსამართლეს: – როგორ მე, თავისუფალ ადამიანს, თავისუფალ ქვეყანაში არ შემიძლია ხელი გავაქნიო ისე, როგორც მე მსურს?.. მოსამართლემ უპასუხა: რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ ხელი გააქნიოთ ისე, როგორც თქვენ გსურთ, მაგრამ თქვენი ხელის გაქნევის საზღვარი სწორედ იქ არის, სადაც იწყება შენი თანამოქალაქის ცხვირი!..

სხვა სიტყვებით: "უსაზღვრო თავისუფლება" არ არსებობს; თავისუფლების საზღვარია სამართლებრივი სახელმწიფოს კანონი, და, გვსურს დავიჯეროთ, რომ სასამართლო კანონიერად განსჯის აღნიშნული ჟურნალისტის – აკაკი მიქაძის – საქმესაც.

სხვათა შორის, თქვენს მიერ დასახელებული აკაკი მიქაძის თანამშრომლობა "მოსკოვსკიე ნოვოსტი-ს" რედაქციაში, არ ლაპარაკობს, სულ ცოტა, მორალურად, მის სასარგებლოდ, რადგან ეს გაზეთი, როგორც არაერთხელ აღნიშნეს, "ედინაია ნედელიმაია"="ერთიანი და განუყოფელი" რუსეთის პოზიციაზე დგას, რომლის დროს საქართველოს "რუსეთის პროვინციად" არის მიჩნეული. საერთოდ,

ჟურნალისტის თუ დიპლომატის "პერსონა ნონ გრატა-დ", ე.ი. "არასასურველ პიროვნებად" გამოცხადება, იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოშიც.

შეკითხვა: რას იტყოდით თქვენ ეროვნული გვარდიის შესახებ?..

20. პასუხი: ეს, უდავოა, დიდი და საჭირო საქმეა.

"მაგრამ არ მომწონს საქართველოს ეროვნული გვარდიის ფიცის ტექსტი, რომლის დასაწყისში ახალწვეული გვარდიელი, როგორც ამ ფიცის ტექსტშია ნათქვამი, - ფიცს დებს "ღვთისა და ერის წინაშე", და ბოლოს კი ფიცავს: "მადა ღვთისა მწე ჩემდა იყოს აწ და მარადის. გვფარავდეს ღმერთი!" ნათელია, მორწმუნეებისათვის ფიცის ეს ტექსტი, უთუოდ, მისაღებია; მაგრამ მისაღებია ის იმ ახალწვეულ გვარდიელებისათვის, რომლებსაც "ღმერთი არ სწამთ?.." თუ ათეისტებს არ შეუძლიათ საქართველოს ეროვნულ გვარდიაში სამსახური?.. ამით ხომ დარღვეულია საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რომლის თანახმად - "ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს.....ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს"?.. ანალოგიურია რესპუბლიკის პრეზიდენტის თუ მინისტრების ფიციც, რომლის დროს, ჩემის აზრით, როგორც ეს ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებშია, ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება არ სწამდეს ღმერთი, ე.ი. იყოს ათეისტი; ეს უფლება კი სრულიად არ უნდა ზღუდავდეს მის უფლებებს როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქისა. ამიტომაა, რომ, მაგალითად, საფრანგეთის კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ საფრანგეთი არის -"...განუყოფელი, საერო, დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა".

ამ საკითხზე კი საქართველოს პრესაში, მე პირადად არაფერი არ წამიკითხავს, რაც, ვფიქრობ, "არ-მორწმუნეების" უფლებების შელახვას უდრის.

შეკითხვა: მაგრამ თითო-ოროლა არ-მორწმუნეებისათვის უგულებელყოფილი უნდა იყოს დიდი, დიდი მორწმუნე უმრავლესობის უფლებები ფიცი დადოს "ღვთისა და ერის წინაშე?.."

პასუხი: სრულიადაც არა. გერმანიაში, მაგალითად, არსებობს მინისტრთა ფიცის დადების საერთო წესი, რომელიც მთავრდება -"...ზო ვარ მირ გოტ ჰელფე"="...ღვთის წყალობით!" და თუ რომელიმე მინისტრი ათეისტია, მაშინ მას უფლება აქვს ეს ბოლო წინადადება არ თქვას, რაც იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება. საერთოდ, პრეზიდენტები, მინისტრები თუ სხვა პასუხისმგებელი პირები ფიცს დებენ "ხ ა ლ ხ ი ს წინაშე" და არა რელიგიური უწყების თუ პირის წინაშე, რადგან, დემოკრატიულ სახელმწიფოში, სუვერენია მხოლოდ-და-მხოლოდ ხალხი, და პრეზიდენტი თუ მინისტრი ფიცს დებს ხალხის წინაშე, ე.ი. ხალხისაგან არჩეული პარლამენტის წინაშე. ვფიქრობ, ეს დემოკრატიის ერთერთი ფუძეა. ვიმეორებ, დემოკრატიაში, მით უმეტეს სოციალურ დემოკრატიაში, სუვერენია ხალხი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ არც ღმერთისა და არც ერის წინაშე ფიცმა გვარდიელები ვერ დაიცვა განხეთქილებისაგან, რაც ეროვნულ ტრაგედიად მესახება. საქართველო იყო, არის და უნდა იყოს ს ა ე რ ო რესპუბლიკა.

შეკითხვა: თქვენ, როგორც ჩანს, მარტო დემოკრატიით ვერ კმაყოფილდებით თუ მას სოციალური კომპონენტი არ მიუმატეთ; და მას დემოკრატიის უმაღლეს ფორმას უწოდებთ. სოციალური დემოკრატიაც უტოპიური ხომ არ არის?..

21. პასუხი: სოციალური დემოკრატია უ წ ყ ვ ე ტ ი პ რ ო ც ე ს ი ა რ ი ს რ ო მ ლ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე ს, ადამიანს დემოკრატიული უფლებების სარგებლობის სოციალური ბაზაც გააჩნია. მაგალითად, რა არის მიმოსვლის თავისუფლების არსებობა თუ ადამიანს სახსარი არ გააჩნია იმოგზაუროს?!.. და ასეთი სოციალური დემოკრატია რომ უტოპია არ არის, ამის მაგალითად, პირველყოვლისა გამოდგება შვეცია, სადაც ადამიანის სოციალური უზრუნველყოფა სანიმუშოა საერთაშორისო მასშტაბითაც. ანალოგიური გზით მიემართება საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, შვეიცარია თუ დანია. და ქართველი ერის საამაყოდ შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საქართველოს "პატარა ოქროს ხანის" - 1918-1921 წლებში - სწორედ სოციალურ დემოკრატიას ჩაეყარა საფუძველი საქართველოში, შეიძლება ითქვას, პირველ სახელმწიფოში მსოფლიო მასშტაბით...

შეკითხვა: ვითომ თქვენ არ აჭარბებთ, რომ საქართველოს პირველ სახელმწიფო აცხადებთ, რომელშიც პირველად ჩაეყარა საფუძველი სოციალურ დემოკრატიას?..

პასუხი: ვფიქრობ, არ ვაჭარბებ, და აი, რატომ: კაცობრიობას კოლონიური მონობიდან განთავისუფლების ნიმუში მისცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როცა 1776 წლის 4 ივლისს გამოაქვეყნა "დამოუკიდებლობის აქტი" და თავი გაინთავისუფლა უცხო იმპერიის ბრჭყალებისაგან. მეორე საერთაშორისო მასშტაბის ნიშანსვეტად მესახება 1789 წლის 14 ივლისი, როცა "ამერიკის დამოუკიდებლობის აქტის" ზეგავლენითაც, საფრანგეთმა ადამიანის უფლებები დააყენა კაცობრიობის ყურადღების ცენტრში. 1918 წლის 26 მაისიც, უთუოდ, საერთაშორისო მნიშვნელობის თარიღია, თუმცა საქართველო ვერც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ვერც საფრანგეთს ვერ შეედრება "სიდიდით" და ამით საერთაშორისო ზეგავლენის მასშტაბურობით. მაგრამ "პატარა საქართველომ" კაცობრიობას მისცა "დიდი იდეა – 26 მაისი", რომლის ღრმა განსორციელების გზას დაადგა "მესამედასელთა", უდავოდ, საკაცობრიო იდეალი: პიროვნების თავისუფლება განუყოფელი ნაწილი გახდა ერის თავისუფლებისა, ხოლო ორივეს განუყოფელ ნაწილად აღიარებულ იქნა "ნივთიერი კეთილდღეობა", რაც ასეთი სისხარტით იქნა ჩამოყალიბებული 1893 წლის 7 თებერვალს, "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამაში: "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა".

შეკითხვა: ახლა სხვა საკითხზე:
ნუთუ ყველა ქართველი დასაგმობია, რომელიც საქართველოს დღევანდელ სირთულეებსა და მის ხელმძღვანელობას საერთაშორისო პრესის ფურცლებზე "შავ ფერებში" ახატავს?..

(22.) პასუხი: კრიტიკა, როგორც ცნობილია, არის კონსტრუქციული, "აღმშენებლობითი", ლოიალური და არის დესტრუქციული, დამანგრეველი, რომელსაც ცისარტყელას დანახვა არ შეუძლია, ან არ სურს დაინახოს და ყველაფერსა და ყველას გმობს, ვინც მას არ "მოწონს", რომლის ღრმა გამოთიშულია არ არის შესაძლებლობა, რომ ამგვარი "კრიტიკოსი" მხოლოდ ფოცხინაა "ვიღაცის" ხელში. ამდენად, საერთოდ აღიარებული აზრით, დესტრუქციული კრიტიკა დასაგმობია, როცა იგი, 20-ანი წლების ქართველი ბოლშევიკების მსგავსად, კრემლის თუ მსოფლიოს სხვა პოლიტიკურ ცენტრების მასობრივი ინფორმაციის მედიუმებით "შავ ფერებში" ახატავს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, და, თითქოს, ახალ "ოკუპანტებს" ეძებენ, რომ საქართველო 1921 წლის 25 თებერვლის მსგავსად, უცხო ბატონობის ქვეშ მოაქციონ, ივიწყებენ რა, რომ საქართველო უკვე ოკუპირებულია ათი-ათასობით საბჭოთა ჯარისკაცების მიერ დღესაც.

შეკითხვა: თუ შეიძლება კონკრეტული მაგალითი...

პასუხი: კონკრეტული მაგალითი მე უკვე მოვიყვანე, როცა აღვნიშნე, რომ ერთმა ქართველმა, პარიზში, 1991 წლის 25 აპრილის გაზეთ "მონდ-ში" გამოაქვეყნა ჩვენი დღევანდელი ხელმძღვანელობის ლანძღვის სამარცხვინო წერილი, რომელსაც საკადრისი პასუხი გასცა მეორე ქართველმა იმავე "მონდ-ის" ფურცლებზე. მაგრამ ამ ქართველმა (თ.ნ.) ისევ შესძლო მოკლე წერილის გამოქვეყნება "მონდ-ში", რომელშიც ის ამტკიცებს, რომ სუკი-ს აგენტი არ არის. მაგრამ ამ ფაქტში კიდევ უფრო შემაძრწუნებელია ის, რომ მისი პირველი წერილი მაშინვე გამოაქვეყნა გაზეთმა "პრავდამ", თითქოს "პრავდას" მეტად შესტკიოდეს გული საქართველოს ბედ-იღბალზე; ეს ფაქტი კი თავის-თავად ლაპარაკობს ამ სტატიის ავტორზე თუ ავტორებზე. რა თქმა უნდა, "პრავდას" არ გამოუქვეყნებია იმავე "მონდში" გამოქვეყნებული საპასუხო წერილი (ო.ზ.), რადგან მასში გამოთქმული აზრები კრემლს არ გამოადგებოდა მისი ბატონობის საქართველოზე გახანგრძლივების საქმეში.

შეკითხვა: და სხვა ფაქტები?..

(23.) პასუხი: ანალოგიური ფაქტები მრავალია, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ კიდევ ერთი "მყვირალა" ფაქტი:
შემთხვევით ხელში ჩამივარდა "ინტერნაციონალური კურიერი" = "Courrier Inter-

national",Nr.29,Moscou,რომელიც თურმე გამოდის მოსკოვში ფრანგულ ენაზე; და ამ გაზეთის 29-ე ნომრის მე-11 გვერდზე გამოქვეყნებულია თითქმის ერთ-გვერდიანი წერილი, კარიკატურებით,უცხოეთის პრესიდან; და ამ წერილის ავტორია ვილაც თენგიზ გუდავა, რომელსაც ეს წერილი პირველად გამოუქვეყნებია მოსკოვის ცნობილ ჟურნალ "ნოვოე ვრემია-ში". ამ ვრცელი წერილის სათაურია -"საქართველო ნაციონალ-ბოლშევიზმის გზაზე?", რომლის წაკითხვის დროს მომაგონდა ქურდი, რომელიც გარბის და გაიძახის "დაიჭირეთ ქურდი!" შეუძლებელია ამ ვაჟბატონმა არ იცოდეს, რომ ბოლშევიზმის სამშობლოა რუსეთი და ნაციონალ-ბოლშევიზმიც იქ დაიბადა, შემდეგ საქართველოში გაბატონდა და ბატონობდა ჩვენში, ზუსტად რომ ვთქვათ, 1991 წლის 28 ოქტომბრამდე, როცა საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები;თუმცა ეს რუსული ბოლშევიზმი, საოკუპაციო ჯარის სახით, დღესაც საქართველოში ბატონობს, სულ ცოტა, ბატონობს ისე , რომ - როგორც ერთმა ქართველმა თქვა - საქართველო ისე ჩაკეტილია თავის საზღვრებში საოკუპაციო ჯარის მიერ, რომ თითქოს მთელი საქართველო საკონცენტრაციო ბანაკია, რომლის დროს თვით "ბანაკის" შიგნით,ასე თუ ისე, თავისუფლება გვაქვს, რომ მრავალპარტიული არჩევნები თუ რეფერენდუმი ჩავატაროთ; მაგრამ"გარეთ", საერთაშორისო ასპარეზზე, კრემლის ნაციონალ-ბოლშევიზმის შეიარაღებული ძალა არ გვიშვებს.

შეკითხვა: შეჩერდით ამ"ვილაც"თენგიზ გუდავაზე...

პასუხი:"ვილაც" თენგიზ გუდავას ვამბობ იმიტომ, რომ არ ვიცი ეს კაცი ქართველია თუ გარუსებული ქართველი!.. რა თქმა უნდა, ყოველ ქართველსაც აქვს უფლება გარუსდეს ან გაფრანგდეს, მაგრამ ვითომ ეს აძლევს მას უფლებას მის ყოფილ სამშობლოს - საქართველოს - ზურგში დანა ჩასცეს, რადგან მას ქართველად სურს მოაჩვენოს თავი ვინმეს?.. თუ ამ სტატიით განვსჯით, ამ ვაჟბატონსისე გაეგება საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მდგომარეობა მე-18 საუკუნეში, როცა მისი წერილი "შევსებულია" შესაბამისი კარიკატურით. ამ წერილის სათაურთან,მაგალითად, გამოქვეყნებულია ორი კარიკატურა, რომლებსაც აქვე ვაქვეყნებთ.




Ensemble ou la mort. Ensemble ou ailleurs.
*Dessin de Don Wright (UP Syndicate) paru dans le* Palm Beach Post

პირველ კარიკატურაზე გამოსახულია ნაწილებად დაჭრილი "უსხენებელი"(გველი), რომელთა თითოეულ ნაწილზე წარწერაა "ნიუ-იორკი" თუ "ნიუ-ჯერსი".
მეორე კარიკატურაზე კი გამოსახულია "რუსული დათვი", რომელიც ანალოგიურად დაჭრილია ნაწილებად და ერთერთ ამ ნაწილზე აწერია "საქართველო", მეორეზე - "სომხეთი" და ასე შემდეგ.
პირველ კარიკატურას აქვს ბენჯამინ ფრანკლინის(1706-1790) მოწოდება: "ერთობა, ან სიკვდილი"= "Join, or Die"; მეორეზე კი არის მიხეილ გორბაჩოვის სიტყვები მიწერილი:"ერთობა ან ქაოსი". და ამ ორ კარიკატურასაც იშველიებს ეს "ვილაც" თენგიზ გუდავა, რომ ნათელი გახადოს მისი ამ ანტი-

ქართული წერილის შინაარსი, რომელშიც ეს ვაჟბატონი საქართველოს მიმართ "ნაციონალურ ინფანტილიზმზეც" კი ლაპარაკობს. აქ კი შეიძლება ვილაპარაკოთ ისტორიული ფაქტების "ბოლშევიკურ გაყალბებაზე" თენგიზ გუდავას მხრივ; და აი, რატომ:

ჯერ ერთი: ბენჯამინ ფრანკლინი იბრძოდა ამერიკის "შტატების" კოლონიურ მდგომარეობიდან განთავისუფლებისათვის და მოუწოდებდა ცალკეულ კოლონიებს ერთობისაკენ, რომ დაემხოთ დიდი ბრიტანეთის კოლონიური ბატონობა, რაც, უდავოა, დიდი, დიდი პროგრესიული მოვლენა იყო, რის შედეგად 1776 წლის 4 ივლისი, ე.ი. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენად იქცა ყველა კოლონიური ქვეყნებისათვის მთელს მსოფლიოში.

მეორე: როგორ შეუძლია ქართველ კაცს, თუ თენგიზ გუდავა მართლა ქართველია და არა რუსი, წარმოშობით ქართველი, - შეადაროს შტატები "ნიუ-იორკი" თუ "ნიუ-ჯერსი" საქართველოსა და სომხეთს?.. ნუთუ მან არ იცის, რომ აშშ-ი, და ამით მისი ცალკეული "შტატები" იმიგრანტებისაგან შექმნილი ერთეულებია, ხოლო საქართველო ან სომხეთი სამი-ათას-წლოვანი სახელმწიფო ისტორიის მქონე ქვეყნებია, რომლებსაც რუსეთთან არაფერი საერთო არ აქვთ?..

და მესამე?.. მაშინ ხომ მიხეილ გორბაჩოვის მოთხოვნა -"ერთობა ან ქაოსი" - წმინდა წყლის იმპერიული, იმპერიალისტური მოთხოვნაა, რაც ახლაც, როცა ეს სტრიქონები იწერება, ეყრდნობა კრემლის საოკუპაციო სამხედრო ძალას საქართველოში და მთელ კავკასიაშიც?..

მერმეთ: როდის იყო საქართველო "რუსული დავთის" განუყოფელი ნაწილი?.. საიდან მოდის ამ ვაჟბატონს ამგვარი დასაჭურისებული აზრები?..

მეკითხვა: თქვენ ვითომ არ აჭარბებთ ამგვარი დაუნდობელი კრიტიკით?..

პასუხი: მარტო თენგიზ გუდავა რომ იყოს, მაშინ, ალბათ, ჩემი ტონიც უფრო "რბილი" იქნებოდა. მაგრამ მე მაკვირვებს ის ფაქტი, რომ - მიუხედავად საქართველოს, ქართველი ერის სამი-ათას-წლოვანი გაწამებული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, - კიდევ რამდენი ქართველი გვყავს, რომლებიც მონურად ემსახურებიან უცხო სახელმწიფოს თუ სახელმწიფოებს და, როგორც ჩანს, არ ესმით, რომ მონები არიან. ეს ორჯონიკიძე-მახარაძეების მემკვიდრენი აკაკის "თავუნას" მდგომარეობაში იმყოფებიან - შეგნებულად თუ შეუგნებლად, და პირდაპირ თუ არაპირდაპირ - ხელს უწყობენ უცხო ძალის ბატონობის გახანგრძლივებას საქართველოში. მე ასეთ თითო-ოროლა ქართველს მონებს ვუწოდებ იმიტომ, რომ ისინი, როგორც ჩანს, კარგად გრძნობენ თავს ამგვარ მონობაში - იყოს უცხო ძალის ყურმოჭრილი მონა - და არ ესმით, რომ მონები არიან. მართალია, - ფრიდრიხ შილერი რომ მოვიშველიოთ - მონას თუ არ ესმის, რომ ის მონაა, მაშინ არ არის მონა. მაგრამ, ჩემის აზრით, ასეთი ადამიანი სუბიექტურად არ არის მონა, ობიექტურად მაინც მონაა. და ასეთებად მენახება ყოველი ჯურის ორჯონიკიძე-მახარაძეების მემკვიდრეები.

მეკითხვა: ჩემთვის, რა თქმა უნდა, გასაგებია, რომ თქვენ უკომპრომისოდ გმობთ ყოველი ჯურის ორჯონიკიძე-მახარაძეების მემკვიდრეებს; მაგრამ ეს ამართლებს საქართველოს ხელმძღვანელების ყველა მოქმედებას დღეს?..

პასუხი: არა. ამის დადასტურებაა, თუ გნებავთ, ამ ფიქტიური ინტერვიუს მთელი შინაარსი. მაგრამ მე კი არ "ვგმობ", საერთოდ, საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის ყველა მოქმედებას, არამედ, სულ ცოტა, ვცდილობ, ვაწარმოო კონსტრუქციული კრიტიკა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება წარიმართოს დემოკრატიული გზით, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში, "პატარა ოქროს ხანაში". ამდენად, საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა, - მიუხედავად აღნიშნული კრიტიკისა, ჩვენი, ე.ი. მთელი ქართველი ხალხის, მთელის საქართველოს ხელმძღვანელობაა თვით თენგიზ გუდავას ჩათვლით, თუ ის ქართველად, საქართველოს მოქალაქედ თვლის თავისთავს. და ყოველი ქართველის, საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობად მიმაჩნია საქართველოს საშინაო და საგარეო საქმეებზე სჯა-ბაასი და "დაუნდობელი კრიტიკაც" ჩვენს შორის ჯერ-მოით და არა უცხოეთის პრესის ორგანოებში. - ამით იმის თქმა მსურს, რომ ბატონ თენგიზ გუდავას იგივე წერილი შეეძლო გამოექვეყნებინა ქართულ ენაზე, საქართველოს მოქალაქეებისათვის; და თუ ის ამ დროს კანონით გათვალისწინებულ

დანამაულს არ ჩაიდენდა("წიღისწამება",მაგალითად, სისხლისსამართლის კატეგორიაა), მას გავაკრიტიკებდით, როგორც საქართველოს მოქალაქეს, თუ დავინახავდით, რომ მას საქართველოს "გამავება" კი არა, საქართველოს სახელმწიფოებრივ ზედზე გული შესტკივა.

შეკითხვა: ეხე-იგი, თქვენ იცავთ საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელებს...

24. პასუხი: როგორ უნდა დავიცვა საქართველოს ხელმძღვანელობა,როცა პოზიცია-ოპოზიცის ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღითაც იბრძვიან?..
საერთოდ,ცნობილია, -მოქმედებაში იგულისხმება არა მარტო "შეუცდომლობა", არამედ "შეცდომაც". დემოკრატია კი არის, როგორც ნოე ჟორდანია ამბობს, "...მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი". ამდენად, საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა კანონიერია, რადგან იგი ჩვენი ხალხის უმრავლესობამ აირჩია დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების გზით. ვიმეორებ: დემოკრატიის ერთადერთი საზომია ამომრჩევლების უმრავლესობა; სხვა კრიტერიუმი დემოკრატიას არ გააჩნია. და თუ ჩვენს ოპოზიციურ პარტია-ჯგუფებს საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა მიაჩნია "ცუდ" ხელმძღვანელობად, მაშინ მან უნდა იბრძოლოს მისი შეცვლისათვის; მაგრამ მხოლოდ-და-მხოლოდ დემოკრატიული გზით, და არა აჯანყებით,იარაღით ხელში,ან უცხო ჯარის შემოყვანის გზით, როგორც ეს ჩაიდინეს ორჯონიკიძე-მახარაძეებმა 1921 წლის თებერვალ-მარტში; თუმცა, როგორც აღვნიშნე, საოკუპაციო ჯარებს დღეს საქართველოში შემოყვანა აღარ სჭირია,რადგან ამგვარი ჯარები უკვე დგას საქართველოში, უკვე 70-ი წელიწადია.

25. შეკითხვა: მაგრამ თენგიზ გუდავამ,არსებითად, იმას იმეორებს თავის აღნიშნულ წერილში, რაც საყოველთაოდ ცნობილია: ე.წ-ლი"სამხრეთ ოსეთის" საკითხში ვერ გამოიჩინა მოქნილობა საქართველოს დღევანდელმა ხელმძღვანელებმა; - რომ ზვიად გამსახურდიამ მართლაც უწოდა "ეროვნული კონგრესის" ხელმძღვანელებს "ერის მოღალატეები" თუ "კრიმინალური ელემენტები"; - რომ ე.წ-ღმა პრეფექტებმა შეცვალეს ე.წ-ლი "პირველი მდივნები" და ხელთ აქვთ, პრაქტიკულად, კანონმდებლობითი, მართველობითი და მართლმსაჯულებითი უფლებამოსილება; - რომ პრეფექტებს ზემოდან ნიშნავს ზვიად გამსახურდია; - რომ მისი უფლებები, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტისა, თითქმის,განუსაზღვრელია: მას შეუძლია იმის გამოცხადებაც კი, რომ არ ვილაპარაკოთ ისეთი დიდი მნიშვნელობის საკითხზე, როგორიცაა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება თუ გაუქმება; - ზვიად გამსახურდიას,ე.ი."მრგვალ მაგიდას" არავითარი ღონისძიებები არ მიუღიათ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის თუ სახელმწიფო საწარმოების რეფორმების მიზნით; - რომ ძველი კომუნისტური სტრუქტურები რჩება ძალაში; - და, აირჩიეს რა 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, გამოდის, რომ ზვიად გამსახურდიას ამ თანამდებობიდან კანონიერი შეცვლა,თითქმის, შეუძლებელი მოხჩანს; - და ამგვარი ფაქტების შემდეგ, განა გასაკვირია, როცა საქართველოს უმაღლესი საბჭოს, ე.ი.საქართველოს პარლამენტის პრეზიდენტი აკაკი ასათიანი აცხადებს:"არც მიტერანი და არც ბუში არ შეიძლება შედარებულ იქნან ჩვენს ზვიადთან"? ეს არ არის "პიროვნების კულტი"? - და რომ ამგვარ და სხვა მრავალ, როგორც თენგიზ გუდავა წერს, "ეროვნულ ინტანტელიზმისაგან განთავისუფლება" არ სჭირია საქართველოს დღეს?

---

პასუხი: აქ მაგონდება, სხვათა შორის, ფრანგის დრამატურგის კარან დე ბომარშეს სიტყვები: "თავისუფლების ხელყოფის გარეშე, შეუძლებელია მლიქვნელობითი ხოტბის შესხმა". 

ეს სიტყვები, ერთ დროს, ფრანგულ დიდ გაზეთს "ლე ფიგარო-ს" სათაურის ქვეშ ჰქონდა წაწერილი. რა თქმა უნდა, ყოველი ჯურის "პიროვნების კულტი" დასაგმობია, და მჯერა, რომ ქართველობა ამგვარი პრიმიტიულობიდან განთავისუფლდება. რაც შეეხება თქვენს მიერ წამოჭრილ საკითხებს, რომლებიც აღნიშნულია თენგიზ გუდავას წერილში, მე უკვე ვთქვი ჩემი აზრი ამ ფიქტიურ ინტერვიუში. დამატებით ავღნიშნავ, რომ - მართალია თენგიზ გუდავა "დაუნდობლად" აკრიტიკებს საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობას, მაგრამ ვითომ ყველა ამ მანკიერებათა ბუდე კრემლში არ არის?.. კრემლმა არ გაგვხადა ჩვენ და ჩვენთან ერთად ნახევარი მსოფლიო "ჩვილ ბავშვებად", რომლებსაც კრემლის

ხელმძღვანელობა ესაჭიროება?.. კრემლმა არ გაწყვიტა საქართველოს ინტელიგენციისა და პოლიტიკური მოღვაწეების დიდი ნაწილი, რითაც დაგვაქანა უკან რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის პრიმიტიულობამდე? საქართველომ, ქართველმა ერმა სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფო შექმნა 1918 1921 წლებში, სანიმუშო დემოკრატიული კონსტიტუციით, რითაც განცვიფრებაში მოიყვანა მაშინდელი მთელი ცივილიზებული მსოფლიო; და რა მოუვიდა ახლა, 70-ი წლის შემდეგ, ჩვენს კულტურულ ერს, ხალხს, რომ - ამჯერად - ვეღარ შევქმენით სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა? - ჯერჯერობით, ვერ შევქმენით სანიმუშო დემოკრატიული წესწყობილება საქართველოში მხოლოდ-და-მხოლოდ იმიტომ, რომ კრემლი დგას თავისი საოკუპაციო ჯარებით საქართველოში და ვიმყოფებით "დამოკლეს ხმლის" შიშის ქვეშ; და არც კი ვიცით, თუ რა მოგველის ხვალ, როდის განმეორდება 1989 წლის 9 აპრილის თუ კიდევ უფრო უარესი ტრაგედია. და ასეთი შიშის პირობებში, ასეთი ტერორის მოლოდინში - განა შესაძლებელია "უნაკლო" დემოკრატიული წესწყობილების შექმნა საქართველოში, თუ კრემლის საოკუპაციო ჯარები არ იქნა გაყვანილი საქართველოდან?..

რა თქმა უნდა, ჩვენი შესაძლებლობა ამხრივ, მეტად შეზღუდულია,ვინაიდან ჩვენი ეროვნული უფლებების მხარდამჭერი - საერთაშორისო არენაზე - არ ჩანს, რაც განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ჩვენგან. და,უდაოა, რომ ამგვარ სიფრთხილეს, წინდახედულობას ჩვენ ვერც პოზიცია,ვერც ოპოზიცია-ვერ ვამჟღავნებთ.

ამ გზით ხომ ისევ კონსტრუქციულ კრიტიკასთან მივდივართ?.. და, თუ ეს ასეა, და ეს ასეა,უდავოთ, მაშინ თენგიზ გულავამ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა მხოლოდ საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის უსუსურობით უნდა ახსნას, თითქოს კრემლის დიდმპყრობელ-შოვინისტები, რომლებიც ფაქტიურად ბატონობენ საქართველოში,საოკუპაციო ჯარების მეშვეობით, - მამა აბრამის ბატკნებია?..

შეკითხვა: ესე-იგი, თქვენის აზრით, საქართველოს დღევანდელი პოზიცია-ოპოზიცია მოქმედებს მანკიერად, რადგან საქართველოში საოკუპაციო ჯარების დგას?..

პასუხი: რა თქმა უნდა, ერთი მთავარი მიზეზი ეს არის, მაგრამ ყველა მოვლენის ამით ახსნაც შეუძლებელია: ქართველი ხალხის დიდმა უმრავლესობამ - პარლამენტის სულ 250 დეპუტატიდან 166-ი დეპუტატი "მრგვალი მაგიდიდან"აირჩია; ხმა მისცა, ასე ვთქვათ, პოლიტიკური პალიტრის "მემარჯვენე ფრთას", ხოლო "მემარცხენე ფრთა", მე ვიტყოდი, "მემარცხენე ზომიერი ფრთა", ე.ი.საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია საერთოდ არც კი არის პარლამენტში წარმოდგენილი,რადგან ხმების ოთხი პროცენტიც კი ვერ მიიღო; და თუ ჩვენ გვსურს შევცვალოთ საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა უფრო "ზომიერი" პოლიტიკური პარტიით თუ პარტიებით, ამისათვის არსებობს მხოლოდ-და-მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების გზა.

რაც შეეხება კრემლის საოკუპაციო ჯარების "შიშის ზარს" საქართველოში, - ეს რომ ხელს უშლის საქართველოში დემოკრატიული წესწყობილების ისევ დამკვიდრებას, ამას,ვფიქრობ, მტკიცება არ ესაჭიროება. 1918-1921 წლებში რომ ჩვენ, ე.ი. : ქართველმა ხალხმა სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფო შექმნა,117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ, ამის ერთერთი საფუძველი იყო ის, რომ საქართველო და ამიერკავკასია რუსის ჯარმა დატოვა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ; და ჩვენ ვიყავით ჩვენი თავის ბატონ-პატრონი. დღეს კი საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე კრემლი საერთოდ არც კი ფიქრობს ხოლმე და ამ იმპერიული პოლიტიკის შენიღბვას იმით ცდილობს,რომ გვაშინებს: თუ რუსის ჯარი წავა, მაშინ "თურქეთი გადაგვყლაპავს", თუმცა თურქეთი,როგორც ცნობილია, კეთილმეზობლური განწყობილების მომხრეა საქართველოს მიმართაც. თურქეთის პრეზიდენტმა - თურგუთ ოზალმა, მისი სტუმრობის დროს მოსკოვში, 1991 წელს, - ამერიკული გაზეთის "უოლ სტრიტ ჯორნალის" ცნობით,კრემლს შესთავაზა გეგმა, რომლის ძალით შესაძლებელი გახდება საბჭოთა კავშირში ეთნიკური მღელვარებათა შეჩერება, თუ ყველა მოკავშირე რესპუბლიკები გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები.

26. შეკითხვა: "მე რომ 'მემარჯვენე' ვიყო?" - აყენებთ თქვენ საკითხს და პასუხობთ, რომ იმოქმედებდით როგორც "მემარცხენე". ვითომ "მემარცხენეები", ხელისუფლების სათავეში რომ იდგნენ, უფრო "კარგად" გაუძღვებოდნენ საქმეს?..

პასუხი: ჯერ-ერთი, "მემარცხენეებში" მე ვგულისხმობ არა კომპარტიას, არამედ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ყველაზე უფრო უძველეს პარტიას საქართველოს ისტორიაში, საერთოდ, და, რაც მთავარია, "26 მაისის დიადი იდეების" თეორიული და პრაქტიკული განხორციელების მთავარ ძალას. და თქვენს ჰიპოთეტურ შეკითხვას რომ ჰიპოთეტური პასუხი გავცე, როგორც აღვნიშნე, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გააჩნდა და გააჩნია იმდენი საერთაშორისო მხარდაჭერა, რომ, უთუოდ, უფრო ადვილად შეძლებდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს, საერთაშორისო ასპარეზზე გამოყვანას, როგორც ეს მოხდა 1918-1921 წლებში, როცა დამოუკიდებელი საქართველო, მოკლე ხანში, იცნო მსოფლიოს ოცზე მეტმა სახელმწიფომ, მათ შორის, თვით საბჭოთა რუსეთმა, ლენინის რუსეთმა. მაგრამ პირდაპირ გასაკვირია, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში, ხმების ოთხი პროცენტიც კი ვერ მიიღო, რომ - საერთოდ - წარმოდგენილი ყოფილიყო საქართველოს უზენაეს საბჭოში. ვითომ ასე დაეცა საქართველოში "პოლიტიკური კულტურა", რომ მხოლოდ-და-მხოლოდ "მემარჯვენეები" გავხდით?.. და, წარმოიდგინეთ, "პიროვნების კულტისაკენაც" კი მივისწრაფვით?..

შეკითხვა: რატომ "პიროვნების კულტისაკენ?.."

პასუხი: სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ, მაგალითად, როცა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდენტი, ე.ი. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს თავჯდომარე ამბობს - "არც მიტერანი და არც ბუში არ შეიძლება შეედაროს ჩვენს ზვიადს?!" ჯერ-ერთი, პატარა საქართველო, ქართველი ერი, როგორ უნდა შევადაროთ მსოფლიოს "პირველ" სახელმწიფოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ან საფრანგეთს?.. ეს ხომ გადიდების მანიაა?.. მერმეთ: რა ადამიანური თუ განათლებითი თავისებურება გააჩნია ზვიად გამსახურდიას, რომ მის წინაშე ვერც მიტერანი და ვერც ბუში ვერ გამოჩნდება?.. რა არის ამგვარი პრიმიტიული ხოტბა-დიდება პიროვნებისა?.. არ გვაგონებს ეს ახლო წარსულს, რომელიც გვეგონა უკვე გადალახულია?.. მე რმეთ: დემოკრატიული წესყობილების პირობებში პიროვნება ფასდება არა მარტო მისი პიროვნული თვისებებით, არამედ იმ პარტიით და პარტიის პროგრამით, რომელსაც ის წარმოადგენს; და თუ ასეთი საზომით მივუდგებით ამ საკითხს, მაშინ არ ისმება კითხვა თუ რა პროგრამას წარმოადგენს "მრგვალი მაგიდა" და რა სახის პარტიაა ის, თუ ის პარტიაა საერთოდ?.. და რას წარმოადგენს მისი პროგრამა საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური საკითხების მოგვარების საქმეში?.. რა თქმა უნდა, ჩვენი მოქმედების მთავარი ბაზაა 26 მაისის დიადი იდეები, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენა თვითმიზანი კი არ არის, არამედ გზა ჩვენი ყველა პრობლემების მოგვარების გზაზე; ამაზე კი, ჯერჯერობით, მხოლოდ სიტყვები გვესმის, პრაქტიკულად კი თითქმის არაფერი არ ხდება. ამიტომაა, რომ ისეთი დიდი გაზეთი, როგორიცაა "ლე ნუველ ობსერვატერ-მონდ-ი", ირონიულად, ასეთ სათაურს აძლევს მასში გამოქვეყნებულ ერთ ვრცელ სტატიას: "'მესია' თბილისიდან" (12.6.1991); და წერილის, სტატიის ქვესათაურია: "არჩევნებმა მიიყვანა ხელისუფლების სათავეში ერთი პრეზიდენტი, რომელსაც უფრო სწამს ნაცია, ვიდრე დემოკრატია. ოპოზიციონერები, ინტელიგენცია და ეროვნული უმცირესობანი იმყოფებიან მისის ქვეშ". იქვე ვკითხულობთ აგრეთვე: "ქართველებისათვის პრეზიდენტის კრიტიკა არის ერის შეურაცხყოფა". კიდევ: "გამსახურდია ხალხის გრძნობებზე თამაშობს".

შეკითხვა: და თქვენ გჯერათ ყველაფერი ეს?..

პასუხი: არსებითი ის კი არ არის მე დავიჯერებ აღნიშნულ ფაქტებს თუ არა, არსებითი არის ის, რომ დიდი სიფრთხილე და ყოველი სიტყვის აწონდაწონვაა საჭირო, როცა ლაპარაკობს ზვიად გამსახურდია თუ სხვა პასუხისმგებელი პირი. რა საჭიროა ერთი კაცის ასეთი გაღმერთება?.. რა საჭიროა მისი შედარება საფრანგეთის პრეზიდენტთან ფრანსუა მიტერანთან თუ ამერიკის შეერთე-

ბული მდგომარეობის პრეზიდენტ ბუშთან – თითქოს ესენი ზვიად გამსახურდიას ცირკების "ხაზომი" იყვნენ?.. სად არის ქართული პატივისცემა უცხოელების მიმართ და სად არის, თუ გნებავთ, დიპლომატია?.. საქართველოს ესაჭიროება როგორც მიტერანის, ისევე ბუშისა და სხვა მრავალთა მხარდაჭერა, და ჩვენ მათ წინაშე უნდა წავდგეთ იმის მტკიცებით, რომ გამსახურდია მიტერანსაც ჯობია და ბუშსაც?.. და ამას ამბობს საქართველოს პარლამენტის პრეზიდენტი?!.. გასაკვირია, გასაკვირი, რომ არ ვისმაროთ უფრო მძაფრი გამოთქმა!.. სად არის "პოლიტიკური კულტურა", რაც ასე დამახასიათებელია ქართველი ერისათვის?..

შეკითხვა: თქვენც, ამ შემთხვევაში, მკითხველის გრძნობებზე გსურთ ზეგავლენა მოახდინოთ, რასაც თვით ზვიად გამსახურდიას უწუნებთ...

პასუხი: შეიძლება, თქვენი ეს შენიშვნა სწორია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივად, ვინაიდან ჩემს ამ სიტყვებს არც კი ვიცი თუ ვინმე წაიკითხავს საერთოდ, ხოლო აღნიშნული პირების სიტყვები და მოქმედება ყოველთვის ყურადღების ცენტრში დგას, ვინაიდან ისინი სახელმწიფოს მმართავენ. და რომ "ხალხის გრძნობებზე თამაშს" დავუბრუნდეთ, მიკვირს, რომ საქართველოს პრესაში, უფრო ზუსტად, ზოგიერთ პრესის ორგანოში, რომლებიც ჩვენამდე აღწევს, სამართლიანად ბევრია ლაპარაკი 26 მაისზე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენაზე, რაც, ვიმეორებ, წინაპირობაა ჩვენი ქვეყნის წინსვლის გზაზე, მაგრამ არავინ არ ლაპარაკობს შრომაზე, ფიზიკურ შრომაზე; რაც – ჩემის აზრით – არა მარტო აკეთილშობილებს ადამიანს, საზოგადოებას, ერს, არამედ ქმნის ერისა და პიროვნების თავისუფლების ეკონომიკურ ბაზას. საქართველოს ხელმძღვანელობისაგან კი არ წამიკითხავს განცხადება, რომელიც საქართველოს მოსახლეობას არა მხოლოდ დემონსტრაციების და აღლუმებისაკენ, არამედ, ამავე დროს, შრომისაკენ მოუწოდებს. და კიდევ უფრო გასაკვირია, რომ არსად არ ჩანს არა მარტო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, არამედ საქართველოს პროფკავშირებიც, ე.ი. საქართველოს მშრომელები!.. რაშია საქმე?

შეკითხვა: კონკრეტულად რას გულისხმობთ "რეფორმებში" თქვენ?..

27. პასუხი: როგორც ცნობილია, საქართველოში ჩვენ გვყავს რესპუბლიკური, რესპუბლიკურ-საკავშირო და საკავშირო საწარმოები, რომელთა რეფორმები გადაუდებელია; მაგრამ ამისათვის დიალოგია საჭირო კრემლთან?.. საქართველოს სოფლის მეურნეობაში კი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბედიც მოსაგვარებელია. მართალია, კერძო საკუთრება, საზოგადოებრივი საკუთრება თუ კოოპერატიული საკუთრება სრულიად შეესაბამება საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებას საქართველოში, მაგრამ რომ არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა ამ მიმართულებითაც?.. საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური მმართველობის სტრუქტურები, როგორც ჩანს, არ შეცვლილა. ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა, გარდაუვალია "აქ და ახლა" – დაუყოვნებლივ მოქმედებაში შევიდეს საქართველოს 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუცია, რომელშიც შესანიშნავად მოხაზულია საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულება. საქმეა საჭირო საქმე.

შეკითხვა: თქვენ უკვე ილაპარაკეთ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე, რომლის ერთ ხმოსანთა წილმა, დიდმა უმრავლესობამ უპასუხა "დიახ", საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის ისევ აღდგენას. მაგრამ რას იტყვით იმავე 31 მარტს საქართველოს საკრებულოების, ე.ი. მუნიციპალიტეტის არჩევნებზე?..

პასუხი: 1991 წლის 31 მარტის საქართველოს "საკრებულოების" არჩევნების შესახებ, თუ არა ვცდები, დღემდე, ე.ი. 1991 წლის ოქტომბრამდე, როცა ეს სტრიქონები იწერება, – არავითარი ცნობა არ გამოქვეყნებულა, რაც, რბილად რომ ვთქვათ, გასაკვირია. რაშია საქმე, ვერ გამიგია?!..

შეკითხვა: შევეხოთ ისევ საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელების კრიტიკას: ვითომ ყველა მათი ერთ ჯამში მოქცევა შესაძლებელია?..

(28.) პასუხი: უდავოა, არა. საქართველოს დღევანდელ კრიტიკოსებს, მე დავყოფდი სხვადასხვა, თუ შეიძლება ითქვას, "ჯგუფებად":
პირველი ჯგუფი, მე ვიტყოდი, დიდი უმრავლესობა, რომელთა შორის მეც ვთვლი ჩემს თავს, - შედგება კონსტრუქციული, "აღმშენებლობითი" კრიტიკოსებისაგან, რომლებიც ცდილობენ, ლოიალური ოპოზიციის ფარგლებში, საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობას მიუთითონ იმ მანკიერებებზე, რომელთა გამოსწორება საჭიროდ მიაჩნიათ. სხვა სიტყვებით, ეს "ჯგუფი" არის ლოიალური ოპოზიცია პარლამენტის შიგნით თუ გარეთ, რაც დემოკრატიის ისევე უცილობელი ნაწილია, როგორც თვით პოზიცია.
მეორე ჯგუფი კრიტიკოსებისა შველას მოსკოვიდან თუ სხვა ქვეყნებიდან მოელიან, რის შედეგია ის, რომ ისინი საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობას აკრიტიკებენ "დამანგრეველი", დესტრუქციული გზით და, როგორც ჩანს, ახალ იმპერიალისტებს ეძებენ, რომ საქართველოში "წესრიგი დაამყარონ", რომლის დროს ავიწყდებათ, თუ ივიწყებენ, რომ საქართველოში უკვე დგას უცხო საოკუპაციო ჯარები.
მესამე ჯგუფი საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის "კრიტიკოსებისა", ჩემის აზრით, საერთოდ არ შეიძლება "კრიტიკოსებად" ან "ოპოზიციონერებად" იწოდოს, რადგან მათი აზრით საჭიროა მხოლოდ ცდა, ცდა, ცდა...და საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა "თვითონ წაიტეხავს ფეხს". ამგვარ თითო-ოროლა ადამიანს ავიწყდება, რომ ისინი თითქოს უცდიან საქართველოს ხელმძღვანელობის "ფეხის წაცდენას" და გულხელდაკრეფილი შესცქერიან ამგვარი დროის დადგომას.
მეოთხე ჯგუფი "კრიტიკოსებისა" უკვე იარაღის ძალით "ლაპარაკობს", რაც არც პოზიციის(მთავრობის) სასარგებლოდ მეტყველებს.

შეკითხვა: მაშინ ამგვარ "კრიტიკოსთა" დაგმობა, საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის მიერ, არ მიგაჩნიათ სწორად?..

(29.) პასუხი: როგორც აღვნიშნე, ყოველ ადამიანს, ე.ი. თვით აღნიშნულ "კრიტიკოსთა" მე-2, მე-3, მე-4 ჯგუფის ჩათვლით, როგორი მცირერიცხოვანიც არ უნდა იყვნენ ისინი, - უნდა ქონდეს თავისი აზრის გამოთქმის უფლება მშვიდობიანი გზით. კიდევ: საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა, ჩემის აზრით, ვერ იჩენს საჭირო წინდახედულობას, წარმოიდგინეთ, თვით "26 მაისის დიადი იდეების" შემქმნელთა და განმხორციელებელთა მიმართაც კი?!.. არაერთხელ გამიგონია საქართველოს დღევანდელი მთავრობის მინისტრებისგანაც "მენშევიკების" დაგმობა, რომლის დროს ივიწყებენ, რომ - ჯერ ერთი - მენშევიზმი წმინდა რუსული მოვლენაა, რომელსაც "მესამედასელებთან", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, არაფერი საერთო არ აქვს, და - მეორე - "მესამედასელთა" შესანიშნავი თაობა, მათ შორის ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი თუ კაკი(ირაკლი) წერეთელი "მივიწყებულია" ისე, რომ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი, მთავრობის თავმჯდომარე თუ პარლამენტის პრეზიდენტი მათ არასოდეს არც კი ახსენებენ, ვინაიდან, მათი აზრით ისინი "მენშევიკებია". აქ კი, ჩემის აზრით, დარღვეულია სახელმწიფო ხელისუფლების მემკვიდრეობითობის ტრადიცია, რაც ასე ესაჭიროება დღეს საქართველოს, ამ 70 წლის ბოლშევიკური ბატონობის შემდეგ, რათა ისევ აღსდგეს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო ფაქტიურადაც.

შეკითხვა: მოსკოვის გაზეთ "ტრუდის" კორესპონდენტთან საუბრისას("საქ-რესპუბლიკა",3.7.1991 წ.), ზვიად გამსახურდიამ - შეკითხვაზე -"ზოგიერთი თქვენი ოპონენტები, მაგალითად, ადგილობრივი სოციალ-დემოკრატები გვაყვედრობენ, - რადიკალური რეფორმები ეკონომიკაში ყონვლებათ..."

ზვიად გამსახურდიამ უპასუხა:
"...ძალზე მალე, ვიმედოვნებ, მივიღებთ მიწის კანონს, დაკანონდება მისი პრივატიზაცია, და ოპონენტებსაც გაუქრებათ "კოზირები"...საერთოდ უნდა გითხრათ, რომ ესენი ოპონენტები კი არა, პროვოკატორები არიან. თავის დროზე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ჩვენში შექმნა სოციალდემოკრატთა ფსევდოპარტია. მათ ყველა შესანიშნავად იცნობს. ასე რომ, მათი აზრები აქ მოსატანი არ არის. იცით, რითი სარგებლობენ? ექვს თვეში შეუძლებელია მთლიანად შეცვალო სისტემა, რომელიც 70 წელზე მეტია არსებობს. აქედან ჩანს, რომ ისინი ბოროტი განზრახვით ამახინჯებენ ფაქტებს. განა ასე შეიძლება? სინამდვილეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგენტები არიან. ეს იგივე კომპარტიაა, მხოლოდ სახელი შეიცვალა."
რას იტყოდით თქვენ ამის შესახებ?

(30) პასუხი: ჩემის აზრით, სამწუხაროა, რომ საქართველოს ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი ოპოზიციას, როგორი უსამართლოც არ უნდა იყოს მათი აზრი, - "პროვოკატორებს" უწოდებს და კრემლის აგენტებადაც კი ნათლავს. ეს რომ სიმართლეც იყოს, ამგვარი გამოთქმები საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირიდან, შეურაცხმყოფელია არა მარტო მისი პიროვნების, არამედ თვით საქართველოს პრეზიდენტის ღირსებისაც. "პროვოკატორი" თუ უცხო სახელმწიფოს "აგენტი" სისხლის სამართლის დამნაშავეთა კატეგორიებია, და ამგვარი ბრალდების გამხელი საქართველოს პრეზიდენტი კი არა, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მესამე ორგანო - მართლმსაჯულება - უნდა იყოს.

მაგრამ აღნიშნულ სიტყვებს აქვს სხვა განზომილებაც: საქართველოს კომპარტიაში, როგორც ამ პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე ითქვა, გაერთიანებული იყო ოთხასი-ათასამდე კაცი; ამ შემთხვევაში არსებითი არ არის ვინ იყო მათ შორის "კრემლის აგენტი", ვინ იყო მართლმორწმუნე კომუნისტი თუ ვინ იყო "იძულებული" განხდარიყო კომპარტიის წევრი, რომ განსაზღვრული უფლებამოსილება მიეღო საქართველოს ნომენკლატურაში. არსებითი ის არის, რომ ეს ოთხასი-ათასი კაცი იყვნენ და არიან საქართველოს მოქალაქეები, და, ამავე დროს, მისი დიდი, დიდი ნაწილი საქართველოს შუშები, გლეხები და ინტელიგენტები. და ვის შეუძლია დღეს საქართველოში, თვით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ჩათვლით, "ხელი კრას" საქართველოს მოსახლეობის "ოთხასი-ათასიან-არმიას" და მათ სრული უნდობლობა გამოუცხადოს?!.. რა თქმა უნდა, თუ ვინმეს, ამ ოთხასი-ათას-არმიიდან" ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული, ამის განსჯის უფლება აქვს არა საქართველოს რიგით მოქალაქეს თვით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ჩათვლით, არამედ საქართველოს რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოებს; და ყოველი მათგანის საქმე გარჩეული უნდა იქნას სამართლებრივი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად, რომლის დროს, - როგორც აღიარებულია საერთოდ -, ყოველი ადამიანი უდანაშაულოა, სანამ მის დანაშაულს სასამართლო არ დაადგენს განაჩენით.

მეორე: სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს აზრის შეცვლისა; ამ შემთხვევაში ნიშნავს ეს იმას, რომ კომუნისტს შეუძლია დარჩეს კომუნისტად ანდა შეიცვალოს თავისი აზრი, და, გახდეს, ვთქვათ, სოციალ-დემოკრატი, ეროვნულ-დემოკრატი თუ თვით მრგვალი მაგიდის ბლოკში გაერთიანებული პარტია-ორგანიზაციების წევრი; და, ალბათ, ეს ასეა დღეს საქართველოში, ე.ი. "მრგვალი მაგიდის" რიგებშიც, ალბათ, არიან (ალბათ) ყოფილი კომუნისტებიც. ეს ნორმალურია, ვინაიდან აზრის შეცვლის უფლება ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში.

მესამე: მართალია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ არჩევნებში ხმების ოთხი პროცენტი ვერ მიიღო და ამიტომ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი არ არის, მაგრამ როგორ შეიძლება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც აღნიშნულ არჩევნებში ამომრჩეველთაგან ოთხა-ათი-ათასამდე კაცმა მისცა ხმა, - ყველა გამოცხადებულ იქნან სხვის აგენტებად?.. როგორ შეიძლება 1918 წლის 26 მაისის შემქმნელ მთავარ ძალას - "მესამე დასს", ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას "კრემლის აგენტები" ეწოდოს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პარტიის ღლევანდელი წევრები ყოფილი კომუნისტებიც არიან?..

მეოთხე: ვითომ უფრო მიზანშეწონილი არ არის, რომ საქართველოს დღევანდელმა "პოზიციამ", ე.ი. მთავრობამ თვით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ჩათვლით, ოპოზიციის ყველა არგუმენტზე არგუმენტებით უპასუხოს თვით პარტიის თუ ბლოკის უღიერად მოხსენების გარეშე?.. ამას არ მოითხოვს "პოლიტიკური კულტურა" განსაკუთრებით საქართველოს ხელმძღვანელებისაგან თვით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ჩათვლით?..

და მეხუთე: საქართველოში, ჩემი აზრით, - თუ ჩვენ დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა-აშენება გვსურს, - უნდა არსებობდეს საქართველოს კომუნისტური პარტიაც, თუ საქართველოს მოქალაქეთა რომელიმე ჯგუფს ეს სურს. თავისუფლება არის სხვაგვარადმოაზროვნეების თავისუფლებაც; და განა ამ უფლების გაუქმება შეუძლია ვინმეს სამართლებრივ სახელმწიფოში?..

შეკითხვა: კი მაგრამ, სამართლებრივ სახელმწიფოსაც აქვს უფლება დაიცვას სამართლებრივი წეს-რიგი - კონსტიტუცია, კანონები...

პასუხი: რა თქმა უნდა; და ამის შედეგია, რომ დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოებში იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, რომ რომელიმე პარ-

ტიის თუ დაჯგუფება-ორგანიზაციის აკრძალავენ ხოლმე. მაგრამ ამგვარი აკრძალვა ხდება მხოლოდდამხოლოდ სასამართლოს გზით და განსაზღვრული ვადის განმავლობაში. ამის შედეგია ის, რომ თავისუფლება სხვაგვარადმოაზროვნეებისათვის უზრუნველყოფილია, და ისევ კომპარტიაზე რომ შევჩერდეთ, ევროპისა და ამერიკის ყველა სამართლებრივ სახელმწიფოში არსებობს კომპარტიაც, და ზოგიერთ მათგანში, ძლიერი კომპარტიებიც კი, როგორც,მაგალითად, იტალიაში თუ საფრანგეთში. მაგრამ ეს ფაქტი არ უშლის ხელს ამ სახელმწიფოებში სამართლებრივი, დემოკრატიული ნორმების უზრუნველყოფას.

შეკითხვა: მაშ, გამოდის, რომ კომპარტიის დღეს საქართველოში მოქმედების თავისუფლება უნდა გააჩნდეს თუ იგი კრემლის სამსახურში დგას?..

პასუხი: რა თქმა უნდა, საქართველოს კომპარტიამაც იყო,უთუოდ, თითო-ოროლა ე.წ.-ლი "ინტერნაციონალისტები", უფრო სწორად, ბოლშევიკები, რომლებმაც დიდი, დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს 1917-1921 წლებსა და მის შემდეგ, რომლის ერთერთი შედეგია, თუ გნებავთ, ე.წ.-ლი "სამხრეთ ოსეთის" საკითხი, რომლის მოგვარება სისხლის ღვრასაც კი იწვევს. ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეების ხრული აღმოფხვრა საქართველოში, აშკარად, შეუძლებელი გახდება, ვინაიდან თითო-ოროლა მოღალატე ყოველ ერში მოიპოვება. მაგრამ ჩვენ ამ ფაქტმა მეორე უკიდურესობისაკენ არ უნდა გვიბიძგოს და ხელვყოთ სხვაგვარადმოაზროვნეთა თავისუფლება ს.ფუძვა "გარდამავალ პერიოდში" - და მართლაც ახეთ პირობებში იმყოფება დღეს საქართველო ყოველმხრივ - ადვილი საქმე არ არის "წმინდა"სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო წეს-რიგის დამყარება და განვითარება. ამას,უთუოდ, - როგორც თვით ზვიად გამსახურდიაც ამბობს, - ექსხი თვე კი არა ექვსი წელიც კი არ ეყოფა, ვინაიდან ჩვენ დღეს საქართველოში საქმე გვაქვს უფრო "მოძრაობებთან", ვიდრე"პარტიებთან".

შეკითხვა: რას გულისხმობთ თქვენ "მოძრაობებში" და რას"პარტიებში"?..

(31.) პასუხი:"ჩემი იდეალია გენერალი დე გოლი", - განაცხადა თავის ინტერვიუში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავის (1991 წლის 4 ივლისი:"საქ.რესპუბლიკა") ინტერვიუში, და ამით მან -შეგნებულად თუ შეუცნობლად - პასუხი გასცა სწორედ "მოძრაობისა" და "პარტიის" რაობას:"მოძრაობა",-და ახლათ მახსენება მე "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" - არის ერთი განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, განსახორციელებლად თავმოყრილი ჯგუფი პარტიებ-ორგანიზაციებისა, რომლებშიც გაერთიანებულია "ერთნაირად მოაზროვნე ადამიანები" მხოლოდდამხოლოდ მოცემულ საკითხში; და ეს "მოცემული საკითხი", ჩვენს შემთხვევაში არის "26 მაისის დიადი იდეები". ამიტომ"მოძრაობა" -"მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" - "ბლოკია", ე.ი."არა-პარტიაა", რაც იმას არ ნიშნავს, რომ იგი, მისი მთავარი მიზნის განხორციელების პროცესში "პარტიად" არ იქცეს!.. "პარტია" კი, როგორც ცნობილია, არის ჯგუფი "ერთნაირად მოაზროვნე ადამიანებისა", რომლებსაც გააჩნია მსოფლმხედველობითი რაობა და შესაბამისი პროგრამა, და მიისწრაფვის სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებისაკენ,ან სახელმწიფო ხელისუფლებაზე

ზეგავლენის მოხდენისაკენ, რომლის დროს მისი მოქმედების არეა სახელმწიფო ცხოვრების ყველა - პოლიტიკური,ეკონომიკური,კულტურული,სოციალური - სფერო.

შეკითხვა: ამით თქვენ "მრგვალ მაგიდას - თავისუფალ საქართველოს", როგორც "ბლოკს", "მეორე-ხარისხოვან" გაერთიანებად="მოძრაობად" თვლით?..

პასუხი: გამოთქმა "მეორე-ხარისხოვანი" აქ უადგილოა; მაგრამ "მოძრაობა"რომ საერთოდ "დროებითი გაერთიანებაა", ამის დამადასტურებლად გამოდგება თვით ზვიად გამსახურდიას "...იდეალი გენერალი დე გოლი".
შარლ დე გოლმა, როგორც ცნობილია, არ ცნო საფრანგეთის მთავრობის მიერ საომარი მოქმედების შეწყვეტა ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ და პარიზ ლონდონში, რომ ბრძოლა გააგრძელებინა საფრანგეთის ოკუპანტების წინააღმდეგ. "ჩვენ

წავაგეთ ერთი ბრძოლა, მაგრამ არა ომი", და ამ მიზნით, მან - ჯერ-შექმნა "თავისუფალი საფრანგეთის"ორგანიზაცია, შემდეგ(1943 წლის ივნისი)"საფრანგეთის განთავისუფლების ეროვნული კომიტეტი". 1945 წლის ნოემბერში გახდა საფრანგეთის პრემიერმინისტრი და დროებითი პრეზიდენტი, მაგრამ იძულებული გახდა 1946 წლის იანვარში გადამდგარიყო. ხელისუფლებაში ისევ-მისვლის მიზნით, მან შექმნა "საფრანგეთის ხალხის გაერთიანება"("რასამბლემენ დიუ პოპლე ფრანსე"), რომელსაც დასაწყისში განსაზღვრული მიღწევები ჰქონდა, მაგრამ იგი 1853 წელს დაშალა თვით გენერალ დე გოლმა. ამგვარად, დე გოლის "თავისუფალი საფრანგეთი" და - შემდეგ - "საფრანგეთის განთავისუფლების კომიტეტი" იყო "მოძრაობა", რომლის მიზანი განხორციელდა მაშინ, როცა ჰიტლერის ჯარებმა დატოვა საფრანგეთის ტერიტორია, ე.ი.გაიმარჯვეს "მოკავშირეებმა". დე გოლის "მოძრაობაში" კი თანამშრომლობდენ,მეტ-ნაკლებად, ყველა პარტიისა და გაერთიანებების ადამიანები, რომელთა მიზანი იყო ნაცისტური გერმანიის დამარცხება და საფრანგეთის განთავისუფლება. და ამ მიზნის განხორციელების შემდეგ, თვით დე გოლი იძულებული გახდა შეექმნა პოლიტიკური პარტია -"საფრანგეთის ხალხის გაერთიანება", მაგრამ თვით დე გოლმა დაინახა, რომ "მოძრაობის" "პარტიად" გარდაქმნა და ამ გზით წარმატებების მიღწევა, - ადვილი საქმე არ არის.

რა თქმა უნდა, მე არ ვუსურვებ "მრგვალ მაგიდას" ანალოგიურ ბედს, მაგრამ - თუ ჩვენ მივაღწიეთ ჩვენს საერთო მიზანს - საქართველოს იურიდიულ და ფაქტიურ დამოუკიდებლობას - მაშინ, უთუოდ დადგება "მრგვალი მაგიდის" მომავლის საკითხიც, მით უმეტეს, რომ მასში გაერთიანებულია სხვადასხვა(მხოლ-მხედველობითი?) პარტიები თუ ორგანიზაციები.

(32.) შეკითხვა: რას იტყოდით თქვენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პიროვნების შესახებ, რომელსაც, ვთქვათ, 1991 წლის 4 ივლისის გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" ასე ახასიათებს: "გამჭოლავი მზერა, მტკიცედ მოკუმული ტუჩები და ზეაღმართული შუბლი: დღევანდელი საქართველოს ცოცხალი სიმბოლო ზვიად გამსახურდიაა".

პასუხი: "ხმა ერისა - ხმა ღვთისა", - ვიმეორებ კიდევ ერთხელ: ხალხი,უთუოდ, პიროვნებაში პოულობს თავის სიმბოლოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერი დაჩაგრულია, სხვის ბატონობის ქვეშაა; და საქართველოს ასეთი მდგომარეობა უკვე გრძელდება - "პატარა ოქროს ხანის"შემდეგ, სულ 70 წელიწადია. ამ სამოცდა-ათი-წლის განმავლობაში კი, წარმოიდგინეთ, ქართველი ერის ხსენებაც კი განსაზღვრულ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული, რამაც გამოიწვია ის, რომ საქართველოში ყველაზე ნაკლები უფლებით სწორედ ქართველობა სარგებლობდა; და ბოლშევიკებმა საქართველო "მრავალეროვნულ" რესპუბლიკად მონათლეს,რომლის დროს საქართველოში თითქოს ქართველობასაც იმდენი ეროვნული უფლებები უნდა ჰქონოდა, როგორც სხვა ეროვნებების შვილებს საქართველოში, რის შედეგად საქართველო - ბოლშევიკების აზრით - უნდა გამხდარიყო გეოგრაფიული ცნება. ამგვარად, ყოველგვარი ქართული ეროვნულობის დევნამ საქართველოში ამ უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში, ჩვენს ერში დაავროვა იმდენი ბოღმა, რომ ახლა დიდი, დიდი სიფრთხილე და თავდაჭერილობაა საჭირო, რომ მეორე უკიდურესობაში არ გადავარდეთ. რა თქმა უნდა, საქართველო იყო და არის ქართველი ერის სახელმწიფო, მაგრამ ჩვენი 1921 წლის 21 თებერვლის შესანიშნავი კონსტიტუცია ასევე უზრუნველჰყოფს საქართველოში მცხოვრები. სხვა ერების შვილების უფლებებსაც. და რომ დღეს, უთუოდ, გადამეტებულ ქება-დიდებას აქვს ადგილი ჩვენი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას - მიმართ, ამაში მე, პირველ ყოვლისა, კრემლის დიდმპყრობელ-შოვინისტებს ვადანაშაულებ, რომლებმაც ჩვენი ასიმილაციის, რუსის ერში გათქვეფის პოლიტიკა აწარმოა საქართველოში ამ უკანასკნელი 70 წლის განმავლობაშიც.მაგრამ ამგვარმა მდგომარეობამაც არ უნდა შეალახოს ჩვენი ეროვნული წონასწორობა, რომლის საფუძველი იყო, არის და იქნება ქართველი ერის დიდი, დიდი ჰუმანიტარული ტრადიცია, სტუმართმოყვარეობა, სხვა ერებისადმი პატივის ცემა. რა თქმა უნდა, ეს ადვილი საქმე არ არის, როცა კრემლი - ეს უზარმაზარი სახელმწიფოს ცენტრი- ათასგვარ ყალბ ინფორმაციას აწვდის მსოფლიოს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის, და თვით ზვიად გამსახურდიას პიროვნების შესახებ.

შემდეგ: ჩვენც, ე.ი.ქართველობაც ვეხმარებით - შეგნებულად თუ შეუგნებლად - კრემლს იმაში, რომ მან შესძლო ყალბი ინფორმაციის "დამადასტურებელი" ვითომფაქტების მოყვანა საქართველოს დღევანდელ მდგომარეობიდან. ამასთან დაკავში-

რებით,-ისევ ზვიად გამსახურდიას პიროვნებას რომ დავუბრუნდეთ,- როცა მას "საქართველოს რესპუბლიკა" უწოდებს "პირველ პრეზიდენტს" - ეს სიყალბეა, ვინაიდან საქართველოს, დამოუკიდებელ საქართველოს "პატარა ოქროს ხანაში" - 1918-1921 წლებში - უკვე ჰყავდა ხალხისაგან არჩეული "პირველი პრეზიდენტი" - ნოე ჟორდანია. ნოე ჟორდანია იყო, როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის თავჯდომარე, ე.ი. "პრეზიდენტი", რომელიც საქართველოს სახელმწიფოს "პირველი მმართველი" იყო, თუმცა მას ოფიციალურად, საქართველოს კონსტიტუციის ძალით, "თავჯდომარე" ეწოდებოდა. და ვითომ დიდი "შეურაცხყოფა" იქნებოდა ზვიად განმსახურდიასათვის თუ მას ჩვენ საქართველოს "მეორე პრეზიდენტს" ვუწოდებდით?.. რა თქმა უნდა, არა. პირიქით, ამით გამომჟღავნდებოდა საქართველოს რესპუბლიკის ან უკვე სამი-მეოთხედი საუკუნოვანი ტრადიცია და ისტორია, რაც - თავის მხრივ - ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობის სიმყარესაც ამჟღავნებს.

შეკითხვა: მაგრამ თქვენ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ ნოე ჟორდანია მთავრობის თავჯდომარე, ხოლო ზვიად გამსახურდია არჩეული პრეზიდენტია საქართველოსი?..

პასუხი: მე ამ ფაქტებს კი არ უარვყოფ, არამედ, ვფიქრობ, საქართველოს არ ესაჭიროება პრეზიდენტი ცალკე და მთავრობის თავჯდომარე ცალკე.

სახელმწიფო ხელისუფლების ამგვარი "გაორება", დაყოფა სრულიად საჭირო არ არის ისეთი პატარა სახელმწიფოსათვის, როგორიც საქართველოა. მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს - ამერიკის შეერთებულ შტატებს - მხოლოდ პრეზიდენტი მართავს და ნუთუ პატარა საქართველოს, პრეზიდენტის გვერდით, მთავრობის თავჯდომარეც ესაჭიროება?.. ამიტომ ვთვლი (არა მარტო) მე, რომ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვალის კონსტიტუცია სანიმუშო კონსტიტუციაა საქართველოსათვის დღესაც.

კიდევ: ზომიერება, ზომიერება და კიდევ ზომიერება ცალკეული პიროვნების გადამეტებული ქება-დიდების, განდიდებისას, რაც დღეს, ე.წ-ლი "პიროვნების კულტის" გარდაქმნის ხანაში, არასასიამოვნო ასოციაციებს იწვევს. სხვათა შორის, "ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპები" (იუნესკოს 1983 წლის აქტი) თუ "ყალბი და დამახინჯებული ინფორმაციის უარყოფის საერთაშორისო უფლებების შესახებ" (კაიროს კონვენცია) - ვერ ეგუება პიროვნების აღნიშნული განდიდების მეხოტბეებს ჟურნალისტიკაში.

შეკითხვა: ადამიანი, ერი, ქვეყანა, ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების განდიდებაში, მის ეროვნულ სიმბოლოდ აღიარებაში - თავისთავს, თავის სიამაყეს, თავის ეროვნულ სიძლიერეს ხედავს...

პასუხი: მართალი ბრძანდებით: ერს, ხალხს სურს და ქმნის კიდევ ეროვნულ მოღვაწეებს, გმირებს, რომლებიც ეროვნული მარადიულობის სიმბოლოც ხდებიან ხოლმე ზოგჯერ. მაგრამ რატომ, მაგალითად, დღეს საქართველოში თითქმის არაფერი არ ისმის 1918 წლის 26 მაისის შემქმნელი თაობის ღირსშესანიშნავი წარმომადგენლების შესახებ, თუ გნებავთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ნოე ჟორდანიას შესახებ?.. თუ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი სათაყვანებელი თარიღია საქართველოს უახლოეს ისტორიაში და თუ ამას ქართველი ხალხი რეფერენდუმითაც დღეს ადასტურებს (31 მარტი, 1991 წელი) და საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობაც სამაგალითოდ იცავს და პატივს სცემს 26 მაისს, მაშინ ამ "პატარა ოქროს ხანის" შემქმნელები მივიწყებული უნდა იქნან?.. და მივიწყებული არიან იმიტომ, რომ "26 მაისის" შემქმნელი მთავარი ძალა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი მეთაურობა იყო. კიდევ მეტი: სოციალ-დემოკრატებს, დღევანდელი საქართველოს ხელმძღვანელობაც კი, როცა სურს მთლიანად გმობენ; მაგრამ ზოგჯერ - თუ ეს უფრო გამოსადეგია პოლიტიკურ ბრძოლაში - "მენშევიკებად" და "ბოლშევიკებად" ჰყოფენ, რომლის დროს ივიწყებენ, რომ ეს წმინდა წყლის რუსული მოვლენა და ტერმინები სრულიად არ შეესაბამება "მესამე დასის", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არც იდეოლოგიასა და არც მოქმედებას.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელიც საერთო სახალხო და თვით საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის დიდი პატივისცემით სარგებლობს, რა თქმა უნდა, სამართლიანად, ეს არის ქა-

ქუცა ჩოლოყაშვილი, 1824 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების გმირი. მაგრამ სად არიან სხვები, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას?..

შეკითხვა: მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დღეს საქართველოში ისეთი დაძაბული მდგომარეობაა, რომ ჩვენს ხელმძღვანელობას, ასე ვთქვათ, მხოლოდ აწმყოზე ფიქრი და მოქმედება სჭირდებათ...

33. პასუხი: რა თქმა უნდა, ეს გასაგებია. მაგრამ არანაკლებ რთული მდგომარეობა იყო საქართველოში 1918-1921 წლებშიც; და მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს - ნოე ჟორდანიას - კი არა, რიგით მოქალაქესაც კი არ წაუყენებიათ ისეთი მძიმე ბრალდება რომელიმე მოქალაქის ან პასუხისმგებელი პირისათვის, როგორსაც ვკითხულობთ, მაგალითად, 1991 წლის 11 ივლისის გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში", სადაც ჩვენი პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია -, მოსკოვში გამართულ 3 ივლისის პრესკონფერენციაზე, - ჯაბა იოსელიანზე, რომელიც, მისივე სიტყვით, 12000-იანი ჯარი ყავდა, "...პროფესიონალური ქურდია, ქურდობისათვის და ბანდიტობისათვის ოთხჯერ ნასამართლევი. ამ ბოლო ხანს პროვოკაციული ქმედებები დაიწყო. არმიასთან შეტაკებების პროვოცირებას ცდილობდა, მას დავალება ჰქონდა, საქართველოში სამოქალაქო ომი და ინტერვენცია გამოეწვია. და იყო კიდეც ამის მალზე სერიოზული საფრთხე. მისი იზოლირება რომ არ მოგვეხდინა, ახლა საქართველოში სამოქალაქო ომი იქნებოდა". და ახლა? - "ეროვნული კონგრესი" და "მხედრიონი" თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ ოპოზიციამ სულ სხვა სახე მიიღო, რომელიც მართლაც შეიძლება სამოქალაქო ომში გადაიზარდოს თუ პოზიცია და ოპოზიცია საერთო ენას ვერ გამონახავს. 1991 წლის 3 სექტემბერს, როგორც ფრანგული გაზეთი "მონდი" (5.9.1991 წ.) იტყობინებოდა, თბილისში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა და სახალხო ფრონტს გაუმართავს დემონსტრაცია, - ზვიად გამსახურდიას გადადგომის მოთხოვნით, რომლის დროს რვა კაცი დაჭრილა. ამ სამარცხვინო ფაქტში შემაძრწუნებელია ის, რომ ჩვენ, ქართველები ქართველებს ვკლავთ, იარაღით ვემუქრებით ერთმანეთს, და ამით საერთაშორისო მასშტაბით ვამჟღავნებთ, რომ ჩვენ უცხო დამპყრობლის მათრახი, დიახ, მათრახი გვჭირია, რომ ერთმანეთი არ დავხოცოთ. ესაა პოლიტიკა, რომელსაც შესაძლებლობის ხელოვნებას უწოდებენ?.. ესაა ჩვენი ეროვნული შეგნება?..

34. შეკითხვა: და რას იტყოდით თქვენ 19-21 აგვისტოს პუტჩის შესახებ მოსკოვში?..

პასუხი: დიდი, დიდი პოზიტიური მოვლენაა, რომ ამ პუტჩში რუსეთის დემოკრატიამ და პირადად ბორის ელცინმა გაიმარჯვა, რაც მაგალითის მომცემია ჩვენთვისაც, რომ რუსებმა რუსებს, პოზიციამ და ოპოზიციამ ცეცხლი არ გაუხსნეს ერთმანეთს; და როგორც მოიქცა ჩვენი პოზიცია-ოპოზიცია?..

ჩვენი პოზიცია-ოპოზიციის უკვე შეიარაღებული დავა-ჩხუბი, როგორც ჩანს, გამწვავდა იმ დღიდან, როცა მოსკოვში მოხდა პუტჩი, 1991 წლის 19 აგვისტოს, და - მადლობა ღმერთს! - სულ 21 აგვისტომდე გაგრძელდა. მაგრამ მოსკოვის პუტჩის შედეგები საქართველოში, არსებითად, პოზიცია-ოპოზიციის უკვე შეიარაღებულ დაპირისპირებაში გამოიხატა, რასაც მრავალი მიზეზი აქვს:
გაზეთი "ერთობა", საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო, მაგალითად, წერს: "საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ანტიკონსტიტუციური პუტჩის დღეებში იქცეოდა როგორც ჯაბანი, რომელსაც ეშინოდა შეფასება მიეცა 19 აგვისტოს საბჭოთა კავშირში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალებისათვის" ("ერთობა", ნომ. 7, სექტემბერი, 1991 წ.). "რა თქმა უნდა, - წერს იგივე გაზეთი, - პრეზიდენტის მოწოდება სიმშვიდისაკენ გონივრული იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, პუტჩის დღეებში (19-21 აგვისტოს) მას არცერთ გამოსვლაში და დოკუმენტში არ...უთქვამს, რომ ეს არის ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი გადატრიალება" (იქვე).
გაზეთი "ერთობა" გამსახურდიას აკრიტიკებს მშვიდობიანი მიტინგის დარბევის გამო: "...ა.წ. 2 სექტემბერს, თბილისის კინოს სახლთან მშვიდობიანი მიტინგის დარბევისა და მის მონაწილეთა მიმართ "ომონის" მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება..., რომლის შედეგად დაიჭრა არაერთი ადამიანი,...მეტყველებს საქართველოს პრეზიდენტის ნეობოლშევიზმზე..." (იქვე).
"ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს მიტინგის ორგანიზატორების პოლიტიკური წინდაუხედაობა. მიტინგის ჩატარება პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვ-

ნით ხწორედ იმ დღეს, როდესაც სახალხო დეპუტატთა საკავშირო საგანგებო ყრილობაზე საქართველოს დეპუტაციამ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი განიხილა, პოლიტიკური დანტონიზმის გამოვლინებას წარმოადგენს".(იქვე).
გაზეთი "დრონი",დამოუკიდებელი გაზეთი(30.8.1991) აქვეყნებს ყოფილი მთავრობის თავჯდომარის - თენგიზ სიგუას - განცხადებას, რომელშიც ის ზვიად გამსახურდიას უსაყვედურებს, რომ - დღემდე არ დანგრეულა ბოლშევიკური სახელმწიფოებრივი სტრუქტურების რეფორმები; "მიწა გლეხს" მხოლოდ ლოზუნგია, და რომ ისევ არსებობს კომუნისტური სისტემა; "პრეფექტი გახდა რაიონის მეფე", და სხვა.
გიორგი ხოშტარია, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ამბობს, რომ "ბატონ გამსახურდიას რთული ხასიათი აქვს, მაგრამ ბოლოდროს მისი მოქმედება ყოველგვარ საზღვრებს გასცდა...ახლა მას ველარ ვცნობ"(იქვე).
მაგრამ, ჩემის აზრით, აქ საქმე ეხება არა მარტო ერთ პიროვნებას - ზვიად გამსახურდიას, არამედ იმ ამომრჩევლებს, რომლებმაც მას მისცეს ხმა, ე.ი. ქართველი ხალხის დიდ, დიდ უმრავლესობას, რაც იმას ნიშნავს, რომ პოზიცია-ოპოზიციის "არეული" საქმე ისევ და მხოლოდ-და-მხოლოდ ქართველი ხალხის უმრავლესობამ - დემოკრატიული გზით, არჩევნების გზით - უნდა გამოასწოროს, თუ სხვა გზა ვერ გამონახა პოზიცია-ოპოზიციამ. ყოველ ხალხს, ყოველ ერს, ყოველ ქვეყანას ჰყავს ისეთი მთავრობა და ხელმძღვანელობა, რომლის ღირსი ის არის.

პოზიცია-ოპოზიციის და მათი ხელმძღვანელების ქება-დიდებით ან დანძლვა-გინებით არაფერი არ გაკეთდება. საჭიროა დიალოგი, დიალოგი და კიდევ დიალოგი ოპოზიციასა და პოზიციას შორის საქართველოს ხალხის სურვილის შესაბამისად, რაც - თავის მხრივ - იმას ნიშნავს, რომ ამომრჩეველთა "უმცირესობა" "მარიონეტები","პონები" კი არ არიან, არამედ "უმრავლესობის", მართალია, მოქიშპე, მაგრამ მაინც პარტნიორი; და ამის შედეგია ის, რომ პარლამენტი, მთავრობა და მართლმსაჯულება "მთელი" ხალხის, ერის, ქვეყნის კანონმდებელი,მმართველი თუ მსაჯულია, რომლის ღროს "უმრავლესობის დიქტატურას" კანონი,მართლმსაჯულება უდებს ჯებირს, რომ არ მოხდეს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

შეკითხვა: თქვენ ისევ მიდით პოზიცია-ოპოზიციის საკითხთან?..

(35.) პასუხი: დემოკრატიული, ხოციალური დემოკრატიის მამოძრავებელი ძალა არის პოზიცია-ოპოზიცია; ეს საერთოდ აღიარებულია. მაგრამ გასაკვირია, რომ - 1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგების თანახმად - ამომრჩევლებმა, როგორ ანაქრონიზმად არ უნდა ჩანდეს ეს ფაქტი, - პოზიციაში "მემარჯვენეები"("მრგვალი მაგიდა") აირჩია, ხოლო ოპოზიცია გაკოტრებული ბოლშევიკური პარტიის მემკვიდრე საქართველოს კომპარტიას დააკისრა, რომელმაც მოსკოვის 19-21 აგვისტოს პუტჩის დროს მაშინვე ისევ უცხო ძალის "მეხუთე კოლონად" გამოამჟღავნა თავისი თავი, რის შედეგად საქართველოს კომპარტია აკრძალულ იქნა, ხოლო კომპარტიის დეპუტატების უფლებამოსილება საქართველოს უზენაეს საბჭოში "შეჩერებულია", რაც ქმნის ისეთ "უპაერო სივრცეს",რომ საქართველოს უზენაესი საბჭო - 64 კომპარტიის დეპუტატების უფლებამოსილების"შეჩერების" გამო -"ერთამოცეხილია", ე.ი.დეპუტატთა ერთი-მესამედის გამოთიშვით, პარლამენტი უფლებამოსილი არ არის შეასრულოს თავისი კანონმდებლობითი ფუნქცია. ამას ემატება კიდევ ისიც, რომ დღეს საქართველოში "პოზიციის" უმრავლესობა "მემარჯვენეებია" და "ოპოზიციის" უმრავლესობაც" "მემარჯვენეებია", რაც დიდი "არჩევანის" საშუალებას არ იძლევა, მით უმეტეს, რომ "26 მაისის დიადი დიდეები" ორივე მხარისათვის პოლიტიკური მოქმედების ძელა-ბოძია.
ამით კი საქართველოს ხალხი მართლაც მეტად დაშორდა დასავლეთ ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოების ხალხებს, რომლებიც "მემარჯვენეების" და "მემარცხენეების" პოლიტიკური ურთიერთ ბრძოლის საფუძველზე ქმნიან პოზიცია-ოპოზიციას, რომლის დროს ყოველი ჯურის ექსტრემიზმის გამოვლინება პოლიტიკურ ცხოვრებაში მინიმუმამდეა დაყვანილი.
ამიტომაა, რომ დასავლეთ ევროპის დემოკრატიული პრესა, ვთქვათ, ფრანგული დიდი გაზეთი "მონდ-ი"(14.9.91) ოპოზიციის წარმომადგენლებსაც "პატარა გამსახურდიებს" უწოდებს, რაც საქართველოში დემოკრატიული პოზიცია-ოპოზიციის სასარგებლოდ არ მეტყველებს.

შეკითხვა: თქვენ ფიქრობთ, რომ "მემარჯვენეთა" და "მემარცხენეთა" პოლიტიკური ბჭობა-დავა იგივე "პოზიცია-ოპოზიციის" დავა-ბჭობას შეესაბამება?..

პასუხი: განსაზღვრულ პირობებში, უთუოდ. თუ გადავხედავთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებს, დავა, არსებითად, "მემარცხენეებსა" და "მემარჯვენეებს" შორის ხდება პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის თუ სოციალური ცხოვრების სფეროებში. ამის შედეგია ის, რომ ევროპაში ან "მემარცხენეებია" ხელმძღვანელობაში(მთავრობა) ანდა "მემარჯვენეები", რომლის დროს დღევანდელი "ოპოზიცია" ხვალ, შეიძლება, პოზიციაში"=მთავრობაში მივიდეს. ასეთი "ოპოზიცია" კი - "მემარცხენეების" მხრიდან - დღეს საქართველოში არ ჩანს. პირიქით, დავა, ბრძოლა, არსებითად, ხდება "მემარჯვენეებს" შორის, რომლის დროს მხედველობაში მაქვს "ეროვნული კონგრესი" თუ "მრგვალი მაგიდა"; მათ პროგრამაში, ჩემის აზრით, არავითარი განსხვავება არ არის, და გამოდის, რომ დავა, ბჭობა ხდება არა სამოქმედო პროგრამის სფეროში, არამედ თუ ვინ იქნება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში თვით მთავრობის ჩათვლით. ასეთ პირობებში კი გამოთიშულია თეზის-ანტითეზის-სინთეზის საერთოდ-აღიარებული მექანიზმი, რაც დემოკრატიის საფუძველია.

შეკითხვა: მაგრამ "მემარცხენეები" რომ სერიოზულ ძალას არ წარმოადგენენ დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ამაში "მემარჯვენეებია" დამნაშავე?..

პასუხი: რა თქმა უნდა, არა. მაგრამ მე აქ "დანაშაულზე" კი არ ვლაპარაკობ, არამედ დემოკრატიის ფუნქციონირებაზე, რომ ამომრჩევლებს, ვთქვათ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის შემდგომ არჩევნებში მართლაც არჩევანი ჰქონდეთ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა სასარბიელო არ არის, ეროვნულმა პრობლემებმა ისე წამოიწია წინა პლანზე, შეიძლება, სამართლიანად, რომ სოციალური საკითხები, სულ ცოტა, გარეგნულად, "მივიწყებული" მოსჩანს; და მანზე, თითქმის, არავინ, წარმოიდგინეთ, არც პროფკავშირები არ ლაპარაკობენ. ეს კი ჩამაფიქრებელი, მეტად ჩამაფიქრებელია. პრესა, სულ ცოტა, ასეთ შთაბეჭდილებას ქმნის.

---

მაგრამ, და-ბოლოს, ისევ უნდა ავღნიშნო, რომ ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს საქმე არასოდეს არ არის სრულყოფილი, თუმცა "ადამიანი შესაქმის გვირგვინი", ხოლო "ერის ხმა ღვთის ხმაა". მხოლოდ კონსტრუქციული, საქმიანი, ლოიალური კრიტიკის გზით შესაძლებელია სრულყოფილებასთან დაახლოება; და, ვფიქრობ, ამ შთაგონებითაა გაჟღენთილი ეს ფიქტიური ინტერვიუ ერთ "მემარცხენესთან" სათაურით: "მე რომ 'მემარჯვენე' ვიყო?.."

ეს ფიქტიური ინტერვიუ ჩ(ლ)აწერა
კარლო ინასარიძემ
ლევილი, 1991 წლის 28 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოლჟენიცინი და ეროვნული საკითხი

"რუსეთი არსებობს იქნებ მხოლოდ იმისათვის, რომ მსოფლიოს საშინელებათა გაკვეთილი ჩაუტაროს". პეტრე ჩაადაევი(1794-1856)

I.

ალექსანდრე სოლჟენიცინი,-ეს საერთოდ აღიარებული დიდი რუსი მწერალი და მოაზროვნე, - მეტად მრავალფეროვანი, რთული, მაგრამ,ამავე დროს, ყველასათვის "გასაგები","მარტივი","უბრალო" პიროვნებაა, ვინაიდან მისი"უბრალოება სირთულის მეცნობაა". ასე იცნობენ ალექსანდრე სოლჟენიცინს, სულ ცოტა, რუსეთის საზღვრებს გარეთ.

II.

სოლჟენიცინი არის ადამიანი, რომელიც გვაიძულებს სუპერლატივებით ვილაპარაკოთ მისი შემოქმედების შესახებ და, ამავე დროს, წინააღმდეგობრიობაში ცხოვრობს - ეს დიდი და ცნობილი მორალისტი. იგი არის შეურიგებელი და ამავე დროს ღრმად მორწმუნე; იგი არის ადამიანის-მოყვარული=ჰუმანისტი და ამავე დროს დემოკრატიის-მოძულე; იგი არის მეტად მგრძნობიარე, რომელმაც შექმნა გულთბილი რომანები დაამავე დროს"ნაციონალისტი" არა ქართული,არამედ რუსული გაგებით, რომლის დროს მან არაერთხელ გამოაქვეყნა არქაული იდეებით გამსჭვალული მანიფესტები.

III.

ალექსანდრე სოლჟენიცინმა დასავლეთის ქვეყნებს, თავისი ლიტერატურული ნაწარმოებებით, თვალები გაუხსნა,თუ გნებავთ, სტალინიზმის ბუნების აღწერით, მაგრამ, ამავე დროს, არ ცნობს "დასავლეთურ ფასეულობებს". სოლჟენიცინი იბრძვის ძველი რუსეთის ისევ-აღდგენისათვის და მკპყრობილიასლავოფილური სულისკვეთებით; მან შეარყია აზროვნება დასავლეთში რუსეთის შესახებ და ამავე დროს ზურგს აქცევს დასავლეთის სამყაროს.

IV.

ალექსანდრე სოლჟენიცინი მისი ცხოვრების "სტილითაც" ადასტურებს ზემოთქმულს: იგი ცხოვრობს ამერიკის შეერთებული შტატების ერთერთ შტატ ვერმონტში,სოფლურ სახლში, მისი ცოლშვილით, და იქიდან აგზავნის მოწოდებებს, რომლებიც დღესაც ასი-ათასობით ადამიანებს აღელვებს მთელ მსოფლიოში.

V.

ალექსანდრე სოლჟენიცინი ყოველი ჯურის"შერიგებას"`სამშობლო-რუსეთთან,რომელიც მას გულდამწვარი უყვარს, - თავს არიდებს, ისე ღრმად ზის მასში ბოლშევიკური ბატონობის სამოცდა-ათ-წლიანი საშინელებანი; იგი უარს ამბობს დაბრუნდეს რუსეთში, სანამ ხელმძღვანელობა მის წინაშე ბოდიშს არ მოიხდის,როგორც მან თქვა ამასწინათ; სანამ გუშინდელი და დღევანდელი ბოროტმოქმედნი მონანიებას არ გამოამჟღავნებენ, სანამ ტოტალიტარიზმის სტრუქტურები ამოძირკვული არ არის. ამით აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ სოლჟენიცინმა უარი თქვა, 1990 წლის დეკემბერში, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის მიღებაზე მისი ყველაზე უფრო ცნობილი ნაწარმოების -"გულაგის არქიპელაგისათვის", რომლის დროს დასძინა:"გულაგის არქიპელაგი" რუსეთში არ გამოცემულა, არც შეიძლება მისი შეძენა და არც წაუკითხავს ხალხს . ამიტომ, პრემიის მიღება მას ულოგიკოდ მიაჩნია.

VI.

ალექსანდრე სოლჟენიცინი, რომელიც 1918 წელს ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ კისლოვოდსკში დაიბადა, სწავლობდა ფიზიკის ფაკულტეტზე როსტოვში და შემდეგ მუშაობდა როგორც სოფლის მასწავლებელი. მეორე მსოფლიო ომის დროს, გაიწვიეს ჯარში, გახდა კაპიტანი და იმ დროიდან დაიწყო სოლჟენიცინის კერძო წერილების გაკონტროლება კა-გე-ბემ, ვინაიდან იგი აკრიტიკებდა სტალინსაც კი. ამის გამო, სოლჟენიცინს მიუსაჯეს რვა წლით შრომა-გასწორების ბანაკი; და სწორედ ამ დროს შექმნა მან მისი პირველი რომანი -"ჯოჯოხეთის პირველი წრე". გასაგებია, "ჯოჯოხეთი" კა-გე-ბეს თუ "ჩეკას" საკონცენტრაციო ბანაკებია, და ამ დროს ალექსანდრე სოლჟენიცინი ხდება ღრმა მორწმუნე.

VII.

შეურაცხყოფილი ალექსანდრე სოლჟენიცინი ხდება ავად კიბოთი(რომანი:"კიბოს კორპუსი"),და,გააღწია რა თავი ამ ავადმყოფობას,- ყოფილი ტუსაღი,1962 წელს,

აქვეყნებს ნოველას -"ერთი დღე ივანე დენისოვიჩის ცხოვრებაში", რომელმაც სენსაცია გამოიწვია, განსაკუთრებით სოლჟენიცინის ენისა და სტილის გამო, მაშინდელ დროებით "დათბობის" პროცესში. ამით სოლჟენიცინი გახდა ყველაზე უფრო ცნობილი და რეპრესირებული "დისიდენტი" საბჭოთა კავშირში. 1967 წელს, სოლჟენიცინმა მოითხოვა ცენზურის გაუქმება; და 1970 წელს, როცა მას ნობელის პრემია მიანიჭეს ლიტერატურის დარგში, მიეკედლა ადამიანის უფლებათა გაერთიანებას. სოლჟენიცინის ერთმა მეგობარმა ქალმა, რომელმაც შემდეგ თვითმკვლელობა ჩაიდინა, 1973 წელს აღნიშნა კა-გე-ბეს თუ სად იყო "გულაგის არქიპელაგის" ხელნაწერი, წიგნისა, რომელმაც, დასავლეთში გამოქვეყნების შემდეგ, შეარყია ინტელიგენცია დემოკრატიულ ქვეყნებში; თვით საბჭოთა კავშირში კი დაიწყო მასობრივი გამოსვლა კომპარტიიდან. სოლჟენიცინი კი 1974 წელს გამოაძევეს საბჭოთა კავშირიდან და ჩამოართვეს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა.

VIII.

ასე დაიწყო ალექსანდრე სოლჟენიცინის შემოქმედება რუსეთის გარეთ, ლტოლვილობაში. სოლჟენიცინმა ჯერ თავი შეაფარა დასავლეთ გერმანიას და მოკლე დრო ცხოვრობდა გერმანელ მწერალ ჰაინრიხ ბიოლთან; შემდეგ გადავიდა შვეიცარიაში; და აქ, პრესკონფერენციაზე, 1974 წელს, შეეხო ეროვნულ საკითხსაც საბჭოთა კავშირში, რომლის დროს, სხვათა შორის, თქვა:

"ნაციონალური პრობლემების სიცხარე დღეს საბჭოთა კავშირში უფრო მწვავეა, ვიდრე ეს მეფის რუსეთში იყო. თუ ნაციონალურ წინააღმდეგობათა სიმწვავეს მიწისძვრის თორმეტბალიანი შკალით განვსაზღვრავთ, მაშინ მეფის რუსეთში ეს იქნებოდა სადღაც ორ ბალზე, ხოლო დღეს საბჭოთა კავშირში არის ათ ბალზე".

"...ჩვენი ბრძოლა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ეს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში ასე გამწვავებული ნაციონალური პრობლემა, როგორმე არ დავუშვათ აფეთქებამდე, არ დავუშვათ სისხლამდე". (პრეს-კონფერენცია, ციურიხი, 1974 წლის 15 ნოემბერი).

IX.

სოლჟენიცინი შემდეგ გადასახლდა და დასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, შტატ ვერმონტში, სადაც იგი ცხოვრობს დღესაც; და, სხვათა შორის, მუშაობს მონუმენტალურ ნაწარმოებზე, რომლის საერთო სათაურია -"წითელი ბორბალი", ანუ ბოლშევიკური რეჟიმის წარმოშობისა და საშინელებათა ისტორიისა, რომლის ორი ნაწილი-"1914" და "1917" - უკვე გამოქვეყნებულია, და თუ რამდენი ნაწილი და რა მოცულობის იქნება მომდევნო წიგნები, ეს თვით ავტორსაც არ აქვს ჯერ დაზუსტებული.

X.

ალექსანდრე სოლჟენიცინს მისი მეგობრები უწოდებენ დიდ "მორალისტ-ფილოსოფოსს," მისი მტრები კი - "ფუნდამენტალისტს", და აიათოლა ჰომეინსაც კი ადარებენ; ჩემის აზრით, სრულიად უსამართლოდ. მაგრამ, კრიტიკოსების აზრით, ორივე ეს "უკიდურესობა" თავს იყრის, ეტყობა, ალექსანდრე სოლჟენიცინის პიროვნებაში, როცა იგი ამბობს:

"კონკრეტული ფუნდამენტი დემოკრატიისა დაეცა. გონის დამოუკიდებლობა მცდარ გზაზე დააყენეს; იგი ქედს იხრის ვულგარულის, მოდისა და ჯგუფთა ინტერესების წინაშე. ჩვენ მოვესწარით დემოკრატიის იმ ფაზაში, როცა იგი უკვე ჯანმრთელი არ არის". (ბკ-14.12.90).

XI.

ალექსანდრე სოლჟენიცინი ისევე უარყოფს დემოკრატიას, ე.ი. "უმრავლესობის ბატონობას" (თუმცა "მებრძოლად"), როგორც ბოლშევიკურ და, საერთოდ, ყოველი ჯურის დიქტატურას, რომლის დროს იგი რჩება "შეურიგებელი", მაგრამ ამავე დროს ღრმა მორწმუნე, მოკლედ, წინააღმდეგობრივი პიროვნება. მაგრამ მისი მოსაზრებები, რომლებიც მან გამოთქვა თავის ე.წ. "რუსეთის რეკონსტრუქციის პროგრამაში", 1990 წელს, საყურადღებოა ჩვენთვის, საქართველოსთვის, ქართველი ერისათვის ის აზრი, რომელსაც სოლჟენიცინი ასე გამოთქვამს: "ბალტიის სამი რესპუბლიკა, კავკასიის სამი რესპუბლიკა, ცენტრალური აზიის ოთხი რესპუბლიკა და მოლდავეთი უნდა გამოეყოს რუსეთს აუცილებლად და ურყევად".

XII.

"ჩვენი საუკუნის დასაწყისში უკვე ხედავდა ჩვენი დიდი სახელმწიფო ისტორიკოსი ს.ე.კრიჟანოვსკი: 'ნამდვილ რუსეთს არ გააჩნია კულტურული და პოლი-

ური ძალების რეზერვები მისი ყველა განაპირა ტერიტორიების ასიმილაციისათვის. ეს ამოცანა ყლაპავს რუსეთის ეროვნულ ბირთვს'. მან თქვა ეს იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა მდიდარი იყო და ყვაოდა, დიდი ხნით ადრე სანამ მილიონობით ჩვენი თანამემამულეები განადგურებულ იქნა, და სახელდობრ არა ბრმად, არამედ სრულიად მიზანდასახულად, რომ რუსული ელიტა ამოეძირკვათ. კრიჟანოვსკის დასკვნა ამასთან ასჯერ დამტკიცდა: არა, ჩვენ არ გაგვაჩნია ძალა განაპირა ტერიტორიებისათვის, არც ეკონომიკურად და არც გონებრივად. არა, ჩვენ არ გაგვაჩნია ძალა იმპერიისათვის! ჩვენ არც გვჭირია იმპერია! ბოლოსდაბოლოს უნდა მოვიშოროთ ეს ტვირთი მხრებიდან: ის გვჭყლეტს ჩვენ, გვწოვს სისხლს, აჩქარებს ჩვენს დაღუპვას.

მე მეტად მაწუხებს, რომ გამოღვიძებული რუსული თვითშეგნება ისევ არსებითად იმპერიის აზრებშია ჩაქსოვილი, 'საბჭოთა პატრიოტიზმში'-კომუნისტების ნაზაძულ თავბრუდამხვევ ხამუაჟებში. არასოდეს არ არსებულა ეს გაზუ-რილი საბჭოთა პატრიოტიზმი რეალურად... საბჭოთა სისტემამ ღირსება აგვხადა ჩვენ; მან მთელი სამყაროს წინაშე გაგვხადა ჩვენ ბოროტი, გაუმაძღარი, ხარბი მტაცებლები იმ დროს, როცა ჩვენი მუხლი ცახცახებდნენ, სისუსტისაგან წაქცევის პირას ვიყავით. ჩვენი შეგნება საშინლად გარყვნილ იქნა მტკიცებით: 'ამიტომ ვართ ჩვენ დიდი ქვეყანა, ჩვენ ანგარიში უნდა გაგვიწიონ მთელს მსოფლიოში.' და სიკვდილის პირას ამ იდეას ეყრდნობა კომუნიზმი. იაპონიამ მშვიდად თავდაბლობა გამოიჩინა, და უარი თქვა იმპერიულ მისწრაფებებზე, ყველა პოლიტიკურ ცდუნებებზე, და აყვავდა." აი, ამონაწერები ალექსანდრე სოლჟენიცინის მანიფესტიდან -"რუსეთის გზა კრიზისიდან", 1990 წელი.

XIII.

ამგვარად, ალექსანდრე სოლჟენიცინი საბჭოთა კავშირში მოქცეული ერების გარკვევით ინტერესებს უხმაურება თვით რუსი ერის ჩათვლით, რომელიც - მისი და ჩვენი აზრითაც - თავის ეთნიკურ საზღვრებში უნდა დარჩეს, უარი უნდა თქვას ყოველი ჯურის იმპერიულ ცდუნებებზე და თავდაბლობა გამოიჩინოს თუ მას სურს ეროვნული აყვავება. რუსი ერი მხოლოდ მაშინ გახდება თავის-უფალი, როცა უარს იტყვის სხვა ერების და ამით ქართველი ერის, საქართველოს დაპყრობაზე.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1991 წლის თებერვალი

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ძლევა, თავისთავის მკაცრი კონტროლი, შეიძლება, თავისთავის გაწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად".

ჟორჟ ლეფევრი, ფრანგი ისტორიკოსი

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocasion, heroiquement".

Georges Lefebre(1874-1959)

"ა ხ ა ლ ი   ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს'

ყველაზე უფრო ხანდო ადამიანი"

"'ახალი აზროვნების' ყველაზე უფრო ხანდო ადამიანი" - ასეთი სათაური მისცა თავის ანალიზს ცნობილმა გერმანელმა სოვეტოლოგმა - ვოლფგანგ კოიდლმა,- რომელიც ედუარდ შევარდნაძის წიგნის -"მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას" - შესახებ, სხვათა შორის, წერს:("ზიუდდოიჩე-ცაიტუნგ", 23.7.1991 წ.):

"ედუარდ შევარდნაძემ, ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა გორბაჩოვის ხანაში, - გარდაქმნისა და ახალი აზროვნების ნიშნის ქვეშ,-შეაჯამა მისი ცხოვრების ორჭოფობითა და მისწრაფებით სავსე ცხოვრების, - ჯერჯერობით უკანასკნელი ღდოლვა სიმართლისაკენ. მისი ახლა გერმანულად გამოქვეყნებული წიგნი "მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას" - ნარევი მემუარების, პოლიტიკური მოგონებების, ანეკდოტებისა და პოლიტიკური ფილოსოფიისა - არის მოწმობა ერთი კაცის ბრძოლისა გაქვავებული მდგომარეობიდან გამოსვლის და ახალი მეუპოვარი ისევდაწყებისა. ეს არ არის წიგნი ქედისმომხრელისა, რომელიც მოქნილად ცდილობს ახალ ხანას შეეთვისოს. არაერთხელ აკრიტიკებს შევარდნაძე თავისთავს, ვინაიდან მას მისი ცხოვრების განმავლობაში ტუჩები დამუწული ჰქონდა, როცა მას პროტესტი უნდა გაენცხადებია. მასაც, როგორც "ჩემს მთელ თაობას" გვწამდა რაიმე, "ვინაიდან ჩვენ გზადაბნეული ვიყავით და ბოლოს, ყოველთვის სიმართლის ძებნაში, მარჯვილი გზა არ გაგვივლია".

"შევარდნაძის წიგნი - წერს ვოლფგანგ კოიდლი - ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაწერია ამ საუკუნის მიწურულში, რადგან იგი მნიშვნელოვნად ხელს უწყობს გარდაქმნისა და მის შემომქმედთა აზროვნების გაგებას. შევარდნაძე დაუნდობლად გმობს სისტემას, რომლის ერთგული მოსამსახურე იყო ათეული წლები, და ის ხსნის ჰორიზონტებს უკეთესი, ადამიანურობითა და გონიერებით ჩამოყალიბებულ მსოფლიოსაკენ. დასავლეთური თვალთახედვით მისი კრიტიკა საბჭოთა სისტემისა შეიძლება ნორმალურად, ბანალურადაც იქნეს მიჩნეული. მაგრამ ადამიანმა უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ ეს სტრიქონები დაწერილია იმ ადამიანისაგან, რომელმაც გაიარა კლასიკური კარიერა საბჭოთა აპარატჩიკისა, რომელმაც თავისი კარიერა მის ქართულ სამშობლო საქართველოში დაიწყო, თბილისში შინაგან საქმეთა მინისტრი და პარტიის პირველი მდივანი იყო, და ბოლოს სსრკ კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი გახდა და ფედერალური პარტიის დიქტატურის ისეთი კურთხევა სცდა წილად, რომლებსაც სსრკ ხალხები შვიდი ათეული წლების განმავლობაში ხელში ყავდა დაჭერილი."

"ამ წიგნის დაწერა და გამოქვეყნება გამოიწვია საზიზღარმა კამპანიამ იმ "პოლკოვნიკის-ეპოლეტებიან ბიჭებისა", რომლებმაც გასული წლის დასასრულში გამოიწვია შევარდნაძის დრამატული გადადგომა უზენაეს საბჭოში, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან......."

"...ჩემს ზურგს უკან, ჩვენს მიერ ჭაპანწყვეტით მოპოვებული ნდობისა და სანდო პარტნიორის საზიანოდ, ადგილი ჰქონდა ათასგვარ სრიკებს, რაც ჩვენი დიპლომატიის მრავალ წარმატებას არარაობად აქცევდა; კიდევ მეტი: ჩვენს მიერ აღებულ კურსს კითხვის ქვეშ აყენებდა."

"და აქ გორბაჩოვის კრიტიკიდანაც არ იხევს უკან, რომელთან მას ოცწლიანი მეგობრობა აკავშირებს: "ყველაფერი ეს ხდებოდა პრეზიდენტისა და ხელმძღვანელის თვალწინ, რომელმაც გარდაქმნა დაიწყო. უკვე ეუბნებოდენ მას პირში, რომ ის აცდა გზას, და რომ დამნაშავეა ამაში მისი პოლიტიკა. და გამოცდილი პოლემიკოსი გორბაჩოვი...სდუმდა. მის თვალწინ დანგრეულ იქნა მისი ცხოვრების მთავარი მიზანი".

"ეს მიზანი იყო, შევარდნაძის აზრით, რომელმაც, საგარეო პოლიტიკის გზით, ქვეყნის შიგნითაც ნდობის პოზიტიური ატმოსფერო შექმნა, საძირკველი ჩაუყარა მეტად საჭირო რეფორმებს. იმ დროს, როცა საგარეო საქმეთა მინისტრსა და მის ტიმს(ჯგუფს) გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და აღმოსავლეთ ევროპის"დაკარგვაში"ბრალს დებდენ,....ბეტონის თავები არმიასა და უშიშროების კომიტეტში თავს ესხმოდენ გენერალურ მდივანსა და პრეზიდენტს."

"შევარდნაძის წიგნი არის მეტად დიდი ბრალდება მარადიულ-გუშინდელებზე, რომლებიც დღესაც სამხედრო სიძლიერეს თვლიან ნაციონალური უშიშროების გარანტიად. ყოფილი მინისტრი კი სამართლიანად თვლის ამას "არა მარტო მორალურად საეჭვოდ, არამედ პოლიტიკურადაც საშიშად-ნაციონალური უშიშროება დაა-

ყრუში ტანკებსა და ატომურ ბომბებზე, და ისეთი "პატარა" რამე როგორიც ცხოვრება და ადამიანების კეთილდღეობაა მხედველობაში არ მიიღო."

"შევარდნაძის დაუნდობელი დასკვნა: "ასეთ ქვეყანაში სინამდვილეში ადამიანი არის მხოლოდ საშუალება და არა მიზანი უმიზნობისა. და ვის უმიშრომაზე არის აქ საერთოდ ლაპარაკი".

"ამგვარი სურათებია, რომლებიც შევარდნაძის მიერ საბჭოთა სინამდვილის აშკარად ახასიათებს. ეს არის არა მარტო დაუნდობელი გულწრფელი, არამედ გამსჭვალულია დიდი ადამიანურობით და ადამიანთა გავების უნარიანობით(სრულიად სა წინააღმდეგო ანდრეი სახაროვის ცივი დაუთმობლობისა). ხშირად ჟღერს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრისა და ნომენკლატურისთვის სიტყვები როგორც ხმა - რიგით საბჭოთა ინტელიგენციისა და მუშისა, რომლებიც მეგობრებთან საუბრებს მაგიდასთან - დემოკრატიული ბჭობის ნამდვილი ცენტრი სსრკ-ში,- ამოიოხრებს: "კარგა ქუჩაში უნდა გავიდეს და დაინახოს, როგორ გამოიყურებიან ადამიანები, როგორი სახეებით აქვთ მათ, როგორ არიან ჩაცმულნი, როგორი საცხოვრებელი გააჩნიათ, როგორ პირობებში მუშაობენ, რომ გაიგოს რამდენად ყველაფერ ამას მეტად ცოტა რამ-აქვს საერთო ადამიანურ ცხოვრებასთან. რამდენად ეს უმეტეს დაშორებულია სოციალისტურ იდეალთან".

"ეს კი არ არის ნახევარი ათი წელი, არამედ სიმართლის სიჩქარის წლები, რომელიც ქართველ საბჭოთა საგარეო მინისტრს აშორებს მის რუს წინამორბედ გრომიკოსაგან, რომელსაც, მისი ქალიშვილის ცნობით, არასოდეს ფეხი არ დაუდგამს მოსკოვის ქუჩაზე."

"მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას" არის დასკვა იმ "ახალი აზროვნებისა" საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც კაცი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ "წარსულის გამოცდილებებსა და მოძღვრებას წამებით აზროვნებასა და ხელში გადაიღებს(გაწყვეტს)". "ეს კი არის საჭირო".

"შევარდნაძის მრწამსი(კრედო) ადასტურებს, რომ ახალი აზროვნება მოსკოვში ფუნდამენტურად არის ვარგისიანი: "საგარეო პოლიტიკამ რუსები გაანთავისუფლა იდეოლოგიური მთაკობებული ქსენოფობიიდან(უცხოთა სიძულვილისაგან), ისე როგორც საზოგადოება გარე-მტრის აჩრდილისაგან გაანთავისუფლა, რომლის დროს 'მოწინააღმდეგე' 'პარტნიორი' გახდა, და ნათელი გახდა ეს იქ, სადაც ადამიანი თითქოს ადამიანისათვის მგელია, და რომ ადამიანებს ნორმალური და ადამიანური კანონებით ცხოვრება სურთ და ცხოვრობენ".

"ამიტომ რევოლუციური ცვლილებები აღმოსავლეთ ევროპასა და გერმანიაში, დაწყებული "ახალი აზროვნებიდან"- შევარდნაძისათვის არავითარი სენსაცია არ არის: ჯერ კიდევ 1985 წელს, გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლისას, ყოველი ჭკვიანი ადამიანისათვის მოსკოვის ხელმძღვანელობის წრეში ნათელი იყო, რომ მოსკოვს მისი აღმოსავლეთ ევროპისა და კომუნისტური გერმანული ვასალური სახელმწიფოები, უკვე შეცვლილ პირობებში, აღარ შეეძლო ხელში ყოლოდა. მაგრამ აქ არის შევარდნაძე მეტად თავდაბალი, ვინაიდან მაინც არსებობდა, არც ისე უმნიშვნელო წინააღმდეგობანი ახალი კურსის წინააღმდეგ მოსკოვში, ვარშავაში, ბუქარესტში თუ აღმოსავლეთ ბერლინში, რომელსაც იწვევდა შეცვლილი რეალობანი. და მათი გადალახვა იყო, უპირველეს ყოვლისა შევარდნაძის დამსახურება, ამ მჩქეფარე ქართველი პატრიოტისა, მხურვალე სიყვარულით მის მოდიდო საბჭოთა სამშობლოსადმი."

"არავის - არც გორბაჩოვს, არც ბუშს, არც კოლს და მით უმეტეს არც მიტერანს და ტეტჩერს - არ შეუტანიათ უფრო მეტი წვლილი ახალ ევროპაში მშვიდობიანობისა და თავისუფლების საქმეში, ვიდრე შევარდნაძეს."

"მისი ამოცანები ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული: როგორც ადამიანურად მგრძნობიარე და პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანი, უკვე მის [illegible] თვის, რუსეთი და სხვა საბჭოთა რესპუბლიკები შეიყვანოს თავისუფალ, თანასწორუფლებიან და დემოკრატიულ სახელმწიფოების ერთობაში. მისი კრედო შეიცავს სამ კითხვას: "პირველი: გვსურს ჩვენ, რომ ჩვენი ქვეყანა ცივილიზებული სახელმწიფო გახდეს, რომელიც მისი მოქალაქეების ღირსეული არსებობის [illegible] პირობებს უზრუნველყოფს, და რომელიც სამოქალაქო და ადამიანის უფლებებს უზრუნველყოფს და იცავს მსოფლიოს უმაღლესი სტანდარტის დონეზე? მეორე: გვსურს ჩვენ იმ ქვეყნებთა წრეს ვეკუთვნოდეთ, რომლებიც - ნაციონალური სიმდიდრით, მეცნიერული და ტექნოლოგიური განვითარების მხრივ, ცხოვრების დონით და მოქალაქეებისა და ხალხების თავიანთ-თავის განხორციელებით - ყველაზე უფრო მოწინავეა? მესამე: გვსურს ჩვენ სრული რწმენით ვიცხოვროთ,

ჩვენთვის თვითონ უზრუნველვყოთ მშვიდობიანობა და უშიშროება და ყოველ არსებულ თუ შესაძლებელ მტერს გაუმასპინძლდეთ?"

"პასუხი ამ კითხვებზე შეუძლია გასცეს და გასცემს შევარდნაძე. მისი მოღვაწეობა დამთავრებული არ არის".

ვოლფგანგ კოილი
"ზც", 23.7.1991 წ.

გერმანულიდან, ოდნავი შემოკლებით, თარგმნა კარლო ინასარიძემ.

## ედუარდ შევარდნაძე და საქართველო

### ედუარდ შევარდნაძის წიგნის -"მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას" - გამოქვეყნების გამო.

I.

დიდი გამოხმაურება ჰპოვა ედუარდ შევარდნაძის წიგნმა -"მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას" -, რომელიც, უთუოდ, 1991 წლის "ბესტსელერის", ე.ი. ყველაზე უფრო დიდი ტირაჟით გაყიდულ წიგნად გახდება ცივილიზებულ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპასა და ამერიკაში, რაც ამ წიგნის არა მარტო აქტუალურობაზე, არამედ მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს დღევანდელ გარდაქმნის პერიოდში, გარდაქმნის პერიოდში-პროცესში არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს ცივილიზებულ მსოფლიოშიც კი. მაგრამ სანამ ამ წიგნის რაობას შევეხებოდეთ, ჯერ ორიოდე სიტყვით თვით მისი ავტორის - ედუარდ შევარდნაძის და მის ურთიერთობაზე - დღევანდელ საქართველოსთან. ამით იმის თქმა მსურს, რომ ედუარდ შევარდნაძის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოში მანამდე, სანამ ის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდებოდა - და აქედან იწყება მისი საერთაშორისო არენაზე გამოსვლა - კარგად ცნობილია ჩვენთვის, ქართველებისათვის, საქართველოს მოსახლეობისათვის, რის განსჯა, სულ ვოჯა, ამჯერად, არ შეადგენს, არ უნდა შეადგენდეს ჩვენს ამოცანას, რადგან ყოველი საქართველოს ხელმძღვანელის მოღვაწეობის განსჯა-განხილვა დღეს, 1991 წელს, იმდენად არის საჭირო და გვერდაუვალი, რამდენად მისი განსჯა-განხილვა უშუალო კავშირშია საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალურ საკითხებთან, რომელთა გადაწყვეტა "აქვე და ახლავე" აუცილებელი.

II.

აბა, ამგვარი მიდგომით აიხსნება ის, ასე ვთქვათ, "თავდაჭერილი" შეფასება ედუარდ შევარდნაძის ცხოვრება-მოღვაწეობისა 1985 წლის 2 ივლისამდე, ე.ი. სანამ ის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდებოდა, - როგორც ის დახასიათებულია საქართველოს პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას - მიერ, (პრესკონფერენცია, მოსკოვი, 1991 წლის 3 ივლისი). ზვიად გამსახურდიამ, სხვათა შორის, თქვა:

"ამბობენ, რომ ედუარდ შევარდნაძემ დიდი ევოლუცია განიცადა, რომ იგი ის ედუარდ შევარდნაძე აღარ არის, რაც 15 წლის წინათ იყო....მაგრამ მე მინდა, რომ ამაში საქმემ დამარწმუნოს......ვიდრე ის დღეს, არაფერს ამბობს საკუთარ წარსულსა და თავის კომპარტიაზე, ვიდრე ის მხოლოდ ლაპარაკობს, რომ დემოკრატიის შექმნა სურს, ეს მე ძლიერ მაეჭვებს. ჯერ თქვით, თუ რა ჩაიდინეთ კავშირიობის და ხალხის წინაშე და მხოლოდ მერე დაგიჯერებთ. გაკიცხეთ ეს წარსული..."

III.

როცა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნული და სხვა აზრები გამოთქვა ედუარდ შევარდნაძის შესახებ, როგორც ჩანს, ის არ იცნობდა ედუარდ შევარდნაძის წიგნს - "მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას", რომელშიც ის, სხვათა შორის, წერს:

"...ჩვენ გზადაბნეული ვიყავით და ბოლოს, ყოველთვის სიმართლის ძებნაში, ადვილი გზა არ გაგვივლია".

"...ჩემს ზურგს უკან, ჩვენს მიერ ჯაპაწყვეტით მოპოვებული ნდობისა და სანდო პარტნიორის სახელით, ადვილი ჰქონდა ათასგვარ ხრიკებს, რაც ჩვენი დიპლომატიის მრავალ წარმატებას არარაობად აქცევდა; კიდევ მეტი: ჩვენს მიერ აღებულ კურსს კითხვის ქვეშ აყენებდა".

"ყველაფერი ეს ხდებოდა პრეზიდენტისა და ხელმძღვანელის(გორბაჩოვის. კ.ი.) თვალწინ, რომელმაც გარდაქმნა დაიწყო. უკვე მას პირში ეუბნებოდნენ, რომ ის აცდა გზას, და რომ დამნაშავეა ამაში მისი პოლიტიკა. და გამოცდილი პოლი-

მიკოხი გორბაჩოვი...ხელმძღ."

"ადამიანმა ქუჩაში უნდა გავიდეს და დაინახოს, თუ როგორ გამოიყურებიან ადამიანები, როგორი სახეები აქვთ მათ, როგორ არიან ჩაცმულნი, როგორი საცხოვრებლები გააჩნიათ, როგორ პირობებში მუშაობენ, რომ გაიგოს, რამდენად ყველაფერ ამას მეტად ცოტა რამ აქვს საერთო ადამიანურ ცხოვრებასთან".

და შევარდნაძის კრედო შეიცავს სამ კითხვას:

"პირველი: გვსურს ჩვენ, რომ ჩვენი ქვეყანა ცივილიზებული სახელმწიფო გახდეს, რომელიც მისი მოქალაქეების ღირსეული არსებობის ყველა პირობებს უზრუნველჰყოფს, და რომელიც სამოქალაქო და ადამიანის უფლებებს უზრუნველჰყოფს და იცავს მსოფლიოს უმაღლესი სტანდარტის დონეზე?

მეორე: გვსურს ჩვენ იმ ქვეყნების წრეს ვეკუთვნოდეთ, რომლებიც - ნაციონალური სიმდიდრით, მეცნიერული და ტექნოლოგიური განვითარების მხრივ, ცხოვრების დონით და მოქალაქეებისა და ხალხების თავიანთთავის განხორციელებით - ყველაზე უფრო მოწინავეა?

მესამე: გვსურს ჩვენ სრული რწმენით ვიცხოვროთ, ჩვენთვის თვითონვე უზრუნველვყოთ მშვიდობიანობა და უშიშროება და ყოველ არსებულ თუ შესაძლებელ მუქარას გავუმასპინძლდეთ?"

IV.

ედუარდ შევარდნაძის "...ამოცანები, - წერს გერმანელი პოლიტოლოგი ვოლფგანგ კოიდლი(ზე-23.7.1991 წ.) - ჯერ არ არის განხორციელებული", მაგრამ იქვე დასძენს:"არავის - არც გორბაჩოვს, არც ბუშს, არც კოლს და მით უმეტეს არც მიტერანს და ტეტჩერს - არ შეუტანია უფრო მეტი წვლილი ახალ ევროპაში მშვიდობიანობისა და თავისუფლების განხორციელების საქმეში, ვიდრე ედუარდ შევარდნაძეს".

V.

და მედლის მეორე მხარე, ე.ი. ეროვნული საკითხი, რომელიც წინა პლანზე დგას ჩვენთვის? - ამ კითხვაზეც იძლევა პასუხს ედუარდ შევარდნაძის წიგნი -"მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას", თუმცა მან მის ინტერვიუში, რომელიც მისცა, საერთაშორისო მასშტაბით, დიდ ჟურნალ "შპიგელს"(22-1991 წ.) უფრო ნათლად გამოთქვამს მის აზრს "ცენტრისა" და რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის საკითხებზე. აი, ამონაწერი ამ ინტერვიუდან:

"'შპიგელი':...შეგიძლიათ თქვენ რესპუბლიკებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირიდან გასვლა სურთ, ეროვნული თვითგამორკვევის უფლებაზე უარი უთხრათ, რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მიენიჭათ?

შევარდნაძე: თვითგამორკვევის უფლება განსაზღვრულია კონსტიტუციით. ყოველგვარი ძალადობის გამოყენებას მის წინააღმდეგ მე ვთვლი დაუშვებლად - ძალადობა არავითარ გონივრულ შედეგამდე არ მიგვიყვანს.

'შპიგელი': მაგრამ საქართველოში, ბალტიისპირეთში, სომხეთში უკვე გამოყენებულ იქნა ძალადობა. ფიქრობთ თქვენ მოკავშირე რესპუბლიკების ჩამოშორება, საერთოდ, სამოქალაქო ომის გარეშე შესაძლებელია?

შევარდნაძე: როცა ერთი ერი მისი თვითგამორკვევის უფლებას ახორციელებს, ეს უნდა იქნეს მოწესრიგებული, მშვიდობიანი გზით. ეს არის კონსტიტუციის შესაბამისი პროცესი. თუ ეს ჩამოშორების პროცესი ზოგიერთ რესპუბლიკაში სამოქალაქო ომის საშიშროებას ქმნის, და ამგვარი საშიშროება უთუოდ არსებობს, მაშინ ამ რესპუბლიკებმა ეს საქმე კარგად უნდა მოიფიქრონ.

'შპიგელი': საბჭოთა კავშირი შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თქვენი სამშობლო რესპუბლიკის - საქართველოს - გარეშე?

შევარდნაძე: საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ეს არის მისი უფლება. თუ პრაქტიკულად ეს რას ნიშნავს, არის მოლაპარაკებების საგანი მოსკოვსა და რესპუბლიკას შორის."(გვ.168-169).

VI.

აი, მეორე ადგილი იმავე ინტერვიუდან:

"'შპიგელი': თქვენი მამა იყო დისიდენტი, რომელსაც 1937 წელს დაპატიმრებისათვის ეძებდნენ. თქვენი ბიძა იყო სოციალ-დემოკრატი. თქვენი სიმამრი დახვრეტილ იქნა როგორც მტერი. თქვენ თვითონ იყავით ნამდვილი კომუნისტი და ხართ ეს დღესაც?

შევარდნაძე: მე ჩემს თავს ვთვლიდი კომუნისტად. ეს არის ჩემი ტრაგედია. ჯერ ხრუშჩოვის ხანა, შემდეგ ბრეჟნევი; შემდეგ განვითარება წავიდა ნაბიჯ-ნაბიჯ, რომლის შემდეგ, ადამიანი როგორიც მე ვარ, მივიდა ხელისუფლებაში.

'შპიგელ': ეხლა-იგი თქვენ დღეს აღარ ხართ კომუნისტი?

შევარდნაძე: რატომ არა? რა თქმა უნდა. მე ვარ პარტიის წევრი. მხოლოდ მაქვს დღეს სხვა აზრები და მიდგომა. მე შევიცვალე, ისე როგორც ჩემი ქვეყანა შეიცვალა.

'შპიგელ': ფიქრობთ თქვენ, რომ კომუნისტური სისტემის საფუძვლებიდანაც დემოკრატიზაცია შესაძლებელია თვითლიკვიდაციის გარეშე?

შევარდნაძე: რა ხდება ჩვენს ქვეყანაში? ეს არის დემოკრატიზაციის პროცესი... ...თუ კონსერვატორებმა უპირატესობა მოიპოვეს, მაშინ დემოკრატები დატოვებენ პარტიას". (გვ.169).

VII.

ამასობაში, - სსრკ კომპარტიის ცკ-ას პლენუმზე (25.7.1991 წ.) მიხეილ გორბაჩოვი პარტიის ახალი (სოციალ-დემოკრატიული?) პროგრამის პროექტს აქვეყნებს, რაც მიღებული უნდა იქნას კომპარტიის საგანგებო ყრილობაზე, მიმდინარე წლის დასასრულში; ედუარდ შევარდნაძე, გორბაჩოვის მრჩეველთან ალექსანდრე იაკოვლევთან, და დემოკრატიულ პოლიტიკოსებთან, როგორიცაა ლენინგრადის ქალაქის თავი ანატოლი სობჩაკი და მოსკოვის ქალაქის თავი გავრილ პოპოვი "დემოკრატიული რეფორმების მოძრაობას" ქმნის, რასაც წინ უსწრებდა მისი (შევარდნაძის) კომპარტიიდან გამოსვლა...ერთი სიტყვით, "ყველაფერი დინებაშია", რაც 19-21 აგვისტოს პუტჩმაც დაადასტურა.

VIII.

და რა შეიძლება, ყველა აღნიშნულის შესახებ, ითქვას? -

ჯერ ერთი, უნდა ითქვას, საერთოდ, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს აზრის შეცვლის უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ გულწრფელად უნდა მივიღოთ ედუარდ შევარდნაძის განცხადება: "...დღეს მაქვს სხვა აზრები და მიდგომა. მე შევიცვალე, ისე როგორც ჩემი ქვეყანა შეიცვალა".

მეორე: "ჩემი ქვეყანა" ედუარდ შევარდნაძისათვის, უთუოდ, საბჭოთა კავშირია, თუმცა ის საბჭოთა კავშირი არაა, რომელიც დღეს არსებობს, არამედ ის, რომელიც "დემოკრატიული რეფორმების" შედეგად შეიქმნება. აქ, რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძის შეხედულებასა და საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის შეხედულებას შორის, - როგორც ეს ჩვენმა ხალხმა 1990 წლის 28 ოქტომბერს, 1991 წლის 31 მარტს, 9 აპრილსა და 26 მაისს დაადასტურეს, - არსებითი განსხვავებაა, რადგან ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სურს საქართველო გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო ფაქტიურადაც, რასაც წინ ეღობება "ცენტრი".

მესამე: ედუარდ შევარდნაძე - ერთი მხრივ - აღიარებს ერის თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ - მეორე მხრივ - ამბობს, რომ ეს უფლება გარანტირებულია სსრკ კონსტიტუციით, თუმცა მან კარგად იცის, რომ ერის თვითგამორკვევის უფლებას არარაობად აქცევს სწორედ სსრკ კონსტიტუციის ის დებულებები, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას ფაქტიურად შეუძლებელს ხდის, რის შედეგად საბჭოთა კონსტიტუციის ამ დებულებებს ეწოდა საბჭოთა კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების "გამოუსვლელობის კანონი".

მეოთხე: საქართველო უნდა გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო ფაქტიურადაც, რომ შემდეგ, როგორც სუვერენულმა და დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, თვითონ განსაზღვრის თუ როგორი კავშირი თუ ურთიერთობა გვსურს ჩვენ სსრკ-ს მოკავშირე რესპუბლიკებთან თუ სხვა სახელმწიფოებთან.

მეხუთე: თუ რა სახის იქნება დამოუკიდებელი საქართველოს კავშირები მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან, ეს განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის დებულებებით, რომელთა თანახმად, ყველაზე უფრო მოქმედებაშია საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა ნორმალური ურთიერთობა, რომლის ერთს, გასაგებია, დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეუძლია მისი სუვერენობის განსაზღვრული ნაწილი, განსაზღვრულ დროში, თვითონვე შეზღუდოს, თუ მას სურს შევიდეს სხვა სახელმწიფოსთან რაიმე კავშირში. ამ საკითხში, ვფიქრობ, ედუარდ შევარდნაძე საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, და ამით, საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის აზრს ეთანხმება. საკითხია მხოლოდ თუ როგორი უნდა იქნას ამგვარი "კავშირი", "თანამეგობრობა" თუ "ურთიერთობა".

მეექვსე: ამგვარი ურთიერთობის ფორმა, - შევარდნაძის აზრით, უნდა გახდეს "...საგანი მოლაპარაკებებისა მოსკოვსა და რესპუბლიკას", ე.ი. საქართველოს შორის.

ზვიად გამსახურდიამ კი თქვა ("სრ",11.7.1991 წ.):"ეს იქნება კონფედერაციის მსგავსი რამ. ეს იქნება სრულიად განსაკუთრებული სპეციფიკა. კონფედერაციის აღიარების გარეშე. კონფედერაცია დე ფაქტო. სინამდვილეში ეს მდგომარეობა უკვე არსებობს".

საერთაშორისო ურთიერთობა კი მრავალი სახის სახელმწიფოთა-შორისო "კავშირებს" იცნობს, რომელთაგან დღესდღეობით ყველაზე უფრო მოექცა ყურადღების ცენტრში "ევროპის გაერთიანება", ჯერჯერობით, თორმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოსა, რომელთაც აკავშირებს ერთმანეთთან ტერიტორია, კულტურა, ცხოვრების ევროპული წესრიგი. მაგრამ, არსებითად, "ევროპის გაერთიანება" ეკონომიკური კავშირია, რომლის დროს ყოველ მოკავშირე სახელმწიფოს შეუძლია ამ გაერთიანებიდან გამოსვლა, ე.ი. ყოველი წევრ-სახელმწიფო რჩება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობა იცნობს აგრეთვე ეგრეწოდებულ "ერების საერთო კეთილდღეობას" ="Commonwealth of Nations", რომელიც წარმოიშვა ინგლისის იმპერიის ნანგრევებზე, და არის -"მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური ორგანიზაცია დამოუკიდებელი ერებისა მათი დამოკიდებულებით იმ მხრივ, რომ ყველა ცნობს ბრიტანეთის მონარქს კომონველთის მეთაურად", ე.ი. "ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის" მეთაურად.(იხ. "ქ-შ",ტომი III, გვ.44).

როგორც ვხედავთ, როცა საქართველო გახდება დამოუკიდებელი და სუვერენული ფაქტიურადაც, მას მრავალი სახის შესაძლებლობა ექნება დაამყაროს ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა მსოფლიოს ყოველ სახელმწიფოსთან. და ამ საქიხში, ვფიქრობ, ედუარდ შევარდნაძეც იზიარებს საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის შეხედულებას.

მეშვიდე: რა თქმა უნდა, როცა ვლაპარაკობთ საკითხზე -"ედუარდ შევარდნაძე და საქართველო", ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას საქართველოში. მაგრამ ვითომ საჭიროა დღეს ამ საკითხებზე სჯაბაასი თუ "დაუნდობელი კრიტიკაც" კი, როცა ედუარდ შევარდნაძე მის წიგნში - "მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას" - გულით გმობს ყოველი ჯურის დიქტატურას და უკვე, საერთაშორისო მასშტაბით, ერისა და პიროვნების თავისუფლების სიმბოლო ხდება?.. ვითომ ჩვენ ჩვენს "გრძნობებს" უნდა ავყვეთ და ვაგმოთ ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობა საქართველოში, როცა იგი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი თუ საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი, როგორი "ცოდვებიც" არ უნდა ჰქონდეს მას ჩადენილი?.. ამით ხომ ჩვენ მოვექცევით საერთაშორისო მასშტაბით გაბატონებული აზრის წინააღმდეგ, რომლის დედა-აზრი, სხვა მრავალთა შორის, ასე ჩამოაყალიბა გერმანელმა პოლიტოლოგმა - ვოლფგანგ კოილმა: "არავის - არც გორბაჩოვს, არც ბუშს, არც კოლს და მით უმეტეს არც მიტერანს და ტეტჩერს - არ შეუტანია უფრო მეტი წვლილი ახალ ევროპაში მშვიდობიანობისა და თავისუფლების განხორციელების საქმეში, ვიდრე ედუარდ შევარდნაძეს".

IX.

და თუ პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა, განა ჩვენ, ქართველებმა, საქართველოს მოსახლეობამ და ჩვენმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი არ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ - პირდაპირ თუ არაპირდაპირ - ედუარდ შევარდნაძე ჩ ა ე ბ ა ს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რომ საქართველომ ისევ მოიპოვოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა ფაქტიურადაც?.. და ამ პირობებში სრულიად უადგილო არ არის დაჟინებით მოვითხოვოთ ედუარდ შევარდნაძისაგან პასუხი შეკითხვებზე, რომლებიც გაზეთმა "საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნა თავის 1991 წლის 14 აგვისტოს ნომერში და რომლებიც ეხება მის მოღვაწეობას საქართველოში?..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1991 წლის აგვისტო

## შვენიერი ჩეხოსლოვაკია

ჟირი მენცელმა, ჩეხმა სინეასტმა, ინტერვიუ მისცა ფრანგულ ლიჟ გაზეთს "ფიგარო-ს"(17.10.1991 წ), რომელშიც, სხვათა შორის, შეეხო საკითხებს, რომლებიც, ვფიქრობთ, აქტუალურია დღეს საქართველოში.

აი, ამონაწერები ამ ინტერვიუდან:

"ფიგარო": ...როგორ უყურებთ თქვენ თქვენს პირველ ლიტერატორ პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს?

მენცელი: ახ, მე მას შევტრფი. ის არის სიზმარი...მაგრამ მე მჯერა, რომ ის არის უკეთესი ერის ღირსი, ვიდრე ის მმართავს. წინათ იყო შე-ბრუნებით. პრეზიდენტები კომუნისტები, მაგალითად, გუსტავ ჰუსაკი, იყო უფრო მდაბალი, ვიდრე ხალხი. დღეს კი ჩვენ გვყავს პრეზიდენტი, რომლის ღირსი ჩვენ არ ვართ.

შეკითხვა: არტურ მილერმა, ამერიკელმა დრამატურგმა, თქვა, რომ ვაცლავ ჰაველი არის პირველი სიურრეალისტი პრეზიდენტიო. თქვენ რა ფიქრობთ?..

პასუხი: (გაეცინა) არა-სიურრრეალისტი. არა. მაგრამ ვაცლავ ჰაველი არის პირველი პრეზიდენტი ცერიების ზღაპრიდან.

შეკითხვა: ესალმებით თქვენ ამგვარ შეხვედრას ლიტერატურასა და პოლიტიკას შორის?..

პასუხი: ჩვეულებრივ ხელოვანები არიან ემოციური, რომ შეძლონ კარგი პოლიტიკის წარმოება. მაგრამ მისი ინტელექტისა და განათლების წყალობით, ვაცლავ ჰაველმა შეძლო კარგი პოლიტიკის წარმოება. ის არის მეტად ლინჯი და ეს არ არის მხოლოდ ინტელექტუალური...

შეკითხვა: 1989 წელს, ნოემბერში, ვაცლავ ჰაველმა თქვა:"ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ დავიცვათ ჩვენი ბრწყინვალე, მშვიდობიანი და წმინდა რევოლუცია". იტყოდა ის ამას დღესაც?..

პასუხი: იდეა იყო კარგი. მაგრამ არჩევნების შემდეგ, გაიხსნა ასპარეზი იმ ადამიანებისათვის, რომლებიც, ძველი რეჟიმის დროს, პოლიტიკაში ვერაფერს ვერ აკეთებდნენ, მრავალი მიზეზის გამო. ახლა ისინი ავიდნენ მაღლა დეპუტატობამდე. მათი გამბედაობა შემოიფარგლა პოლიტიკის წარმოებით, მაგრამ არ იციან როგორ იმოქმედონ. ჩემის აზრით, ჩვენ გვჭირდება დიქტატურა.

შეკითხვა: ეს არის სიტყვა, რომელიც შოკს იწვევს...

პასუხი: მე მსურს ვილაპარაკო დიქტატურაზე, რომელიც გვეტყოდა:"ყველაფერი უნდა შეკეთდეს ამ რესპუბლიკაში, და ეს გაგრძელდება რამდენიმე წელიწადი". ადამიანები გახდნენ როგორც ბავშვები, რომლებმაც დატოვეს მშობლები და დგამენ პირველ ნაბიჯებს, რომ იყიდონ კამფეტები...

შეკითხვა: ვაცლავ ჰაველი ხომ არ არის "მერლინ დ'ენშანტორი", ე.ი. ლეგენდარული პიროვნება რაინდულ რომანიდან, რომელსაც გააჩნდა ხელისუფლების ჯადოსნური უნარიანობა?..

პასუხი: ის არის...ბრძენი პოლიტიკაში. ერთი ფაქტი: გასულ კვირაში ჩვენმა თეატრმა კამართა დაპატიჟება ჩვენი თეატრის დირექტორის პენსიაზე გასვლის აღსანიშნავად. დილით ჰაველმა ილაპარაკა ეროვნულ კრებაში რთულ პრობლემებზე. საღამოს კი იყო აქ, ამ თეატრის ყოფილი თანამშრომელი. მას უნდოდა მოსვლა პენსიონერის მისასალმებლად. ბატონი პრეზიდენტი იყო ჩვენ შორის, უბრალო როგორც პატარა ბავშვი, ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე."

"ფიგარო",17.10.1991 წ.

კ.ი.,დევიდი,ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "ტექტონიკური იარაღი" და მიწისძვრა საქართველოში

I.

1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, თბილისის დროით, 13 საათსა და 13 წუთზე. პარასკევს,3 მაისს მიწისძვრა განმეორდა. 29 აპრილის შემდეგ უბედურების ზონაში თითქმის განუწყვეტლივ იგრძნობა ბიძგები, მაგრამ 3 მაისს ბიძგის ძალამ 7 ბალს მიაღწია. ამან დამატებითი მსხვერპლი და ნგრევა გამოიწვია; და ნახევარი საქართველო ღია ცის ქვეშ ათენებდა ღამეს, რადგან ხალხს სახლში შესვლა ეშინოდათ.

II.

საჩხერის რაიონში,რომელშიც ერთი ქალაქი და 45 სოფელი შედის და რომლის მოსახლეობაა 45.329 კაცი, მიწისძვრამ დააზიანა სახლების 85 პროცენტი; უსახლკაროდ დარჩა 20-ათასი კაცი, დაიღუპა - 70. მთლიანად მიწაში ჩაინთქა ერთი სოფელი - ხანიეთი.

ამბროლაურის რაიონში, რომლის მოსახლეობა 17.984 კაცია და რომელშიც ერთი ქალაქი, ერთი დაბა და 70 სასოფლო საბჭო შედის, დაიღუპა 3 კაცი; დაზიანდა სახლების 85 პროცენტი; მთლიანად დაინგრა 1000-ზე მეტი სახლი.

ონის რაიონში,რომლის მოსახლეობაა 12.815 კაცია და რომელშიც შედის ერთი ქალაქი და 65 სოფელი, მიწისძვრამ დააზიანა სახლების 95 პროცენტი; უსახლკაროდ დარჩა ათი-ათასზე მეტი კაცი; დაიღუპა 3 ადამიანი.

III.

მაშველთა ჯგუფები მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. სომხეთიდან მაშველთა დიდი ჯგუფი ჩამოსულა "სპიტაკის" სახელწოდებით. დახმარების ხელი გაუწია საქართველოს იაპონიამ, გერმანიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თურქეთმა თუ წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციამ.

IV.

"კიდევ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი - ვკითხულობთ გაზეთ "სამშობლოს" 1991 წლის მაისის 9-10 ნომერში -, რომელზეც ეჭვნარევი, ჰიპოთეტური ლაპარაკი იყო ყველგან, სადაც ვიყავით - საჩხერეშიც, ონშიც, ისევე როგორც ამ ორი წლის წინათ სომხეთში:

საქმე ეხება ეჭვს, ხომ არ იყო სომხეთისა და საქართველოს მიწისძვრები ხელოვნური. მე აქ არაფერს ვამტკიცებ, - მქმნელმა ერთი ცოდვა ჩაიდინა და დამზრალებულმა ათასით, - მაგრამ მართლაც საეჭვოდ ჰგავს ერთმანეთს "წინასამიწისძვრო" პოლიტიკური სიტუაციები - ვგულისხმობ სასტიკ დაძაბულობას და ცენტრთან ურთიერთობის უკიდურეს გამწვავებას სომხეთსა და საქართველოში."

- წერს პაატა ნაცვლიშვილი(იქვე), და განაგრძობს:

"...დღევანდელი მეცნიერებისათვის, მით უმეტეს - სამხედრო მეცნიერებისათვის ხომ არაფერია შეუძლებელი."

"...გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 2 მაისის ნომერში წავიკითხე გაზეთ "მეგაპოლის-ექსპრესის" პუბლიკაცია "ტყუილუბრალოდ ნუ არყევთ დედამიწას",რომელშიც...სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი...ივან ანურეევი გვაფრთხილებს, რომ საბჭოთა კავშირი ახლოა XX საუკუნის ახალი საშინელების - ტექტონიკური იარაღის შექმნასთან. იგი ამბობს:

V.

"- ორიოდე სიტყვით რომ გითხრათ, ტექტონიკური, ანუ გეოფიზიკური იარაღის არსი ასეთია: ბირთვული აფეთქებების გზით შეიძლება მიწისძვრის გამოწვევა ეპიცენტრიდან ასობით ზოგჯერ ათასობით კილომეტრზე - მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. მიწის ქერქში დაგროვილი ძაბვა იწვევს სეისმურ ტალღებს და ეს ტალღები ზუსტად იმ რაიონს ესხმიან თავს,საითკენაც დამიზნულია - სადაც განლაგებულია, ვთქვათ, ატომური ელექტროსადგურები, სამხედრო ქარხნები და სხვა. სამხედრო მეცნიერების წინაშე დგას შემდეგი ამოცანა: დააჩქარონ ძაბვათა წარმოქმნა მიწის ქერქში, ხელოვნურად მოახდინონ მათი სტიმულირება მიწისქვეშა ბირთვული აფეთქებების მეოხებით."

კორესპონდენტი: გამოდის, რომ თუ ბირთვულ აფეთქებას მოვახდენთ, დავუშვათ, ახალი მიწის რაიონში, შეიძლება იქიდან დავუმიზნოთ და ზუსტად მოვარტყათ ათასი მილით დაშორებულ ობიექტს, მაგალითად სპიტაკს?

ივან ანურეევი: "მე მივხვდი თქვენს მინიშნებას... როდესაც ირანში მოხდა მიწისძვრა, დასავლეთის ზოგიერთ გაზეთში გაჩნდა ჰიპოთეზე-

ბი, თითქოსდა ეს მიწისძვრა საბჭოთა კავშირში ბირთვულ აფეთქებას გამოეწვიოს. მაგრამ ავტორიტეტულმა უცხოელმა მეცნიერებმა თავისიაზრი საკმაოდ გარკვევით გამოთქვეს: ასეთი მიწისძვრა რომ გამოეწვია, აფეთქება უნდა მომხდარიყო, სულ ცოტა, ათასი კილომეტრით ახლო." (იქვე).

კ.ი., 1991 წლის ივნისი, ლევილი

ამერიკელმა სეისმოლოგმა

ფილსონმა საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შესახებ თქვა, რომ რიხტერის შკალაზე მან 7,2 ბალის ნიშნულს მიაღწია. იგი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სომხეთში მომხდარი მიწისძვრა, რომელიც 6,8 ბალს უდრიდა; სან-ფრანცისკოს მიწისძვრა კი 7,1 ბალი იყო.

საქართველოში, ისევე როგორც სომხეთში, მიწისძვრა იყო ტექტონური და არა ვულკანური. ეს ნიშნავს იმას, რომ დედამიწის ქერქის დაძაბვის შედეგად წარმოიშვა მიწის ორი მასა, რომლებსაც მეცნიერებები თასებს უწოდებენ. კავკასიის მთები სასაზღვრო ხაზს წარმოადგენს ამ თასებს შორის. საქართველოს მიწისძვრა მოხდა არაბული თასისა და ევრაზიის თასის შეჯახების შედეგად.

გაზეთი "სამშობლო", თბილისი, ივნისი, 1991 წ.

ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი   ს ა მ ყ ა რ ო

"Centesimus annus" = "მ ე ა ს ე   წ ე ლ ი"

რომის პაპის სოციალური ენციკლიკა

ენციკლიკა, საერთოდ, არის რომის პაპის წერილი, მიმართვა ყველა კათოლიკენალეში პოლიტიკის, რელიგიის თუ მორალის საკითხებზე, მაგრამ, ამავე დროს, "ყველა კეთილის მსურველი ადამიანებისადმი". ენციკლიკას, მართალია, არ გააჩნია "კანონიკური", ე.ი. "საეკლესიო კანონის" ძალა და ამით "შეუცდომლობის" ავტორიტეტი, მაგრამ არის "აუთენთური მოძღვრება ეკლესიისა", რომელიც სავალდებულო ხასიათისაა.

რომის პაპა იოანე პავლე II-ის სოციალური ენციკლიკა - "მეასე წელი" - ეძღვნება ამავე დანიშნულების ენციკლიკას, რომელიც ასი წლის წინათ, 1891 წელს, გამოსცა რომის მაშინდელმა პაპამ, ლეო XIII-მ, სახელწოდებით - "Rerum novarum" = "ახალი საქმე". დაწყებული რომის პაპის - იოანე XXIII-დან (1958-1963), ენციკლიკები ეხებიან საერთო მნიშვნელობის თემებს არა მარტო სასულიერო პირებისა და, საერთოდ, კათოლიკეებისათვის. ამგვარად, რომის პირველი პაპა იყო ლეო XIII-ე, რომელმაც გამოეხმაურა ს ო ც ი ა ლ უ რ საკითხებს და მისი ენციკლიკით მიმართა "ყველა კეთილის მსურველ ადამიანებს".

რომის პაპის იოანე-პავლე II-ის ენციკლიკა - "მ ე ა ს ე   წ ე ლ ი" - დათარიღებულია 1991 წლის პირველი მაისით, შრომის საერთაშორისო დღით. აი, ამონაწერები ამ ენციკლიკადან:

"შრომის უფლება"

"მრავალ ფაქტორებიდან, რომელმაც გამოიწვია მონური სულისკვეთების რეჟიმის დამსხვრევა (აღმოსავლეთ ევროპაში), ზოგიერთები განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც გარდაქმნა გამოიწვია, უეჭველად იყო შრომის უფლების დარღვევა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გადამწყვეტი კრიზისები სისტემებისა, რომლებიც აცხადებენ თითქოს მუშების ბატონობისა და დიქტატურის განსახიერებაა, იწყება მუშათა დიდი მოძრაობებით, რომელიც პოლონეთში სოლიდარობის სახელით მოხდა. ეს იყო მუშების მასები, რომელმაც ლეგიტიმაცია აღუკვეთა იმ იდეოლოგიას, რომელიც თითქოს მისი სახელით ლაპარაკობდა."

"კრიზისის მეორე მიზეზი უეჭველად იყო ეკონომიკური სისტემის უვარგისობა. აქ საქმე ეხება არა მარტო ტექნიკურ პრობლემას, არამედ უფრო ეკონომიკური ინიციატივის, საკუთრებისა და თავისუფლების ადამიანური უფლებების დარღვევას ეკონომიკის სფეროში. ამას ემატება კულტურული და ნაციონალური განზომილება.

შეუძლებელია ადამიანი ცალმხრივად, ეკონომიკურად გაიგო და არც მარტო მისი კუთვნილებით რომელიმე კლასთან..."

"სულიერი სიცარიელე"

"უახლესი მოვლენების ნამდვილი მიზეზი კი არის ათეიზმისაგან გამოწვეული სულიერი სიცარიელე. ამან ახალი თაობები დატოვა ორიენტაციის გარეშე და მათ არაერთხელ უბიძგა საკუთარი იდენტიურობისა და ცხოვრების აზრის დაუმონავებელი ძებნისაკენ, მათი პიროვნებათა და ერთა ფესვები მათ კულტურებში და თვით ქრისტეში ისევ-აღმოეჩინათ."

"1989 წლის მოვლენები მაგალითს იძლევა იმისა, რომ, მოლაპარაკებებითა და ევანგელიური სულისკვეთებით, შეიძლება წარმატების მიღწევა მოწინააღმდეგეებთან, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდა არ შემოესაზღვრა თავისი მოქმედება მორალური ნორმებით. ეს არის გაფრთხილება ყველასათვის, რომლებსაც, პოლიტიკური რეალიზმის სახელით, პოლიტიკიდან უფლებისა და მორალის განდევნა სურთ."

"სოლიდარული დახმარება"

"ეს არის მხოლოდ სამართლიანი, რომ ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებს ამჟამინდელ სიძნელეებში სხვა ერებისაგან სოლიდარულ დახმარება გაეწიოს".

"დიდი სახსრები ხელმისაწვდომი გახდება უდიდესი სამხედრო პოტენციალის აღკვეთით, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტის დროს შეიქმნა. ბევრ ადამიანებს, შეიძლება დიდ უმრავლესობას, დღეს არ გააჩნიათ სახსრები, რომლებიც მათ ნამდვილად და ადამიანის ღირსების დაცვის გზით შეუქმნიდა ისეთ საწარმოო სისტემას, რომელშიც შრომას მართლაც ცენტრალური ადგილი უკავია. მათ არ გააჩნიათ შესაძლებლობა ისეთი ძირითადი ცოდნა შეიძინონ, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა მათი უნარიანობა გამოამჟღავნონ და მათი პროდუქტიულობა გაფურჩქნონ".

"ისინი არიან, თუ გაყვლეფილი არა, მაინც უმთავრესად განაპირა-არსებანი: ეკონომიკური განვითარება მათ ზევით მიდის... მათ ფაქტიურად ადამიანური ღირსება არ აქვთ მინიჭებული..."

"ბევრი ადამიანები, თუმცა ისინი მთლად არ არიან განაპირა-არსებანი, არიან ისეთ გარემოში, სადაც ბრძოლას ყველაზე უფრო საჭიროსათვის აბსოლუტური უპირატესობა აქვს. იქ ბატონობს ისევ კაპიტალიზმის აღმოცენების პირველადი წესრიგი ისეთი დაუნდობლობით, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ბნელ პირველყოფილ ინდუსტრიალიზაციის ჟამს... მიუხედავად დიდი ცვლილებისა, რომლებსაც ადგილი აქვს დაწინაურებულ საზოგადოებებში, კაპიტალიზმის ადამიანური დეფიციტი, საწარმოო საშუალებებით ადამიანებზე ბატონობა, სრულიადაც არ არის გარდასული."

"აქედან ნათელი ხდება თუ როგორი უბადრუკია იმის მტკიცება, რომ გაკოტრება "რეალური სოციალიზმისა" ხდის კაპიტალიზმს ეკონომიკური ორგანიზაციის ერთადერთ მოდელად. საჭიროა ბარიერებისა და მონოპოლიების დანგრევა, რომლებიც ასე ბევრ ხალხებს განვითარების ნაპირას ტოვებენ... ძირითადი დებულება, რომ ვალები გადახდილი უნდა იქნას, უთუოდ, სწორია. მაგრამ დაუშვებელია გადახდა მოითხოვო ან გადახდა აიძულო, რომელიც პოლიტიკური ღონისძიებების გამოყენების იძულებას იწვევს, რაც მთელ ხალხებს შიმშილობასა და უიმედობაში ჩააგდებდა."

"კაპიტალიზმი და კომუნიზმი"

"შეიძლება ითქვას, რომ კომუნიზმის მარცხის შემდეგ, კაპიტალიზმია გამარჯვებული საზოგადოებრივი სისტემა, და რომ ისაა ქვეყნების მისწრაფების მიზანი; მათი ეკონომიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება მის მიხედვით ააგონ? შეიძლება ის არის მოდელი, რომელიც მესამე მსოფლიოს ქვეყნებს გამოადგება, რომლებიც გზებს ნამდვილი ეკონომიკური და საზოგადოებრიობისაკენ ეძებენ? - პასუხი, ბუნებრივია, რთულია.

თუ 'კაპიტალიზმით' ეკონომიკური სისტემა იქნება წოდებული, რომელიც მწარმოებლის, ბაზრის, კერძო საკუთრების და მათგან გამომდინარე პასუხისმგებლობას საწარმოო საშუალებებზე, ადამიანთა თავისუფალ შემოქმედებას, ეკონომიკურ სფეროში, აღიარებს, - პასუხი, უთუოთ, პოზიტიურია..."

"მაგრამ 'კაპიტალიზმში' თუ იქნება გაგებული სისტემა, რომელშიც ეკონომიკური თავისუფლება ზუსტ უფლებრივ წესრიგში არ იქნება ჩაქსოვილი, რომელიც მას ადამიანის სრული თავისუფლების სამსახურში ჩააყენებს და მას როგორც ამ თავისუფლების განსაკუთრებულ განზომილებას მის ეთიკურ და რელიგიურ ცენტრალ

მიიჩნევს, მაშინ პასუხი იქნება ასევე უკომპრომისოდ ნეგატიური..."

"ეკონომიკა, განსაკუთრებით საბაზრო მეურნეობა, შეუძლებელია მოქმედებდეს ინსტიტუციურ, უფლებრივ და პოლიტიკურ სიცარიელეში. პირიქით, მისი წინაპირობაა ინდივიდუალური თავისუფლება და საკუთრება, ისევე როგორც სტაბილური ფული და უნარიანი საზოგადოებრივი სამსახური. ამიტომ სახელმწიფოს მთავარი ამოცანა არის უშიშროება უზრუნველყოს, რომ ის, ვინც შრომობს და ნაწარმს იძლევა, მისი შრომის ნაყოფის გამოყენება შეეძლოს და სტიმულს ღებულობს მისი მუშაობა ეფექტურად და პატიოსნად შეასრულოს."

"მარქსისტული მოგვარება ამ პრობლემისა დამარცხდა, მაგრამ მსოფლიოში წინანდებურად არსებობს გამოთიშვისა და გაყვლეფის ფორმები, განსაკუთრებით მესამე მსოფლიოში, ისევე როგორც ადამიანთა გაუცხოების გამოვლინებები, განსაკუთრებით ინდუსტრიულ ქვეყნებში, რომლის წინააღმდეგ ეკლესია მის ხმას იმაღლებს. ადამიანთა მასები კიდევ ცხოვრობენ დიდი მატერიალური მორალური სიღატაკის პირობებში".

"კომუნისტური სისტემის დანგრევა უთუოდ აღკვეთს მრავალ ქვეყანაში საქმიანი და რეალისტური ბრძოლის ჯებირებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის მის მოსაგვარებლად. არსებობს საშიშროება, რომ რადიკალური კაპიტალისტური იდეოლოგია შეისხამს ფრთებს, რომელიც უარჰყოფს, ამის აწონ-დაწონვასაც კი..., და ამ პრობლემების მოგვარებას ბაზრის ძალების თავისუფალი გაფურჩქვნის ბრმა რწმენას გადააბარებს."

"საერთო კეთილდღეობა"

"საქმე ეხება არა მარტო იმას, რომ ფუფუნება გაუნაწილოს სხვებს, არამედ მთელ ხალხებს გაუხსნა გზა ეკონომიკური და ადამიანური განვითარებისაკენ."
"დღეს ვდგევართ ჩვენ ე.წ-ლი 'მსოფლიოსმომცველი ეკონომიკის" მისწრაფებათა წინაშე, ფენომენი, რომლის უარყოფა, უდავოა, არ შეიძლება, რად, უთუოდ, შეიცავს უფრო მეტი კეთილდღეობის შესაძლებლობას. მაგრამ ყოველთვის უფრო საგრძნობია მისწრაფება, რომ ეკონომიკის მზარდ ინტერნაციონალიზირება მოითხოვს ინტერნაციონალური კონტროლისა და მართველობის ორგანოების შესაბამებას, რომელიც ეკონომიკას საერთო კეთილდღეობისაკენ წარმართავს. ამას კი ვალკეული სახელმწიფოები, თუნდაც იყოს ის მსოფლიოში უძლიერესი, მარტო ვერ შესძლებს". (წყარო: კა-ენ-ა; ლე-პე-ა და "ზც",3.5.1991 წ.).

მოამზადა და გერმანულიდან თარგმნა
კარლო ინასარიძემ
ლევილი, 1991 წლის 17 მაისი

დამატება: რომის პაპმა იოანე-პავლე II, მისი ვიზიტის დროს ბრაზილიაში, თქვა: ეკლესიის სოციალური მოძღვრება ყოველთვის უარყოფდა "ველურ კაპიტალიზმს", როგორც საზოგადოების ბაზას. "ეს არის სისტემა, რომლისთვის მოგება აბსოლუტური მიზანია და ადამიანის შრომა, გაყვლეფის შედეგად, დაქვეითებულია". მაგრამ ეკლესია უარყოფს აგრეთვე "კოლექტიურ მარქსიზმს". ("ზც", 21.10. 1991 წ.)

"გამხდარი პროდუქცია"

"ი ა პ ო ნ უ რ ი   ს ა ს წ ა უ ლ ი"

საავტომობილო ინდუსტრიის მაგალითზე

I.

ტერიტორია-მოსახლეობა-პროდუქცია: იაპონის ტერიტორია უდრის 372.769 კვადრატულ კილომეტრს. მოსახლეობა, 1987 წლის მონაცემებით, 122 მილიონ სულს. ბრუტო-სოციალური პროდუქცია უდრის 1956 მილიარდ დოლარს(1988).
საბჭოთა კავშირის ტერიტორია უდრის 22.274.300 კვადრატულ კილომეტრს. მოსახლეობა 287 მილიონი სულია(1987). ბრუტო-სოციალური პროდუქცია უდრის 1500 მილიარდ დოლარს. გერმანიის(გაერთიანებული) ტერიტორია უდრის 397.041 კვადრატულ კილომეტრს. მოსახლეობა(1988) 77.981.400 სულია. ბრუტო-სოციალური პროდუქცია უდრის(1986) 796 მილიარდ დოლარს.
ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორია უდრის 9.363.123 კვადრატულ კილომეტრს. მოსახლეობა(1987) 242 მილიონი სულია. ბრუტო-სოციალური პროდუქცია

კი უდრის(1985) 4185 მილიარდ დოლარს.
მხოლოდ ბრუტო-სოციალური პროდუქციის შედარება ასეთ სურათს იძლევა:

| | |
|---|---|
| იაპონია.................... | 1956 მილიარდი დოლარი, |
| სსრკ........................ | 1500 " ; |
| გერმანია.................... | 796 " " ; |
| აშშ......................... | 4185 მილიარდი დოლარი. |

II.

იაპონიის საავტომობილო ინდუსტრია შიშის ზარს სცემს მსოფლიო ბაზარზე მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებს - მოდერნული, მოქნილი საწარმოო მეთოდებით. ამერიკელმა მკვლევარებმა შეისწავლეს იაპონიის საავტომობილო ინდუსტრიის წარმოების მეთოდები საფუძვლიანად და მივიდენ საგანგაშო დასკვნამდე: ტრადიციულ მასობრივ პროდუქციას მომავალი საეჭვოა ჰქონდეს. საავტომობილო ინდუსტრიის ამგვარ განვითარებას, გასაგებია, აქვს თავისი ისტორია:

III.

ერთი ახალგაზრდა იაპონელი ინჟინერი - აიჯი ტოიოდა - 1950 წლის გაზაფხულზე გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო-გიგანტის "ფორდის-მოტორის-კომპანიის" მასობრივი პროდუქციის პრინციპების შესასწავლად. პირველი ომის დამთავრების შემდეგ, როგორც ცნობილია, "ფორდის" დამაარსებელმა ჰენრი ფორდ I-მა, პირველად შემოიღო ავტომობილების დამზადების მასობრივი წესი ე.წ-ლი "კონვეიერის" გზით, რაც შემდეგ სულ უფრო სრულყოფილი გახდა.

IV.

აიჯი ტოიოდას ბიძამ - კიშირო ტოიოდამ -, რომელიც იყო "ტოიოტა-მოტორის-კომპანიის" თანადამაარსებელი("ტოიოდა" იაპონურად ნიშნავს "ბარაქიან ბრინჯის ველს"; ფირმის=კომპანიის სახელწოდებისათვის კი "დ" შეცვალეს "ტ"-თი და ასე წარმოიშვა სახელწოდება "ტოიოტა"), განსაცდელში ჩააგდო "ტოიოტას" საავტომობილო საწარმო. მისი ძმისშვილი - აიჯი ტოიოდა - კი მივიდა დასკვნამდე, რომ "ამერიკული წესით" საწარმოს კრიზისიდან გამოყვანა შეუძლებელი იყო. "ტოიოტამ", არსებობიდან 13-ი წლის წანმავლობაში, გამოუშვა 2.685-ი ავტომობილი; "ფორდის" საწარმო კი, დეტროიტში, 7.000-ს ავტომობილს ამზადებდა ერთ დღეში. აიჯი ტოიოდა და "ტოიოტას" პროდუქციის უფროსი - ტაიჩი ონო -, "ფორდის" პროდუქციის ყოველი დეტალის შესწავლის შემდეგ, მივიდენ დასკვნამდე: ფორდის-მაგვარი მასობრივი პროდუქცია არ შეესაბამება იაპონელთა განსაკუთრებულობას და საეჭვოა მისი ეფექტური ფუნქციონირება იაპონიაში. ამიტომ ორივემ შექმნეს ახალი "ტოიოტას-პროდუქციის-სისტემა", რომლითაც - როგორც ჰენრი ფორდმა და მასთან ერთად ალფრედ სლონმა "ჯენერალ მოტორსიდან" რევოლუცია მოახდინეს ავტომობილის საწარმოებში, - ასევე აიჯი ტოიოდამ და ტაიჩი ონომ რევოლუცია მოახდინეს ავტომობილის მოდერნულ წარმოებაში.

V.

და ამ ახალ პროდუქციის სისტემას აქვს მომავალი, - მივიდენ ამ დასკვნამდე მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის, ამ "რჩეულთა" უნივერსიტეტის მკვლევარები ბოსტონში(აშშ), ნაშრომში "მანქანა, რომელმაც გარდაქმნა მსოფლიო" ("James P.Womack, . Daniel T.Jones, Daniel Roos:"The Machine that Changed the World", New York I99I) . ხუთი წლის განმავლობაში 54-ი ექსპერტი სწავლობდენ ავტომობილების წარმოების პროცესებს 15-ტ ქვეყანაში; საერთო ჯამში, მათ შეისწავლეს 90-ი ფაბრიკა და ასობით საწარმოები, რომლებიც ნაწილებს აწვდიან საავტომობილო ქარხნებს, როგორც, მაგალითად, "ფოლკვაგენის", "ფიატის", "ვოლვოს", "რენოს", "ჯენერალ მოტორსის", "ფორდის", "ჰონდას" თუ "ტოიოტას". მკვლევარებმა შეისწავლეს პროდუქციის ყოველი წვრილმანი საბოლოო მონტაჟის ჩათვლით და გაანალიზეს ყველა ეს მონაცემი მენეჯერებთან, ინჟინრებთან და მუშებთან და მივიდენ დასკვნამდე, რომ ტოიოდას მიერ შემუშავებული პროდუქციის მეთოდი გაცილებით უკეთესია და, ამასობაში, პირველყოვლისა იაპონიაში, სულ უფრო და უფრო ვრცელდება.

VI.

"მიტ"-ის(MIT-Massachusetts Institute of Technology in Boston-USA) მკვლევარები ამ სისტემას უწოდებენ "გამხდარ პროდუქციას"="lean production". ამ "გამხდარ პროდუქციას" ესაჭიროება, ჩვეულებრივ მასობრივ პროდუქციასთან შედარებით, ნახევარი მუშახელი, ნახევარი კაპიტალდაბანდება; ნახევარი ახალი პროდუქციის შექმნის დრო; ნახევარზე ნაკლები საწყობის მოცულობა; და, ამავე დროს, ხდება უფრო მეტი და ხარისხოვანი პროდუქტის დამზადება. ამგვარმა "გამხდარმა პროდუქციამ" იმდენად დიდი მოქნილობა გამოიწვია იაპონიის საავტომობილო წარ-

მოებებში, რომ - ამერიკელი ექსპერტების პროგნოზით - წარმოების ამგვარი სისტემა მალე გავრცელდება მრეწველობის სხვა დარგებშიც, და რომ "გამხდარი პროდუქცია ჭეშმარიტად გარდაქმნის მთელ მსოფლიო ეკონომიკას".

VII.

რა იმალება ამგვარ "გამხდარ პროდუქციაში?" - იგი აკავშირებს არსებითად ორ სხვადასხვა წარმოების მეთოდებს ერთმანეთთან: ხელოსნური დამზადების მეთოდიდან "გამხდარ პროდუქციამ" გადაიღო მოქნილობა და ხარისხი, ხოლო კონვეიერის გზით მასობრივი პროდუქციიდან სისწრაფე და ამით დაბალი ღირებულება, ფასი ნაწარმისა. ამავე დროს აცილებულია ორივე მეთოდის ნაკლოვანებანი: მასიური პროდუქციის მოუქნელობა და ხელოსნური შრომის სიძვირე, რის შედეგად წარმოების მთელი პროცესი ორგანიზებულია სხვაგვარად: ყოველი სერიის რაოდენობა განსაზღვრულია,რაც შეიძლება ნაკლები რიცხვით. თვით პროდუქცია კი მზადდება მჭიდრო ურთიერთ-თანამშრომლობით ინჟინრებს, მუშებსა და მომხმარებლებს შორის. პატარ-პატარა ჯგუფები(ბრიგადები) მუშაობს,მეტ-ნაკლებად, დამოუკიდებელ განყოფილებებში. ყველაზე უფრო დიდი განსხვავება "ჩვეულებრივ"მასობრივ პროდუქციასა და "გამხდარ პროდუქციას" შორის, ამერიკელი ექსპერტების აზრით, არის ის, რომ "ჩვეულებრივი" წარმოების"დროს, ავტომობილის დამზადებისას "რამდენიმე ნაკლი გარდაუვალი არის" მიჩნეული, რის შედეგად ავტომობილის წარმოება უნდა გახდეს სტანდარტული, რომ ნაწილების შეცვლა რაც შეიძლება შეზღუდულ იქნას, რადგან რამდენად დიდხანს დამზადდება ერთიდაიგივე მოდელი, იმდენად დაბალია ხარჯებიც. "გამხდარი პროდუქციის"დროს კი მიზანია "ნოლი ნაკლი" და რაც შეიძლება მრავალგვარი პროდუქტი.

ამერიკელმა ექსპერტებმა "მერცედეს-ბენცის" საავტომობილო ქარხანაში, ზინდელფინგებში, აღმოაჩინეს ერთი განსაცვიფრებელი ფაქტი: "მერცედეს-ბენცი" ყოველძალღონეს ხმარობს მასობრივი პროდუქციის არსებული მეთოდით წარმოშობილი ნაკლი ისევ გამოასწოროს; მისი იაპონელი კონკურენტები კი პირდაპირ "უნაკლო ავტომობილს" ამზადებენ.

VIII.

იაპონიის საავტომობილო ქარხნის "ტოიოტას" პროდუქციის უფროსმა - ტაიჩი ონომ - ადრე შეიცნო, რომ,კონვეიერის მასობრივი წარმოების წესით, მრავალი მაღალი სპეციალისტები დაკავებულია შრომით, რომელთა შესრულება კონვეიერზე მომუშავე მშრომელებს შეეძლოთ, თუ ისინი შესაბამისად იქნებოდნენ მომზადებული: საწარმოო საშუალებათა შეკეთება, ხარისხის კონტროლი და სხვა შეეძლებოდათ თვით მუშებს.აქედან გამომდინარე, ტაიჩი ონომ შექმნა "ბრიგადები"="ტიმს" შესაბამისად გაწრთვნილი მუშებისაგან, მეთაურით. ამ "ტიმ-იდან" ყოველ მუშას, თუ რაიმე პრობლემა წამოიჭრა, თვითონ შეუძლია, თავისი სამუშაო ადგილიდან, შეაჩეროს კონვეიერი და მაშინვე შეაკეთოს,რაც შესაკეთებელია. ამერიკელმა ექსპერტებმა დაინახეს, რომ ამგვარ წესს სრულიადაც არ გამოუწვევია კონვეიერების ხშირი შეჩერება. პირიქით, მუშა ნაკლს მაშინათვე ასწორებს, რადგან მუშა, მშრომის მის მონაკვეთში, თვითონ არის პასუხისმგებელი. ამის შედეგია ის, რომ - პრაქტიკულად, უნაკლო ავტომობილები მზადდება. და ამ "გამხდარი პროდუქციის" პროცესში ავტომობილის მონტაჟი ყველაზე უფრო უმცირესი ნაწილია. მთავარია დაახლოებით ათი-ათასი ცალკეული ნაწილების დამზადება, რომლებიც შემდეგ ას-მოდიდო კომპონენტებად ერთდება, რომლებიც შემდეგ საბოლოო ფორმას ღებულობს. ამ ნაწილების ურთმანეთთან შეხმატკბილება იმდენად რთული იყო, რომ დიდი საწარმოები თითქმის ყველაფერს თვითონ ამზადებდნენ, რაც ზრდიდა ბიუროკრატიას და ამით ხარჯებს.

ამგვარი"ტრადიციული პროდუქციით", მართალია, თანდათანობით გადავიდნენ ცალკეული კომპონენტების პატარ-პატარა საწარმოებისათვის გადაცემის სისტემაზე, მაგრამ დიდი საწარმოებები ამგვარი კომპონენტების გეგმას თვით თავიანთ კვლევით განყოფილებებში ქმნიდნენ და შემდეგ მიმართავდნენ პატარ-პატარა საწარმოებს მისი დამზადებისათვის მოეკიდათ ხელი. "ტოიოტას" საავტომობილო ქარხანა კი გაუყვა სხვა გზას: კონსტრუქციის ცალკეული კომპონენტების მთელი პასუხისმგებლობა გადასცეს პატარ-პატარა საწარმოებს, რომ დაემზადებინათ იგი მისი პასუხისმგებლობის ქვეშ. და შედეგი? - ამერიკელი ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ ამ გზით ადგილი ჰქონდა : ხარისხის გაუმჯობესებას და დაბალ ხარჯებს.

IX.

მაგრამ "ტოიოტას" ხელმძღვანელობა ამითაც არ დაკმაყოფილდა; შემდგომში გამოგონებებით, ტაიჩი ონომ - მოახდინა კიდევ ერთი რევოლუცია საავტომობილო

ინდუსტრიაში, მისი ე.წ-ლი "ჯასტ-ინ-ტაიმის-სისტემით"= "Just in Time"-System -, რასაც იაპონურად "კანბან-ს" უწოდებენ. მანამდე, დიდ საწარმოებს ყველა საჭირო ნაწილი ჰქონდა საწყობებში, რომ პროდუქციის დინება არ შეჩერებულიყო. მაგრამ ნაწილები და საწყობები "ყინავდა" დიდ კაპიტალს და ამდენად იწვევდა დიდ ხარჯებს. "ტაიჩი-ონოს"-მეთოდით, საჭირო ნაწილის წარმოება ხდება მაშინ, როცა იგი საჭიროა და "სწორედ დროში" = "ჯასტ-ინ-ტაიმ" - მიდის სამონტაჟო კონვეიერზე, რითაც უდიდესი მოქნილობა სუფევს პროდუქციაში.

X.

მეტად გავრცელებული აზრია აგრეთვე, რომ იაპონელთა წარმატებები ეყრდნობა სტანდარტული პროდუქტების მასობრივი გამოშვების სისტემას. პირიქით, - გამოაქვთ დასკვნა ამერიკელ ექსპერტებს, - იაპონელები ავტომობილის ყოველ მოდელს ამზადებენ, საშუალოდ, 125.000-ს ცალს ერთ წელიწადში. მსოფლიოს სხვა დიდი ქარხნები ამერიკასა და ევროპაში კი წლიურად ამზადებენ ორჯერ უფრო მეტ ერთიდაიგივე მოდელის ავტომობილს. კიდევ: იაპონელები ერთი-და-იგივე მოდელს ამზადებენ, დაახლოებით, ოთხი წლის განმავლობაში, ამერიკა-ევროპა კი - თითქმის ათი წელიწადის განმავლობაში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ იაპონელები ერთი მოდელის ავტომობილს ამზადებენ ნახევარ მილიონს, ამერიკა-ევროპელები კი - ორ-მილიონ ცალს. ამას ემატება კიდევ: გასულ წელში, მაგალითად, "ტოიოტა" სთავაზობდა მყიდველებს იმდენივე სხვადასხვა ავტომობილის მოდელებს, როგორც მსოფლიოს უდიდესი საავტომობილო ქარხანა "ჯენერალ მოტორს", მიუხედავათ იმისა, რომ "ტოიოტა" მხოლოდ "ჯენერალ მოტორსის" ნახევარი სიდიდისაა.

XI.

და იმის უნარიანობამ,- მცირე სერიებით მომგებიანი და საუკეთესო ხარისხის ავტომობილები დაამზადოს, - "ტოიოტას" მიანიჭა დიდი უპირატესობა, მაგალითად, იაპონიის თითქმის ყველა დიდი საავტომობილო კომპანია მომხმარებლებს სთავაზობენ სხვადასხვაგვარ "საველე ავტომობილებს" = Range Rover , რომლებიც არ მოითხოვენ საერთოდ მარა-გზებს; ევროპის დიდი საავტომობილო ქარხნები კი, ამ მხრივ, მაყურებლების როლშია ჩაყენებული. ამ ქარხნებს - იყენებენ რა მოძველებულ კონვეიერის სისტემას - სარგებლობას აღარ აძლევს რამდენიმე ათასი "საველე ავტომობილი" დაამზადოს ხელსაყრელ ვადებში. ავტომობილების მოდელების სწრაფ შეცვლამ იაპონელებს მისცა კიდევ უპირატესობა ევროპა-ამერიკასთან კონკურენციაში. ახალი მოდელის შექმნა,-კონვეიერის სისტემით მომუშავე საავტომობილო ქარხნებში, - ეყრდნობა რაც შეიძლება მეტი შრომის განაწილების პრინციპს. უაღრესად სპეციალიზებული ინჟინრები ამზადებენ მხოლოდ ერთ ნაწილს.

"ფოლკსვაგენ-ის", ამ ერთერთი საავტომობილო გიგანტის შეფმა - დანიელ გოდევერტმა - ამის შედეგები ასე აღწერა: "ყოველი სპეციალისტი ამზადებს სრულიად საუკეთესო ცალკეულ ნაწილს, მაგრამ როცა ამ ნაწილებს ერთად ვამონტაჟებთ, ან საერთოდ არ ვარგა, ანდა დაკავშირებულია წარმოუდგენელ დამზადების ხარჯებთან".

XII.

"გამხდარი საწარმოები" სხვა გზით მიდიან: წარმოების ხელმძღვანელობა ერთ "შეფს"=უფროს აძლევს ახალი მოდელის შემქნელთა "ბრიგადას"="ტიმ-ს"-დიდი უფლებამოსილებით. ეს "შუზა", როგორც მას იაპონელები უწოდებენ, უშუალოდ ემორჩილება "შეფს",რომელიც ქმნის პატარა "ტიმ-ს", რომელიც ახალი მოდელის შექმნამდე ერთად მუშაობენ. ამ "ტიმ-ის" შემადგენლობაშია სპეციალისტები მარკეტინგ-იდან, დიზაინ-იდან, კვლევისა და ტექნიკის განყოფილებიდან, მასალის განყოფილებიდან, პროდუქციის დაგეგმვისა და გაყიდვის განყოფილებებიდან. და თუ როგორ ეფექტურია ამგვარი "შუზა-ს"-სისტემა, ამის განსაცვიფრებელი დიაგრამა ასე გამოიყურება:

| 80-იან წლებში | ავტომობილი ახალი მოდელის დამზადებისათვის საჭირო იყო: | | |
|---|---|---|---|
| იაპონიაში | 1.700.000 საათი | შექმნის დროს ხანგრძლივობა: 46,2 თვე | "შუზა"="ტიმ-ში" მუშაობდა 485 ინჟ. |
| ევროპაში | 2.900.000 საათი | 57,3 თვე | 904 ინჟინერი |
| აშშ-ში | 3.100.000 საათი | 60,4 თვე | 903 ინჟინერი |

XIII.

რა თქმა უნდა, "გამხდარი პროდუქციის" აღნიშნული სისტემა, - ამერიკელი ექსპერტების აზრით, - კარგად ცნობილია და ამერიკის საავტომობილო ქარხნების

ნაწილი თანდათანობით გადადის ამ სისტემაზე, მაგრამ ეს მოითხოვს დიდ დროს. "ფოლკსვაგენს", მაგალითად, დიდი დავა და შეხლა-შემოხლა დაჭირდა, რომ გაეუქმებინა უაზრო გაყოფა პროდუქციასა და ხარისხის კონტროლს შორის, რადგან 6.000-იანი თანამშრომლების შეფი ილაშქრებდა ამგვარი რეორგანიზაციის წინააღმდეგ.

XIV.

იაპონელები დიდ საშიშროებას უქმნიან "ლუქსის"-ტიპის საავტომობილო ქარხნებს, როგორიც, მაგალითად, "მერცედეს-ბენცს", "ბე-ემ-ვეს", "ვოლვოს", "კადილაკს", თუ "იაგუარს", რადგან იაპონელები – როგორც ამერიკელი ექსპერტები წერენ, – "...უკეთეს ხარისხს აღწევენ, ერთადერთი გამონაკლისით ევროპაში". ეს გამონაკლისია "მერცედეს-ბენცი", მაგრამ მერცედეს სჭირია ოთხ-ჯერ-მეტი ხარჯები, შესაბამისი პროდუქციისათვის, ვიდრე იაპონელებს.

XV.

"გამხდარ პროდუქციის" წარმატებას, ამერიკელი სპეციალისტები თვლიან იმდენად მოწინავეთ, რომ ტრადიციულ კონვეიერის სისტემას უკვე მომავალი არ აქვს, რომ პასუხი გაეცეს მომავალი დეკადის იაპონელთა გამოწვევას. და ეს ეხება არა მარტო საავტომობილო ინდუსტრიის გარდაქმნის პრობლემებს. (წყარო: "შპ"., 15-1991 წ., და სხვ.).

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1991 წლის ივლისი

## ეკონომიკური უთანასწორობა სსრკ-აში

"გერმანიის ბანკის" გამოანგარიშებით, 1991 წელსაც დიდი ეკონომიკური უთანასწორობა არსებობს სსრკ-ს ცალკეულ რესპუბლიკებს შორის, რაც ეკონომიკური საშუალო გამოანგარიშებით, თითოეულ სულზე, ასეთ სურათს იძლევა :
(სსრკ-ს საშუალო ეკონომიკური პროდუქცია ცალკეულ სულზე განსაზღვრულია 100 პროცენტით):

1.ლატვია..............130 პროცენტი; 9.მოლდავეთი.........80 პროცენტი;
2.ესტონეთი............120 " ; 10.აზერბაიჯანი......80 " ;
3.ლიტვა...............115 " ; 11.ყაზახეთი.........75 " ;
4.რუსეთის ფედერაცია.....115 " ; 12.თურქმენეთი.......70 " ;
5.ბელორუსია...........115 " ; 13.ყირგიზეთი........60 " ;
6.საქართველო...........95 " ; 14.უზბეკეთი.........55 " ;
7.უკრაინა..............90 " ; 15.ტაჯიკეთი.........50 პროცენტი.
8.სომხეთი..............90 " ;

ამგვარად, "მდიდარი" რესპუბლიკებია ლიტვა-ლატვია-ესტონეთი, რომელთაც უახლოვდება რუსეთი და ბელორუსია. შუა აზიის რესპუბლიკები კი "ღარიბებია"; ხოლო საქართველო ეკონომიკურად ცოტად უფრო უკეთეს მდგომარეობაში ყოფილა.

მიუნხენი, "ზც", 20.8.1991 წ.

## "ტურიზმის ინდუსტრია"

ტურიზმს, უკვე დიდი ხანია, უწოდებენ "ინდუსტრიას", რადგან "ტურიზმისაგან შემოსავალი", ზოგიერთ ქვეყანაში, პირველ ადგილზეა მთელს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

1989 წლის შემოსავალი ტურიზმისაგან, ევროპის ქვეყნებში, ასეთ სურათს იძლევა:

1.საფრანგეთმა ტურიზმით მიიღო 1989 წელს - 16,5 მილიარდი დოლარი;
2.ესპანეთმა..........................16,3 " " ;
3.დიდბრიტანეთმა.......................11,2 " " ;
4.ავსტრიამ............................9,3 " " ;
5.გერმანიამ(დასავლეთმა)................8,7 " " ;
6.შვეიცარიამ...........................5,6 " " ;
7.ბელგია-ლუქსემბურგმა..................3,1 " " ;
8.ჰოლანდიამ............................3,0 " " ;
9.პორტუგალიამ..........................2,6 " " ;
10.თურქეთმა............................2,6 " " ;
11.შვეციამ.............................2,5 " " ;
12.დანიამ..............................2,3 " " ;

13.იუგოსლავიამ..........................2,2 " " ;
14.საბერძნეთმა...........................2,0 " " ;
15.ნორვეგიამ..............................1,3 " " ;
16.ირლანდიამ..............................1,1 მირიარდი დოლარი;
17.ფინეთმა.................................1,0 მილიარდი დოლარი.

მიუნხენი, "ზც",29.7.1991 წ.

"დიდი ხუთის" ეკონომიკური პროგნოზი

"ხუთი დიდის" - აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი - ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 1992 წლისათვის, ასეთ სურათს იძლევა:

| | ზრდა | ინფლაცია | უმუშევრობა | დავალიანება |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 პროც. | 4 პროც. | 6,3 პროც. | - 92 მილიარდი დოლარი; |
| იაპონია | 3,4 " | 2,7 " | 2,2 " | + 59,4 " ; |
| გერმანია | 2 " | 3,5 " | 5,9 " | + 9,4 " ; |
| საფრანგეთი | 2,4 " | 3 " | 9,7 " | - 8 " ; |
| დიდი ბრიტანეთი | 2,4 " | 3,8 " | 9,5 " | - 12,3 მილიარდი დოლარი. |

პარიზი,"ფიგარო",1991 წლის 12 ოქტომბერი

ქართული სათვისტომოების ყოფა-ცხოვრება

26 მაისი პარიზში

1991 წლის 11 მაისს, პარიზში, ბულონის ქალაქის საბჭოს შენობის დიდ დარბაზში, ჩატარდა ჩვენი ეროვნული დღესასწაულის - 26 მაისის - საზეიმო საღამო, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო, მათ შორის, უცხოელი სტუმრები.

საზეიმო საღამო მოკლე სიტყვით გახსნა სერგო მელიავამ, საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 26 მაისი დღეს განსაკუთრებული შინაარსით აღინიშნება, რადგან საქართველოს უზენაესმა საბჭოს, 1991 წლის 9 აპრილს, გამოაცხადა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ისევ-აღდგენა, რითაც - იურიდიულად - საქართველო ისევ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, თუმცა იურიდიულად საქართველო ბოლშევიკური ბატონობის დროსაც დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ფაქტიურადაც მალე განხორციელდება. ჩვენი ეროვნული ჰიმნის "დიდების" შესრულების შემდეგ, რასაც განსაკუთრებული ხასიათი მიეცა, მის შესრულებაში ქართული მომღერლების მონაწილეობით, რომლებიც გასტროლებზეა საფრანგეთში, - სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ - პროფესორმა გურამ მუჩაიძემ, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა პარიზში. მან მოკლედ მოხაზა საქართველოს დღევანდელი რთული მდგომარეობა და გამოთქვა იმედი,რომ საქართველოს მალე სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის მიღწევას შეძლებს ფაქტიურადაც.

26 მაისის ეროვნული დღესასწაულის ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ, გაიმართა ჩვეული ქართული წვეულება, რომლის დროს არაერთი სიტყვა-სადღეგრძელო წარმოითქვა. ამ ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს კი განსაკუთრებული შინაარსი შთაბერა ქართული მომღერალი გუნდის მიერ ჩვენი ეროვნული სიმღერების შესრულებამ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველი მომღერლებიც პარიზიდან.

გვირგვინის დასვენება ტრიუმფის ჭიშკართან პარიზში

ქართული სათვისტომოს მეთაურობით, ქართველ ვეტერანთა საზოგადოებამ, 1991 წლის 25 მაისს, გვირგვინი დაასვენეს პარიზის ტრიუმფის ჭიშკართან,

ეტუალზე, სადაც გიზგიზებს "მარადიული ალი "უცნობი ჯარისკაცის" საფლავ-აკლდამაზე. მრავალ ქართველთა შორის იყვნენ აგრეთვე ფრანგთა სხვადასხვა ვეტერანთა წარმომადგენლები, რომლებმაც ერთად - გაშლილი დროშებით - მწყობრად მივიდნენ "უცნობი ჯარისკაცის" აკლდამასთან, დაასვენეს იქ გვირგვინები და, მუსიკის ხმაზე, დაარჭეს ალმები საფრანგეთისა და საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა მოსახსენებლად. ამის შემდეგ, მონაწილეებმა თავიანთი სახელი და გვარი ჩაწერეს "მემორიალურ წიგნში", რომელიც, ტრადიციის შესაბამისად, ინახება ტრიუმფის ჭიშკარის მუზეუმში.

## ქართული სათვისტომოს არჩევნები საფრანგეთში

1991 წლის 8 ივნისს, პარიზში, ჩატარდა ქართული სათვისტომოს რიგგარეშე საერთო კრება, რომელსაც ბევრი სალხი დაესწრო. კრება გახსნა ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ საფრანგეთში - ბატონმა ხერუ მელიავამ, რომელმაც რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა დაასაბუთა, რომ საჭიროა პარიზის წმ. ნინოს ეკლესიის შენობის თვით ეკლესიის მმართველობაში გადაწერა, რადგან წმ.ნინოს ქართული ეკლესია ნაყიდია ქართული სათვისტომოს მიერ და დღემდე მის საკუთრებას წარმოადგენს.

კრებამ კრების თავჯდომარედ აირჩია ბატონი მიშელ ვოლე-გოგიჭიძე, მდივნად კი ბატონი ოთარ პატარიძე.

დღისწესრიგის დამტკიცების შემდეგ, ქართული სათვისტომოს საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება ქართული წმ.ნინოს ეკლესიის ნაგებობით გადაცემის შესახებ წმ.ნინოს ეკლესიის საკუთრებაში. ქართულმა სათვისტომომ წმ.ნინოს ეკლესიის ნაგებობა გადასცა ეკლესიის კომიტეტს ნომინალური ერთი ფრანკის ფასად; ნაგებობის ღირებულება კი შეფასებულ იქნა 306.000 ფრანკად. ამ დადგენილების განხორციელება კი კრებამ დაავალა ქართული სათვისტომოს თავჯდომარეს საფრანგეთში.

ქართული სათვისტომოს საერთო კრება შემდეგ შეუდგა დღის-წესრიგის საკითხების განხილვას. ბატონმა ხერუ მელიავამ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ქართული სათვისტომოს მოღვაწეობის შესახებ გასული ორი წლის განმავლობაში, და მადლობა გამოუცხადა, საერთოდ, ქართული სათვისტომოს შემადგენლობას, რომ მათ დიდი ფულადი დახმარება გაუწია სათვისტომოს, რომლითაც შესაძლებელი გახდა სათვისტომოს გამგეობის სასარგებლო მოღვაწეობა. განსაკუთრებით მან ხაზი გაუსვა ქართულ ძმათა სასაფლაოს მოვლა-პატრონობას და აგრეთვე იმ ქართველთა გადმოსვენების საქმეს, რომლებიც დაკრძალული არიან ქალაქ აზონვანში და სათვისტომოს სურს მათი გადმოსვენება ლევილის ქართულ სასაფლაოზე. ბატონმა ხერუ მელიავამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საჭიროა ჩვენი ემიგრაციის პირველი თაობის საქმის განგრძობა და ჩვენი ეროვნული ტრადიციების მოვლა-პატრონობა, თუმცა აღნიშნა, აგრეთვე, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მეორე და მესამე თაობიდან მხოლოდ ზოგიერთები თუ ლაპარაკობენ ქართულად; და ეს გამომჟღავნდა ქართული ემიგრაციის სათვისტომოს ამ საერთო კრებაზეც, რომელსაც ქართულად არავის სიტყვა არ წარმოუთქვამს, რაც, გასაგებია, სავალალოა, მაგრამ ფაქტია.

სათვისტომოს თავჯდომარემ შემდეგ შეეხო ქართველთა შეხლა-შემოხლას განსაკუთრებით ფრანგული დიდი გაზეთის "ლე მონდის" ფურცლებზე საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, რასაც მოყვა აღელვებული შეხლა-შემოხლა ბატონ ოთარ ზურაბიშვილსა და ხერუ მელიავას შორის; შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ქალბატონმა ლია ვოლე-გოგიჭიძემ, ბატონმა ჟან ციციშვილმა და სხვებმა, რაც დამთავრდა იმგვარი შეთანხმებით, რომ ამ საკითხზე სათვისტომოში დავა უადგილოა, და თვით სათვისტომოს თავჯდომარემ ამ პრობლემაზე დავა დამთავრებულად გამოაცხადა - უკან წაიღო რა მის მიერ წამოყენებული ბრალდებები. აქ კი, როგორც ამ საერთო კრების მონაწილე, შევნიშნავ, რომ ქართული ემიგრაციის სათვისტომოს მართვა-გამგეობაში "სიახლეები" იმ დღიდან წარმოიშვა, როცა პოლიტიკური პარტიების მიერ, ე.ი. ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის პირველი თაობის მიერ შექმნილი წესი და რიგი - გაუგებარი მიზეზების გამო - ერთბაშად გაუქმებულ იქნა, რასაც მოყვა ის, რომ დღეს არავინ არც კი იცის

თუ რა პოლიტიკური მიმართულების არიან სათვისტომოსგამგეობაში არჩეული პირებით და თვით სათვისტომოს თავჯდომარეც კი. ეს კი "სიძნელეებს" ქმნის, - მეტი რომ არ ვთქვათ, -, რადგან პოლიტიკური პარტიების გარეშე პოლიტიკის წარმოება, თვით "არა-პოლიტიკური" ორგანიზაციის სათვისტომოს ჩათვლით, - შეუძლებელია. ვინ "აწყობდა" და ვინ "აწყობს" ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პოლიტიკური პარტიების გამოთიშვა ჩვენი სათვისტომოს ცხოვრებიდან, - ჩვენთვის გაუგებარია. ამას ემატება კიდევ ის ფაქტი, რომ სათვისტომოს საერთო კრება ირჩევს სათვისტომოს გამგეობას, მაგრამ არა სათვისტომოს თავჯდომარეს, რაც ახე დიდი მნიშვნელობის პიროვნებაა. სათვისტომოს თავჯდომარეს კი ირჩევს არჩეული გამგეობა თავისი წრიდან, რომელზეცაც საერთო კრებას, ე.ი. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სათვისტომოს წევრებს, არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია.

და ასეთი წესით ჩატარდა ქართული სათვისტომოს გამგეობის არჩევნებიც 1991 წლის 8 ივნისს, რომლის დროს გამგეობაში არჩეულ იქნენ - ქალბატონები - ელიკო წერეთელი, ელისაბედ ქემულარია, ელისო ცარახაშვილი, ნინა ბერეკაშვილი და ლია ჟოლე-გოგიტიძე; ბატონები - გია სარჯველაძე, რემონ რენარი, ოთარ ზურაბიშვილი. გამგეობას კი ქართული სათვისტომოს თავჯდომარე საფრანგეთში აურჩევია

ვუსურვოთ ქართული სათვისტომოს ახალ გამგეობასა და გამგეობის შემადგენლობას წარმატებები მომავალ მუშაობაში.

კ.ი., პარიზი, 1991 წლის ივნისი

## პ ა ნ ა შ ვ ი დ ი წმ. ნინოს ეკლესიაში

1991 წლის 26 მაისს, პარიზის წმ. ნინოს ეკლესიაში ჩატარდა ჩვენი ეროვნული დღესასწაულის - 26 მაისის - საპატივცემლო წირვა, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო. წმინდა ნინოს ეკლესიის ბერძენმა მოძღვარმა - მეთოდიოსმა - და დიაკონმა არჩილმა, შთამაგონებლად ჩაატარეს წირვა-ლოცვა, რომელსაც აცილებდა ქართულ მგალობელთა გუნდი.

განსაკუთრებული სიფაქიზით აღნიშნულ იქნა, როგორც ყოველწლიურად, საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა მოსახსენებელი პანაშვიდი, რომლის დროს მგალობელთა გუნდმა - ტრადიციის მიხედვით - შეასრულა ჩვენი ეროვნული ჰიმნი "დიდება".

## ბერძენთა და ქართველთა შეხვედრა

პარიზის წმ.ნინოს ეკლესიის მოძღვარის მეთოდიოსის ხელმძღვანელობით, 1991 წლის 26 მაისს, საღამოს, პარიზის წმ.ნინოს ეკლესიის მრევლი და პარიზის წმინდა კონსტანტინესა და ელენეს ბერძნული ეკლესიის მრევლი შეხვდენ ერთმანეთს წმ.კონსტანტინესა და ელენეს ეკლესიაში, სადაც აღნიშნულ იქნა წმ.მეთოდიოსის სახელის ხსენების დღე. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა მამა მეთოდიოსმა ბერძნულად, რომელსაც მთარგმნელი თარგმნიდა ფრანგულა. შესანიშნავი საპასუხო სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე წმ.ნინოს ქართული ეკლესიის გამგეობის თავჯდომარემ ბატონმა ტარიელ ზურაბიშვილმა. შემდეგ ჩატარდა წირვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბერძნულმა მგალობელთა გუნდმა და წმ.ნინოს ქართული ეკლესიის მგალობელთა გუნდმა.

ამ ოფიციალური ქართველთა და ბერძენთა მლოცველების შეხვედრის შემდეგ, იქვემდებარე დარბაზში გაიმართა წვეულება, რომელიც გამოირჩეოდა ბერძნული სამზარეულოს მრავალფეროვანებითა და ტიპიური კერძებით თუ ნამცხვრებით, რამაც მოგვაგონა ქართული გულუხვი და მრავალფეროვანი სუფრა.

ბერძენთა და ქართველთა ამ მეგობრული შეხვედრისას, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იმ მდგომარეობამ, რომ ოფიციალური სიტყვები მხოლოდ ბერძნულად იქნა წარმოთქმული, რომელსაც მთარგმნელი თარგმნიდა. შეიძლება, ეს მაგალითის მომცემია ქართველთათვის არა მარტო პარიზში, არამედ უცხოეთში საერთოდ.

- . - . - . - . -

## "ქართული სახლი" პარიზში

რადგან "მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგიას არავითარი წერილობითი საბუთი არ გააჩნია პარიზის "ქართული სახლის" შესახებ, გაწვდით ცნობას, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკიდან", რომელიც გამოქვეყნებულ იქნა ამ გაზეთის 1991 წლის 6 ივლისის ნომერში. აი, ამონაწერები ამ ცნობიდან:

"ქართული სახლი" პარიზში გაიხსნა 1991 წლის 6 ივლისს, რომლის "...დამარსებელი და ხელისშემწყობი გახლავთ ჩვენი თანამემამულე ბატონი რამაზ პაპუაშვილი". "...ბატონი რამაზ პაპუაშვილი მეტად საინტერესო პიროვნებაა, ცნობილი ბიზნესმენი ერთგულად ასრულებს მამის ანდერძს: "ყველაფერს მიანებე თავი და რაიმე კარგი გააკეთე საქართველოსათვის".

"'ქართულ სახლს' 300 კვადრატული მეტრი ფართი უკავია მონპარნასის საკმაოდ ცნობილ უბანში...აქ განხორციელდება ყოველგვარი კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები, რასაც საქართველოს მხრიდან კოორდინაციას გაუწევს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც ასევე ამ სახლის საპატიო კომიტეტის წევრად ითვლება."

"პარიზის ქართულ სახლში გაიმართება პრეს-კონფერენციები, ხოლო აქვე არსებული პატარა რესტორანი უცხოელ ჟურნალისტებსა და საზოგადო მოღვაწეებს გაუმასპინძლდება ქართული კერძებით".

"ბატონმა რამაზმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ მას აქვს დიდი ნუსხა იმ ფრანგული საწარმოებისა, რომლებიც მზად არიან საქართველოში ერთობლივი საწარმოების შესაქმნელად. ეს ნუსხა მოიცავს ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს".

ჟურნალ "მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგია უსურვებს ამ მეტად საჭირო ეროვნულ წამოწყებას, და ისიც მსოფლიოს ისეთ დიდ ცენტრში პარიზში - წარმატებებს საქართველოს, ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

მხოლოდ ერთი შენიშვნა: კარგი იქნებოდა, რომ ცნობილი იყოს ამ "ქართული სახლის" დაფინანსების საქმეც, რომ ბოლო მოეღოს ათასგვარი ხმების გავრცელებას არა მარტო პარიზში.

კ.ი., პარიზი, 1991 წლის 6 ივლისი

---

## "ბალის დღესასწაული"
## ლევილის ქართულ მამულში 1991 წლის
## 9 ივნისი, კვირა

1991 წლის 9 ივნისს, კვირას, პარიზთან ახლომდებარე დაბა ლევილის ქართულ მამულში, როგორც ყოველწლიურად, ჩატარდა "ბალის დღესასწაული", რომელსაც ყოველ წელს, ქართულ მამულში, მართავს ლევილის წმინდა იოანეს ნათლისმცემლის სამწყსო, რომელსაც ესწრება დაბა ლევილის მცხოვრებლები და სტუმრები.

მიმდინარე წლის "ბალის დღესასწაულის" პროგრამაც ისე მრავალფეროვანი და შთამაგონებელი იყო, როგორც ყოველთვის: 8 საათსა და 10 წუთზე, სამწყსოს რჩევით, საუზმე სახლში, ფრანგებისათვის მეტად ტიპიური, "ცხელი კრუასანით", ე.ი. "ნახევარი მთვარის" ფორმის ნამცხვარით; 11 საათზე წირვა მინდორზე; 12 საათზე - სადილი ლევილის ქართული მამულის ბაღში; 15 საათიდან 18 საათამდე ხალხური ცეკვები, ლოტერია, მწვადები, ტირში შეჯიბრება, სხვადასხვა სახის თამაშები; ყვავილები; საჩუქრები, თუ "ტომბოლას" ლოტერიის გათამაშება.

გასაგებია, "ბალის დღესასწაულში" არა მარტო მაცოში მცხოვრები ქართველებიც ღებულობენ მონაწილეობას; და მიმდინარე (1991) წლის დღესასწაულიც მშვენივრად ჩატარდა ამ შესანიშნავ ქართულ მამულში საფრანგეთის მიწაზე.

კ.ი., ლევილი, 1991 წლის 9 ივნისი

## ორი წინადადება

### ლევილის ქართულ მამულთან და "ბალის დღესასწაულთან დაკავშირებით

ლევილის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამწყსო, როგორც აღვნიშნეთ, ყოველწლიურად, ივნისში, აღნიშნავს "ბალის დღესასწაულს" ლევილის, როგორც

თვით ლევილელები ამბობენ, "ქართველთა მაურს პარკში", ე.ი. ლევილის ქართული მამულის ეზოში, რომელიც მიმდინარე(1991)წელს ჩატარდა 9 ივნისს, კვირას. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ორი წინადადება:

## ბალის დღესასწაული

"ბალის დღესასწაულს" ლევილში უკვე დიდი ტრადიცია აქვს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმითაც, რომ მას ლევილის ფრანგი მოსახლეობა ლევილის ქართული მამულის ეზოში მართავს, რომელიც უკვე თითქმის 70 წელიწადია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას წარმოადგენს, და დღეს ქართველთა თავშესაფარია. "ბალის დღესასწაულს" კი საერთო სახალხო დღესასწაულის ხასიათი აქვს, რომლის დროს დილით წირვა ტარდება ლია ცის ქვეშ, შუადღეზე სადილი იმართება პატრს პარკში, ხოლო ნაშუადღევიდან საღამომდე - აქ წარმოადგენენ ხოლმე ხალხურ ცეკვებს, ჩარდება შეჯიბრება ტირში, და ტარდება სხვადასხვა სახის გამოფენები თუ გართობა-თამაშები.

უნდა აღინიშნოს ის ისტორიული ფაქტი, რომ ბალი საერთოდ ევროპაში ჩამოიტანა რომაელმა სარდალმა ლუკულუს ლუციუს ლუცინიუსმა იბერიიდან, ე.ი.საქართველოდან, როცა ის, მისი ლეგიონებით, იბრძოდა პონტოს მეფის მითრიდატის წინააღმდეგ. პონტოს სამეფო მდებარეობდა "ჩრდილო-აღმოსავლეთში მცირე აზიაში, შავი ზღვაზე"(BORDAS, Time III., Paris I968,P.2763),რომელმაც "...თანდათანობით მიიერთა შავი ზღვის...სანაპიროს მცხოვრები ბერძნები და აღმოსავლეთ საზღვრებზე მცხოვრები ტომები: ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, სადიბები, სანები, სასპერები და სხვა ქართველური ტომები...ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის 90-იან წლებშიმითრიდატე VI ევპატორმა შემოიერთა კოლხეთი". (ქ.ს.ე.,ტ. 8,გვ.158). ბერტოლდ ბრეხტი (Bertolt Brecht:"Das Verhoer des Lukullus"; Das Hoerspiel) ამბობს, რომ რომაელმა მხედართმთავარმა ლუკულუსმა მოიტანა ბალის ნერგები იბერიიდან (Ibérie, nom doné: I. à la partie nord de l'Espagne... 2. à la Géorgie caucasienne, au sud du Caucase,territoire approximatif actuel de la R.S.S. de Géorgie". Ibidem) ევროპაში, რასაც თვლის, სამართლიანად, დიდ დადებით მოვლენად კაცობრიობის ისტორიაში. (Lucullus,Lucius Licinius,IO6-57 av. J.-C.).

## აქედან ჩვენი პირველი წინადადება:

ვთხოვთ, პარიზის წმ. ნინოს ქართული ეკლესიის სამწყსოს კომიტეტსა და სასულიერო პირებს - მოძღვარს მეთოდიოსსა და დიაკონ არჩილს- მოლაპარაკონ ლევილის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამწყსოს, რომ მომავალ 1992 წელს "ბალის დღესასწაული" ლევილის ქართულ მამულში გაიმართოს ლევილის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისა და პარიზის წმ.ნინოს ეკლესიის მფარველობის ქვეშ, რომლის დროს საფრანგეთში, განსაკუთრებით პარიზსა და ლევილში მცხოვრებ ქართველობასაც მიეცემა საშუალება მონაწილეობა მიიღოს ამ შესანიშნავ ბალის დღესასწაულში. ლევილის ეკლესია კი ქართველობასაც უწევს მომსახურებას.

აქვე გვსურს შევნიშნოთ, რომ საფრანგეთში დიდი ტრადიცია არსებობს ანალოგიური დღესასწაულების გამართვა-ჩატარებისა ქვეყნის ყოველ კუთხეში. მაგალითად, ლევილში "ბალის დღესასწაული", ხოლო მის მახლობლად-მდებარე დაბაში ტარდება "პამიდორის დღესასწაული", და ასე შემდეგ, რაც თავისებური "მოსავლის დღესასწაულის" ხასიათს ღებულობს. ვითომ ჩვენ, საქართველოში გაგვაჩნია ამგვარი დღესასწაულები?.. და თუ არ გაგვაჩნია, ვითომ ამგვარი ტრადიციის დამკვიდრება საქართველოში სასურველი არ არის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამგვარი დღესასწაულები ხოტბას ასხამს ბუნებას და ადამიანის შრომას, და შრომა ხომ აკეთილშობილებს ადამიანს, გვარს, ტომს ერს, ქვეყანას?..

## ქართველთა და ფრანგთა მეგობრობა

ქართველთა და ფრანგთა მეგობრობის საილუსტრაციოდ,ერთი ისტორიული ფაქტი, რომელიც აკავშირებს საქართველოს, ქართველ ხალხს საფრანგეთთან, საფრანგეთის ხალხთან:(A.Manvelichvili:Histoire de la Géorgie,Paris I95I, p.I68). დავით აღმაშენებელმა, როგორც ცნობილია, 1121 წლის 14 აგვისტოს, თავისი 80-ათასიანი ჯარით, სასტიკად დაამარცხა 300-ათასიანი ჯარი, ალეპოს სულთანის ნეჯმ-ედინ-ელღაზის მთავარსარდლობით დიდგორში, რაც, ამ შემთხვევაში, საყურადღებოა იმით, რომ დავით აღმაშენებლის ჯარში, დიდგორში, იბრძოდა 200-სი ფრანგი ჯვაროსანი; ქართული წყაროებით კი 1000-სი ფრანგი ჯვაროსანი, რითაც დასავლეთ ევროპამ სიმბოლიურად მონაწილეობა მიიღო მუსლიმანთა კოალი-

ციური ჯარის დამარცხებაში, რაც ფრანგთა და ქართველთა მეგობრობის ერთერთ უძველეს ისტორიულ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს.

აღნიშნულ ფაქტებს ემატება კიდევ ერთი უახლესი ფაქტი, როცა საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ - ნოე ჟორდანიას მეთაურობით - ლევილში შეისყიდა "ლევილის ქართული მამული", რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებაა და რომელიც, აგერ უკვე თითქმის 70-ი წელიწადია, გახდა ფრანგთა და ქართველთა მეგობრობის ცენტრი.

აქედან გამომდინარე მეორე წინადადება:

ვთხოვთ, ლევილის ქართული მამულის ადმინისტრაციას დაამყაროს კავშირი ლევილის მერიასთან=დაბის საბჭოსთან იმ მიზნით, რომ ლევილი და სოფელი დიდგორი (დიღომის სოფსაბჭო) დაძმობილდნენ, ე.ი. დიდგორის(დიღომის) სოფლის წარმომადგენლები და ლევილის მერიის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს, დადონ დაძმობილების ხელშეკრულება, რაც გზას გაუხსნის ურთიერთ მიმოსვლას ფრანგებსა და ქართველებს შორის. აქვე აღსანიშნავია "ბაღის დღესასწაულთან" დაკავშირებითაც ის ისტორიული ფაქტი, რომ დიდგორში, ყოველი წლის 7(20) მაისს იმართებოდა სახალხო რელიგიური დღესასწაული ქართლში "დიდგორობა", რომლის დროს დიდგორის მთის სამხრეთ კალთაზე და დიდგორის ველზე იმართებოდა "დიდგორობა", რომელზედაც მოდიოდნენ დიღმის ხეობის, ქართლ-კახეთის ზოგიერთი სოფლისა და თბილისის მცხოვრებნი, რომლებთაც შორის იყვნენ ხელოსნები და ვაჭრებიც. და "ლევილის ბაღის დღესასწაული", "დიდგორობა" სოფელ დიდგორში და თვით ქართველთა და ფრანგთა ისტორიული ბრძოლა დიდგორში 1121 წლის 14 აგვისტოს რომ დაუშრეტელი შეხვედრების თუ დღესასწაულების საბაბი შეიძლება გახდეს, - ეს თავისთავად ნათელია.

ყველაფერი ეს კი გახდებოდა სიმბოლო იმ დიდი მეგობრობისა, რომელიც აკავშირებს ფრანგ და ქართველ ხალხებს არა მარტო აღნიშნული ისტორიული ფაქტებით. ამგვარად, ლევილ-დიდგორის დაძმობილება, "ბაღის დღესასწაულის" ერთობლივი გადახდა ლევილის ქართულ მამულში, გახდებოდა აგრეთვე იმ დიდი მადლობის გამოხატვაც, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი ქართველი, განსაკუთრებით საფრანგეთში მცხოვრები ქართველები, რომლებმაც "მეორე სამშობლო" ჰპოვეს საფრანგეთში.

ვისურვოთ, რომ ფრანგ-ქართველთა მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და განმტკიცების აღნიშნული წინადადებანი განხორციელდეს, რაც შეიძლება მოკლე დროში. თუ რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამ მიმართულებით, ამას, გვჯერა, ერთად შეიმუშავებენ ლევილის მერი და ლევილის ქართული მამულის ადმინისტრაცია, ლევილის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისა და პარიზის წმ.ნინოს ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობასთან ერთად.

მაშ, დიდება საფრანგეთს!..
დიდება საქართველოს!..
დიდება მეგობრობას ფრანგ და ქართველ ერებს შორის!..

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1991 წლის 9 ივნისი
ლევილის "ბაღის დღესასწაული"

## საუკუნო იყოს ხსენება მათი

ნიკოლოზ(კოლია) სადარიძე გარდაიცვალა 1991 წლის 13 მაისს ლევილში. დაკრძალულ იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე. 1991 წლის 5 მაისს ის გახდა 76 წლის.

მელიტონ ყლენტი,1991 წლის 16 ივლისს,გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, სოშომონბელიაში(საფრანგეთი).

გიორგი გრიგოლაშვილი,1991 წლის 28 აგვისტოს, გარდაიცვალა 87 წლის ასაკში და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე.

საუკუნო იყოს ხსენება მათი.

- . - . - . - . - . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

Paroisse Saint-Jean-Baptiste de Leuville

# FÊTE DES CERISES

DIMANCHE 9 JUIN 1991

## LEUVILLE-SUR-ORGE

Parc du Château des Georgiens, Place des F.F.I.

### Programme de la journée

- 8 à 10 h. Croissants chauds à domicile
- 11 h. Messe en plein air
- 12 h. Apéritif concert

Déjeuner dans le Parc - Grand Loto

- 15 à 18 h. LE RÉVEIL LEUVILLOIS

LES CORALINES

Danses folkloriques

Nombreux STANDS - Loterie - Brochettes - Crêpes
Bar - Chamboultout -
JEUX DIVERS -
FOIRE AUX LIVRES
Concours de TIR -

FLEURS.
BROCANTE.

TIRAGE DE LA TOMBOLA

---

## პ ა ა ტ ა  ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

### სამაგალითო ხელოვანი და მოქალაქე

I.

"პაატა ბურჭულაძე - სამაგალითო მომღერალი და მოქალაქე" - აი, ეს აზრი დამებადა, როცა 1991 წლის 19 ივნისს დავესწარი მის კონცერტს პარიზის "ოპერა-ბასტილიის" უშველებელ საოპერო თეატრის დიდ დარბაზში. და, მართლაც, პაატა ბურჭულაძე შესანიშნავი, "ბუნებრივი მოვლენაა" როგორც მომღერალი და როგორც მოქალაქე, რაც, სულ ცოტა, როგორც მოქალაქე ყოველ ქართველს, სადაც არ უნდა იყოს იგი, მაგალითის მიმცემია. მაგრამ შევჩერდეთ ჯერ მის პიროვნებაზე, როგორც დიდ ხელოვანზე.

II.

პაატა ბურჭულაძე, როგორც დიდი ხელოვანი, როგორც "მეორე შალიაპინი", დიდი დირიჟორის - ჰერბერტ ფონ კარაიანის თქმით, - უკვე ცნობილია მთელს მსოფლიოში და მისთვის ღიაა სკალას, კოვენტ გარდენის, მეტროპოლიტან ოპერას თუ პარიზის ოპერის კარები, რის ერთერთი კულმინაციური წერტილია, თუ გნე-

ბათ, პაატა ბურჭულაძის სოლო-კონცერტი პარიზის ახალ ოპერა-ბასტილიაში, რომელშიც ნოემბერში ორი თვითაა მიწვეული.

III.

საქართველოში ხომ უკვე ყველა კარგად იცნობს ამ ჩვენს საამაყო ხელოვანს: დაიბადა თბილისში; 1972 წლიდან სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში; შემდეგ მილანოში, სადაც ის იყო ჯიულეტა სიმიონატოს, ბელტრანისა და მიულერის მოწაფე. 1981 წელს კი მიანიჭეს მას პირველი პრემია ვერდის კონკურსში, ბუსეტოში; შემდეგ თბილისის, მოსკოვის, ლონდონის კოვენტ გარდენის, ნიუ-იორკის მეტროპოლიტან ოპერის, ვენის ოპერები, თუ საერთაშორისო ფესტივალები, მათ შორის მოცარტის ქალაქის ზალცბურგის ფესტივალი. მისი პარტნიორები სცენაზე იყვნენ მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი მომღერლები, მათ შორის, ლუჩიანო პავაროტი და დიდი დირიჟორები, მათ შორის ჰერბერტ ფონ კარაიანი, რომლის გამონათქვამია, რომ პაატა ბურჭულაძე "მეორე შალიაპინიაო".

IV.

პაატას ბანი მართლაც "ბუნებრივი მოვლენაა", მაგრამ მას გააჩნია დიდი მხატვრული ნიჭი და ოსტატობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს, მისი შესანიშნავი ხმა ჩააყენოს "მიმიკური გამოსახვის" სამსახურში, რომლის დროს ჩვენს წინ დგას ის ადამიანი, რომელსაც ის განასახიერებს - არის ეს "აიდაში" რამხეს, "დონ ჯიოვანში" ლეპორელო, ბანკო "მაკბეთში" თუ ბორის გოდუნოვი. ეს კი მის ბუნებისაგან მობოძებულ ბანს ადამიანის მთელი სხეულის გამოსახვის სამსახურში აყენებს, რაც იპყრობს მაყურებელ-მსმენელს. ამით აიხსნება ის, რომ საფრანგეთის ნაციონალურმა აკადემიამ მას მიანიჭა პრესტიჟული პრემია - "ოქროს ორფეოსი 1987 წელს".

V.

ამდენად, პაატა ბურჭულაძე, ჩვენს დიდ ხელოვანებთან ერთად, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს, როგორიცაა, მრავალთა შორის, ვთქვათ, ლიანა ისაკაძე, რობერტ სტურუა, ოთარ იოსელიანი, გიორგი შენგელაია თუ ილიკო სუხიშვილისა და ნინა რამიშვილის მოცეკვავეთა ანსამბლი, საერთაშორისო მასშტაბით, ასე ვთქვათ, "პირველი მერცხალი" იყო. და გვჯერა, რომ პაატა ბურჭულაძე კიდევ ბევრ მეგობარს შესძენს საქართველოს თავისი დიადი ხელოვნებით.

VI.

მაგრამ პაატა ბურჭულაძე სამაგალითო ხელოვანია არა მარტო როგორც მომღერალი, არამედ აგრეთვე როგორც მოქალაქე: დაუვიწყარი დარჩება მისი სა-ერთა-შორისო მასშტაბის კონცერტი შვეიცარიის ქალაქ ლოზანში - მსოფლიოს შესანიშნავი მომღერლების მონაწილეობით - ქართველ ბრმა ბავშვთა დასახმარებლად. აქ კი დიდი ხელოვანი დიდ მოქალაქეობრივ უნარიანობას იჩენს, და ამით სამაგალითო ხდება როგორც მოქალაქეც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საქართველო, ქართველი ხალხი, როგორც ჩვენს გაზეთებში ვკითხულობთ, დიდად აფასებს პაატა ბურჭულაძეს როგორც დიდ ხელოვანს და როგორც დიდ მოქალაქეს.

ვუსურვოთ მას კიდევ მეტი წარმატებები, როგორც ხელოვანს და როგორც მოქალაქეს. მრავალჟამიერ!..

კ.ი., პარიზი, 1991 წლის 19 ივნისი

## აგვისტოს აჯანყების 67 წლისთავი

პარიზის ახლომდებარე ლევილის ქართულ მამულში, 1991 წლის 15 სექტემბერს, კვირას, აღინიშნულ იქნა 1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყების 67 წლისთავი. ჯერ, დიდმა საზოგადოებამ თავი მოიყარა ლევილის ეკლესიაში, სადაც ჩატარდა 1924 წლის აჯანყებაში დაღუპულთა სულის მოსახსენებელი წირვა; შემდეგ, მლოცველები მივიდა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე, სადაც ჩატარდა აგრეთვე წირვა ქართველთა სულის მოსახსენებლად, რომლებიც განისვენებენ ამ წმინდა პანთეონში.

სადილობისას, ქართულმა საზოგადოებამ და ქართველთა სტუმრებმა თავი მოიყარეს ლევილის ქართული მამულის შატოს მთავარ დარბაზში, სადაც ჩატარდა აგვისტოს აჯანყების აღსანიშნავი თავყრილობა, რომლის დროს შთამაგონებელი სიტყვა წარმოსთქვა ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ საფრანგეთში, ქალბატონმა დია ვოდე-გოგუაძემ. და-ბოლოს გაიმართა ტრადიციული ქართული წვეულება, რომლის დროს, მზიანი დღის წყალობით, სუფრა შატოს წინ, ეზოში გაიშალა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ აგვისტოს აჯანყების 67 წლისთავის აღნიშვნას, არაერთი სტუმარი დაესწრო საქართველოდან.

- . - . - . - . - . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Conseil National Géorgien

## ქართული ეროვნული საბჭო

"ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით. ქართული ეროვნული საბჭო თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა '26 მაისის იდეებს', განსაკუთრებით კი 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა' და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის(ძირითადი კანონის) დებულებებს".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი მესამე

"ქართული ეროვნული საბჭო თავისთავს დაშლილად გამოაცხადებს, როცა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ისევ-აღსდგება '26 მაისის იდეა', ე.ი. გამოცხადებულ იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი ოცდამეორე

Conseil National Géorgien
Chateau de Leuville
91310 - Leuville sur Orge
FRANCE

გ თ ხ ო ვ თ

გამოსაქვეყნებელი მასალები, წერილები და შემოწირულებანი გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

M. Mamia Berichvili
"La Géorgie Combattante"
CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
F r a n c e

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

ოქტომბერი 1991 - Nr. 10(28) - octobre 1991

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდვარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი,1952,პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

ეროვნული ბიბლიოთეკა